ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა **ახალი და უახლესი ისტორია**

მანველიშვილი ნანი

ქალის სტატუსის ცვლილება სტალინის მმართველობის დროს საქართველოსა და საბჭოთა კავშირში (1922-1935 წლები)

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის სამაგისტრო აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი,
პროფ. თეიმურაზ პაპასქირი

თბილისი

2019

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოსა და საბჭოთა კავშირში შექმნილი სოციალური, პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის ფონზე საბჭოთა ქალების სტატუსის შეფასება. გარდა ამისა, სტალინის მმართველობის დროს ჩამოყალიბებული „ახალი ტიპის ქალების“ იდენტიფიცირება და მათ შესახებ ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება. კვლევის ამოცანას წარმოადგენს ქართველი ქალების როლის, მდგომარეობისა და მათი დამსახურების წინ წამოწევა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამასთანავე, სტალინის რეალური მიზნების გამოაშკარავება ქალთა მიმართ შეცვლილი პოლიტიკის საფუძველზე.

თემის აქტუალობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის აღსანიშნავია, ფართო საზოგადოების ინტერესი ქალთა უფლებრივი მდგომარეობის ისტორიის შესახებ, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება, რამაც ხელი შეუწყო ქალებისთვის ახალი „ფუნქციების“ გამონახვას. ამასთანავე, სტალინის, როგორც დიქტატორის, დამოკიდებულება ქალთა მდგომარეობისადმი ამძაფრებს დასმული საკითხისადმი ინტერესს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში არ მოიპოვება კვლევა ქალთა სტატუსის შესახებ სტალინის მმართველობის პერიოდში და ხსენებული ნაშრომი ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევის პირველი მცდელობაა. კვლევა ემყარება ინგლისურენოვან ლიტერატურას, თუმცა, ძირითადი ნაწილი შესრულებულია ქართული საარქივო მასალების ბაზაზე, რაც საკვლევ თემას მატებს სამეცნიერო ღირებულებას და ფართო საზოგადოებისთვის კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

ასევე უნდა ითქვას, რომ ეს დოკუმენტები მხოლოდ ნაწილია და მომავალში შესაძლებელია ხსნებული თემის ირგვლივ ახალი დოკუმენტების გამოვლენა, სწორედ ამიტომ, საკითხის სრულად შესწავლა ნაკლებად შესაძლებელია.

Nani Manvelishvili

Women’s Condition and Their Changing Role in Georgia and the Soviet Union during Stalin’s Era (1922-1935)

Abstract

This thesis aims at assessing the status of Soviet women in the background of the social, political and military situation created in Georgia and the Soviet Union in the 20-30s of the 20th century. In addition, the research not only identifies "new type of women" established during Stalin's rule but also provides the information about them to the society. The task of the research is to raise the role of women, their position and their merits before the Soviet government. At the same time, Stalin's real aims are exposed to women's policies.

The topic is actual due to several reasons. Among them it’s worth mentioning the general public interest in the history of women's rights and making significant changes by the Soviet authorities, contributing to the development of new "functions" for women. What is more, Stalin’s dictatorial attitude towards women's situation intensifies the interest of the issue.

It is noteworthy that in Georgian historiography there is no research on women's status during Stalin's rule and the above-mentioned work is the first attempt of this. The thesis is based on works that are mostly in English but the main part is done on the basis of the Georgian archive materials that make the research topic more valuable as well as more interesting to the general public.

It's worth noting that these are only the parts of the documents. So in the future there is a great possibility of finding the new ones which makes it difficult to research the topic thoroughly.

შინაარსი

შესავალი 5

თავი I ქალის სტატუსის მიმოხილვა თეორიულ ასპექტში 9

§1. მარქსიზმი და ქალთა უფლებები 9

§2. ბოლშევიკები და ქალის სტატუსი 22

§3. სტალინი და ქალთა სტატუსი 40

თავი II ქართველი ქალების მდგომარეობა საბჭოთა კავშირში 57

§1. ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გატარებული ღონისძიებები 57

§2. მეძავობასთან ბრძოლა 64

§3. საბავშვო ბაღები როგორც ქალთა ემანსიპაციის საწყისი საფეხური 66

§4. სრულიად საქართველოს საბჭოების წევრი და დელეგატი ქალები: მათი როლი და მნიშვნელობა 68

§5. ქალთა გადასამზადებელი კურსები 77

§6. ქალთა ჩართულობა სასამართლო უწყებაში 82

§7. აბორტი და ქალთა უფლებები 84

§8. ქალების სამხედრო საქმიანობაში ჩაბმის საკითხი 85

§9. რვა მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე 87

§10. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო საქმეთა კოდექსი 90

დასკვნა 95

გამოყენებული ლიტერატურის სია 99

შესავალი

ჩვენს მიერ არჩეული საკვლევი თემა განიხილავს ქალთა მდგომარეობას XX საუკუნის 20-30-იან წლებში, საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ვინაიდან საკვლევი თემა არის ფართო და მრავალპროფილიანი, წარმოდგენილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში განვიხილავთ, ერთი მხრივ, ქალთა მდგომარეობის თეორიულ ასპექტებს მარქსისტულ იდეოლოგიაში, მეორე მხრივ, კი – ქალთა სტატუსსა და მნიშვნელობას ბოლშევიკების თვალთახედვიდან. კვლევის მეორე ნაწილი, მთლიანად ეთმობა სტალინის მმართველობის პერიოდში გატარებულ ცვლილებებს და ამის ფონზე ქართველი ქალების სტატუსს.

აღსანიშნავია, რომ საკვლევი თემა განიხილავს 1935 წლამდე არსებულ მდგომარეობას, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, შინაარსობრივი თვალსაზრისით – 1935 წლის შემდეგ გარკვეულწილად ქალთა სტატუსი კვლავ შეიცვალა და ეს თარიღი ერთგვარი ნიშნულია სტალინის მმართველობის პერიოდში, მეორე მხრივ, გამოწვეულია სამაგისტრო ნაშრომისთვის დამახასიათებელი რაოდენობრივი შეზღუდვით.

ბოლშევიკებს სურდათ შეექმნათ სახელმწიფო, სადაც ქალთა და მამაკაცთა უფლებები გათანაბრებული იქნებოდა. ქალებს ექნებოდათ უფლება, საშინაო საქმეების გარდა, აქტიურად ჩართულიყვნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში. სტალინის მმართველობის დროს ქალის როლის ცვლილება მოხდა. ამ პროცესებს ჰქონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. როგორც სსრკ-ს ნაწილში, საქართველოშიც განხორციელდა ანალოგიური ცვლილებები. ქართველი ქალების მდგომარეობა საზოგადოებაში შეიცვალა. ამ პროცესს თან ახლდა ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების დამკვიდრება. კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართველი ქალების მდგომარეობას ხსენებულ პერიოდში. განვიხილავთ ქალების სტატუსს ოჯახში, სამსახურსა და ქორწინებაში. ვეცადეთ, წარმოგვეჩინა საბჭოთა ქალის ორმაგი ცხოვრება, ერთი მხრივ, დედის, მეორე მხრივ, კი ინდუსტრიის მოწინავე მუშაკის ამპლუაში. ვე-

ცადეთ, გაგვეანალიზებინა ყოველდღიური გამოწვევები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხელისუფლების მიერ გატარებული ცვლილებებით იყო პროვოცირებული.

თემის აქტუალობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის, აღსანიშნავია: ფართო საზოგადოების ინტერესი ქალთა უფლებრივი მდგომარეობის ისტორიის შესახებ; საბჭოთა ხელისუფლების მიერ მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება, რამაც ხელი შეუწყო ქალებისთვის ახალი „ფუნქციების" გამონახვას. ამასთანავე, სტალინის, როგორც დიქტატორის, დამოკიდებულება ქალთა მდგომარეობისადმი ამძაფრებს დასმული საკითხისადმი ინტერესს. გარდა ამისა, ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოთა ქალი უფლებრივად აღემატებოდა ბევრი ევროპული სახელმწიფოს ქალ წარმომადგენლებს, კვლევის თემას კიდევ უფრო აქტუალურს ხდის.

საკვლევი საკითხის ინოვაციურობას განსაზღვრავს ქალთა მდგომარეობის კონკრეტული სფეროების კვლევა ქართული საარქივო მასალების მიხედვით. საბჭოთა კავშირში ქალთა მდგომარეობაზე, სტატუსზე მუშაობდნენ უცხოელი მკვლევრები, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე შეუსწავლელია ქართველი ქალის როლი საბჭოთა კავშირის დროს ოჯახში, სამსახურსა და ქორწინებით კავშირში. ვფიქრობთ, ხსენებული კვლევა პოზიტიური შედეგის მომტანი იქნება როგორც საბჭოთა პერიოდის საქართველოს შესწავლის საქმისთვის, ასევე ქალთა მდგომარეობის ისტორიის შესწავლისთვის.

ხსენებული კვლევა საარქივო მასალებს და ინგლისურენოვან ლიტერატურას ეყრდნობა. აღსანიშნავია ქართული საარქივო მასალების სიმრავლე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. საარქივო მასალები წარმოდგენილია ქართულ და რუსულ ენებზე და ფაქტობრივად მათი ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა ამ კონტექსტით პირველად ხორციელდება.

როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომის პირველ ნაწილში განვიხილავთ მარქსისტულ ხედვას ქალთა უფლებების და მომავლის შესახებ. ვინაიდან ვფიქრობთ, რომ პირველწყაროების გამოყენება კვლევას ღირებულებას მატებს, საჭიროდ მივიჩნიეთ ცნობილი მარქსისტების ფრიდრიხ ენგელსის, ავგუსტ ბებელის და სხვ. მოსაზრებების განხილვა-ანალიზი.

გარდა ამისა, კვლევისთვის საინტერესო და მნიშვნელოვან ავტორებს შორის უნდა დავასახელოთ ვენდი გოლდმანი, რომელიც საბჭოთა ქალების საკითხით დაინტერესებული მეცნიერია და ამ საკითხის კვლევას რამდენიმე მონოგრაფია მიუძღვნა.

აღსანიშნავია, საბჭოთა კავშირის ქალთა ჟურნალებზე დაყრდნობით შექმნილი გამოკვლევის – „ახალი საბჭოთა ქალის შექმნა“ – ავტორი ლინ ეტვუდი, რომელიც, სხვადასხვა სტატიებზე დაყრდნობით, აყალიბებს საინტერესო და მრავლისმთქმელ შეხედულებებს საბჭოთა კავშირში გატარებული ცვლილებების შესახებ.

ჩვენთვის ამოსავალ წყაროს მაინც საარქივო დოკუმენტები წარმოადგენს, რომელზე დაყრდნობითაც წინა პლანზე ვეცადეთ წარმოგვეჩინა ქართველი ქალები იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას თავად წყაროები გვაძლევდა.

მიმდინარე საკითხის კვლევისას დიდ მნიშვნელობას იძენს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება. ვეცადეთ, ერთმანეთისთვის შეგვედარებინა ლენინის დროს ჩამოყალიბებული ქალის სტატუსი სტალინის მმართველობის პერიოდში დამკვიდრებული მდგომარეობისთვის. გარდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდისა, ვფიქრობთ, აუცილებელი იყო წყაროების კრიტიკული შესწავლისა და ანალიზის მეთოდის გამოყენება. ხსენებული მეთოდის საშუალებით, შესაძლებლობა გვქონდა გამოგვეკვლია, თუ რა იყო საბჭოთა დიქტატორის მცდელობის რეალური მიზეზი, შეექმნა თანაბარუფლებიანი სამუშაო გარემო და მიენიჭებინა სსრკ-ის მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის ახალი ფუნქცია-მოვალეობები. კრიტიკული მეთოდის საფუძველზე შევაფასეთ გატარებული ცვლილებების პოზიტიური და ნეგატიური შედეგები ფართო საზოგადოებისთვის. გავაანალიზეთ ქართველი ქალების მდგომარეობის ცვლილება და პროცესები, რომლებიც თან ახლდა მას. აღწერა-ანალიზისა და კომპლექსურ-ინტენსიური კვლევის მეთოდები დაგვეხმარა ისტორიული ფაქტების, ცნობების სიმართლის დადგენაში.

საკვლევი თემა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ქალთა დღევანდელი უფლებებისა და საზოგადოებაში მათი სტატუსის გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ ისტორიული პირველადი წყაროების განხილვის საფუძველზე.

დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მიზანი იყო, წარმოგვეჩინა

საბჭოთა კავშირში ქართველი ქალების სტატუსი და მდგომარეობა, ფართო საზოგადოებისთვის გაგვეცნო იმ აქტიურ ქალთა სახეები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის ცხოვრებაში.

თავი I

ქალის სტატუსის მიმოხილვა თეორიულ ასპექტში

§1. მარქსიზმი და ქალთა უფლებები

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების უმთავრეს დებულებად რჩება სქესთა შორის თანასწორობის დამყარება და ქალთა ემანსიპაციის საკითხის წინა პლანზე წამოწევა. საინტერესოა, როგორი მდგომარეობა იყო ქალთა ჩართულობის თვალსაზრისით საბჭოთა საქართველოში? ჩვენი საკვლევი თემის პერიოდი სცდება თანამედროვე ეპოქას და მიზნად ისახავს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გამორკვევას XX საუკუნის 20-30-იან წლებში. დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს საკითხის აქტუალობა. თუმცა კი, ქართულ ისტორიოგრაფიაში არცთუ ბევრი კვლევა მოიპოვება ამ მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს საკვლევ თემას წარმოადგენს ქალთა სტატუსის/ მდგომარეობის გამოვლენა სტალინის მმართველობის პერიოდში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვიხილოთ, პირველ რიგში მარქსისტული შეხედულებები ქალთა უფლებებისა თუ როლის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას თავისი მიზეზები გააჩნია. პირველი, საბჭოთა კავშირი თავისი დაარსების დღიდან მარქსისტულ იდეოლოგიას ეფუძნებოდა და პრაქტიკაში იყენებდა კიდევაც. მეორე, მარქსისტული იდეების გაგრძელებას, ერთგვარად შეცვლილი სახით, წარმოადგენდა შემდეგში ქალის სტალინისეული აღქმა. სწორედ ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ, ერთი მხრივ, მარქსისტული დამოკიდებულება საკითხისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, ლენინის მმართველობის პერიოდში, საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ ეტაპზე, გატარებული ცვლილებები, რომლებიც ხსენებულ თემას შეეხება იმდენად, რამდენადაც სწორედ ამ საფუძველზე განხორციელდა შემდეგში სტალინისეული ცვლილებები.

მარქსისტული თეორიის გააზრება ქალთა ჩაგვრისა და ემანსიპაციის შესახებ აუცილებელია, რათა ზუსტად განისაზღვროს ქალის სტატუსი საბჭოთა ქვეყნებში.

აღსანიშნავია, რომ ყველა მარქსისტული მოძრაობა მიმართული იყო ქალთა ემანსიპაციისკენ.[1] ერთ-ერთი ძირითადი კლასიკური მარქსისტული ნაშრომი, რომელიც განიხილავს ქალთა სტატუსს და მდგომარეობას არის ფრიდრიხ ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. ენგელსის წიგნმა საფუძველი ჩაუყარა სოციალისტურ თეორიას ქალთა ჩაგვრის შესახებ და დასახა სტრატეგია მათი ემანსიპაციისაკენ.[2] ენგელსის ანალიზი სამ ნაწილად წარმოჩინდება: წარსულის რეკონსტრუქცია, ქალის ჩაგვრა კაპიტალიზმის დროს და ქალის ემანსიპაცია სოციალიზმის დროს. ენგელსი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ქალის უთანასწორობა კაპიტალისტურ ქვეყანაში გამოწვეულია საკუთრების არსებობით, მათი უუფლებობით – იმუშავონ და მამაკაცზე მატერიალური დამოკიდებულებით.[3] ამდენად, ენგელსი განმარტავს, რომ ქალის უთანასწორო მდგომარეობის მიზეზი არ არის გამოწვეული მხოლოდ მამაკაცთა ჩაგვრით, არამედ, უფრო მეტად დაკავშირებულია კერძო საკუთრებასთან.[4] სოციალური თანასწორობა ენგელსის მიხედვით მიღწევადი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალი საზოგადო სფეროში აქტიურად იქნებოდა ჩართული. სწორედ ამისთვის იყო საჭირო სოციალისტური რევოლუცია. ხოლო, ქალთა ემანსიპაციის წინაპირობას, ენგელსის მოსაზრებით, კერძო საკუთრების გაუქმება და სოციალური მფლობელობის დაწესება წარმოადგენდა.[5]

კაპიტალისტურ ეპოქაში კაცობრიობის შესვლის შემდეგ გაიზარდა მოთხოვნა მუშახელზე, რამაც თავისთავად განაპირობა ქალების პროდუქციის წარმოებაში ჩართულობის საკითხის წინა პლანზე წამოწევა. კაპიტალიზმი, ტექნიკის სწრაფი განვითარების, შრომის დანაწილების და ქვეყნებს შორის შეჯიბრის გააქტიურების ფონზე, ქალი-მუშების ზრდას მოითხოვდა.[6] სწორედ ამის გამო, მარქსისტული იდეოლოგია მიიჩნევდა, რომ ახალმა ცხოვრების პირობებმა მოიტანა ქალთა წინა პლანზე გამოსვლის აუცილებლობა. ენგელსი სწორედ ამ ფაქტებს ეყრდნობოდა და აღნიშნავდა, რომ სა-

[1] Alena Heitlinger. Women and state socialism. London, 1979, გვ. 15.
[2] Alena Heitlinger. Women and state socialism, გვ. 15.
[3] ფრიდრიხ ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. თბილისი, 1932, გვ. 83.
[4] ფრიდრიხ ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 83.
[5] ფრიდრიხ ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 84.
[6] August Bebel. Woman under Socialism. E-book. 2009, გვ. 114.

ჭირო იყო ქალების დაბრუნება საჯარო ინდუსტრიაში. ეს კი თავის მხრივ, გახდებოდა მონოგამური ოჯახის, როგორც საზოგადოების ეკონომიკური გამაერთიანებლის, გაუქმების მიზეზი.[1] გარდა ზემოთ ხსენებული ცვლილებებისა, ქალთა სრული ემანსიპაციისთვის ენგელსს მართებულად მიაჩნდა კერძო მეურნეობის გადასვლა საზოგადოებრივ წარმოებაში, ბავშვებზე ზრუნვა უნდა გამხდარიყო საჯარო საქმე – საზოგადოება იზრუნებდა ყველა ბავშვზე.[2]

ქალი უნდა ჩართულიყო წარმოებაში, ეს იყო ენგელსის პირველი ძირითადი პირობა. ამის შემდეგ იყო მოლოდინი, რომ ქალები იმუშავებდნენ და მათთვის სამსახური გახდებოდა ცხოვრების ნაწილი. დროთა განმავლობაში, მათ მოემატებოდათ თავდაჯერებულობა და აქტიურად ჩაერთვებოდნენ ინტელექტუალურ, სოციალურ თუ საჯარო საქმეებში. თუმცა, როგორც შემდეგში დავინახავთ, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა, ენგელსის მეორე პირობა არ განხორციელდა და მხოლოდ ქალების ხელახალი წარდგენა მოხდა საზოგადოებრივ წარმოებაში, დროთა განმავლობაში კი ჩამოყალიბდა მომუშავე დედების სახე, რომლებიც მამებისგან განსხვავებით, ორ საქმეს აკეთებდნენ – ერთს ოჯახში და მეორეს სახლის გარეთ, ეს იყო ენგელსის მოლოდინისგან საკმაოდ გასხვავებული რეალობა. როგორც ფირსტოუნი ამბობს „ქალის როლი/დატვირთვა გაიზარდა, კი არ შემცირდა“.[3] ალენა ჰაიტლინგერი, რომელიც განიხილავს ენგელსის თეორიას ქალთა ემანსიპაციის შესახებ, მიუთითებს ენგელსისეულ შეცდომაზე. ის წერს, რომ ენგელსის დადანაშაულება შეიძლება ერთ ფაქტორში, მან სიტყვა „წარმოების“ განსაზღვრება ძალიან ვიწრო კონტექსტში წარმოადგინა. ენგელსი არ მიიჩნევდა საყოფაცხოვრებო საქმიანობას წარმოების სფეროდ, რამაც გამოიწვია ერთგვარი კოლაფსი პრაქტიკულ საქმიანობაში.[4] ფაქტობრივად, ქალთა გათავისუფლების იდეა გახდა ქალთა ორმაგი დატვირთვის მიზეზი.

ენგელსის გარდა ქალთა საკითხებით დაინტერესებული იყვნენ სხვა მარქსისტი თეორიტიკოსებიც. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, განვიხილოთ რამდენიმე მათგანის

[1] ფრიდრიხ ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 85.
[2] ფრიდრიხ ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 85.
[3] Alena Heitlinger. Women and state socialism. London, 1979, გვ. 19.
[4] Alena Heitlinger. Women and state socialism. London, 1979, გვ. 19.

მოსაზრებები ქალთა ჩაგვრისგან გათავისუფლების შესახებ. ყურადსაღებია გამოჩენილი გერმანელი მარქსისტ-რევოლუციონერის, ავგუსტ ბებელის, შეხედულებები ქალთა ემანსიპაციისა და სოციალიზმის ურთიერთმიმართების შესახებ, ვინაიდან მიიჩნევა, რომ ბებელი ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურაა მარქსისტთა შორის, რომელიც დაინტერესებული იყო და აქტიურად წერდა ქალთა საკითხებზე. ვფიქრობთ, ხსენებული მიმართულება წარმოდგენას შეგვქმნის სოციალიზმის დამყარების შემდეგ მოსალოდნელ ქალთა მდგომარეობაზე/სტატუსზე თეორიული თვალსაზრისით.

როდესაც ბებელი აღწერს კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ შრომას, აღნიშნავს, რომ თუ კაპიტალისტური შრომის დასაწყისში კაცების შრომა უპირისპირდებოდა კაცებისას, თანდათან მოხდა ჩანაცვლება და ახლა ერთი სქესი იბრძვის საპირისპირო სქესის წინააღმდეგ, სქესის შემდეგ დაპირისპირების მეორე ეტაპი არის ასაკი – ასაკის წინააღმდეგ. აქედან კი გადავდივართ ეტაპზე, როდესაც ქალი ანაცვლებს კაცს, მაგრამ თავად ქალი ჩანაცვლებული იქნება ახალგაზრდა თაობის მიერ. ბებელი ამასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ასეთია „მორალური წყობილება“ თანამედროვე ინდუსტრიაში.[1] ამდენად, კაპიტალიზმმა თავისთავად გაზარდა კონკურენცია სქესთა შორის და თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა. ავგუსტ ბებელი, როდესაც საუბრობს სოციალურ წყობილებაზე, აცხადებს, რომ მთავარია დამყარდეს ისეთი სოციალური კონდიცია, როდესაც „სრული თანასწორობა, სქესისდა მიუხედავად გახდება ნორმა“.[2] როგორც ვხედავთ, ბებელი, მარქსისტული იდეოლოგიის აქტიური გამზიარებელი, მიიჩნევს, რომ სქესთა შორის თანასწორობა საზოგადოების განვითარების ერთადერთი სწორი გზა არის. გარდა ამისა, ის დასძენს პირობებს, თუ რა შემთხვევაშია სრული თანასწორობის მიღწევა შესაძლებელი: „ეს შესაძლებელია, თუ მთლიანად წარმოება გახდება საზოგადოების საკუთრება, როდესაც კოლექტიური მუშაობა ნაყოფიერების პიკს მიაღწევს და ყველაფერზე მაღლა ვალდებულება დადგება“.[3]

აქ უკვე ვაწყდებით სახელმწიფოს მოწყობის ახალ ფორმას, რომელიც თავის თავ-

[1] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 114.
[2] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 114.
[3] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 114.

ში ითვალისწინებდა ქალთა ახლებურ კონდიციას. ბებელი ფიქრობდა, რომ ამ შემ-თხვევაში ქალი დაემსგავსება კაცს, პროდუქტიულ და საჭირო წევრს საზოგადოებისას, რომელიც იქნება თანასწორი მამაკაცისა. ამ შეხედულების მიხედვით, ქალი შეძლებს თავისი ფიზიკური თუ მენტალური თვისებების განვითარებას და, შესაბამისად, იქნება თავისუფალი არსება, „კაცის მეწყვილე".[1] ვფიქრობთ, მოცემულ მონაკვეთში კარგად ჩანს ბებელის ხედვა ქალთა საკითხისადმი. ის აუცილებლად მიიჩნევს საზოგადოების განვითარებისა და წინსვლისათვის სქესთა შორის უთანასწორობის მოსპობას. აქ კიდევ ერთი მომენტია გამოსაკვეთი, როდესაც ბებელი საუბრობს კაცის პრიმატზე, ის აღნიშნავს, რომ ისინი ვინც კაცის პრიმატს აღიარებენ, თვლიან რომ ქალი გონებრივი შესაძლებლობებით უფრო დაბლა დგას, ვიდრე კაცი. სწორედ ამიტომ, შეუძლებლად მიაჩნიათ რომ ქალმა მიაღწიოს მნიშვნელოვან ინტელექტუალური განვითარების ნიშნულს.[2] ბებელი არ იზიარებს ამ იდეას და ავითარებს საინტერესო შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, თუ ახალი იდეა საჭირო დროს მოხვდება სათანადო ადგილას, მას საზოგადოება აიტაცებს და ერთ დროს უმცირესობაში მყოფნი, უმრავლესობაში მოექცევიან. თუ მივყვებით ბებელის იდეას და თვალს გადავავლებთ ისტორიულ დინებას, ამაში ადვილად დავრწმუნდებით. უმცირეს მაგალითად კი კმარა ქრისტიანობის ისტორიისთვის თვალის მიდევნება. ერთ დროს ქრისტიანები უმცირესობაში იყვნენ, ყველასაგან დევნილნი, მაგრამ საჭირო დრომ და შესაძლებ-ლობებმა მათი პოზიციები მოწინავედ აქცია. სწორედ, ეს აფიქრებინებს ბებელს, რომ სოციალური დემოკრატია მიღწევადია.

ზემოთ ჩვენ ვსაუბრობდით ქალთა გონებრივი შესაძლებლობების შესახებ და ამ საკითხისადმი ბებელის დამოკიდებულებაზე. თავის წიგნში ბებელი ამხელს მამაკაცების უმეტესობას, რომელთაც სჯერათ, რომ გონებრივად ქალი ყოველთვის მათზე უნდა იყოს დამოკიდებული. ამის დასადასტურებლად მას მოჰყავს გერმანელი პროფესორის ფონ ბიუერენბახის შეხედულება გერმანიაში ქალების უნივერსიტეტში სწავლის თა-ობაზე. ბიურენბახი აღნიშნავს, რომ დღემდე ქალთა შორის არ ყოფილა გენიოსი, ამი-

[1] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 114.
[2] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 122.

ტომ, აქედან აკეთებს დასკვნას, რომ ქალი გონებრივად „უვარგისია სწავლებისთვის“.[1] რა შეიძლება ითქვას ამ შეხედულებასთან დაკავშირებით? ფაქტია, რომ პროფესორი ერთი მხრიდან უყურებს საკითხს. კიდევ უფრო საინტერესოა, თავად ბებელის განმარტება, რომელიც პირდაპირ აცხადებს რომ ეს არგუმენტი არ არის, რადგან გენიოსები „ციდან არ ვარდებიან“,[2], მათ (ამ შემთხვევაში ქალებს) სჭირდებათ შესაძლებლობები, რათა ჩამოყალიბდნენ. ეს შესაძლებლობები კი წინარე პერიოდში ქალებს ნამდვილად არ ჰქონიათ. საინტერესოა, რა მოხდებოდა, მათ განვითარების თანაბარი პირობები რომ ჰქონდეთ ყველა მიმართულებით? ამ კითხვაზე ბებელი თავადვე პასუხობს და აცხადებს, რომ ქალს ისევე შეუძლია მიაღწიოს სრულყოფილებას, როგორც მამაკაცს. დასასაბუთებლად კი მოჰყავს მსოფლიო ისტორიიდან მაგალითი: „საშუალოდ, ითვლება რომ ქალმა მმართველებმა უფრო დიდი ნიჭი გამოავლინეს ვიდრე კაცებმა“.[3] ამის დასადასტურებლად ის ასახელებს ინგლისის მეფეს ელიზაბეთს, ეკატერინე მეორეს რუსეთიდან, ელიზაბეთ უნგრელს და სხვ.[4] ეს საქართველოს ისტორიის მაგალითზეც აშკარაა. თამარ მეფემ ჯერ კიდევ XII საუკუნეში შეძლო წარმატებული მონარქის სახელის დამკვიდრება. თუმცა, ბებელი არ უარყოფს განსხვავებას, რომელიც ქალსა და მამაკაცს შორის არსებობს. მისი აზრით, ეს ორი სხვადასხვა „სქესობრივი არსებაა“ განსხვავებული აგებულებით და ბიოლოგიური ფუნქციით, საკუთარი ბუნებითი მიზნის აღსასრულებლად მოვლენილი. ის ცალკე გამოყოფს ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ ფსიქოლოგიურ თუ ფსიქიკურ განსხვავებას. ბებელი თვლიდა, რომ ქალი იგივე სამსახურს უწევს ქვეყანას შვილის გაჩენით, როგორსაც მამაკაცი, რომელიც იარაღით იცავს სამშობლოს.[5] ამდენად, იგი ხედავდა სქესთა შორის თანასწორობის აუცილებლობას, მაგრამ განსხვავებასაც უსვამდა ხაზს. მიუხედავად ამგვარი აღიარებისა, ბებელს შეუძლებლად არ მიაჩნია და პირიქით, მომხრეა, რომ ქალს მამაკაც-

[1] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 125.
[2] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 125.
[3] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 127.
[4] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 127.
[5] Lynne Attwood. Creating The New Soviet Woman. London, 1999 გვ. 7.

თან გათანაბრებული სოციალური თუ პოლიტიკური უფლებები ჰქონდეს.[1] ვფიქრობთ, ეს მოსაზრება ბებელს წარმოაჩენს ქალთა ემანსიპაციის მომხრეთა რიგში. ამასთანავე, მარტო მინიჭებულ თანასწორობას არ სჯერდება და მიიჩნევს, რომ ქალმა თავად უნდა წამოიწყოს ინტელექტუალური შეჯიბრება მამაკაცებთან. თავად უნდა იზრუნოს საკუთარ მომავალზე. არც საშინაო ცხოვრება რჩება ბებელს ყურადღების მიღმა და მიაჩნია, რომ ქალი მკაცრად შემოსაზღვრული საშინაო ცხოვრებიდან უნდა გახდეს საჯარო ცხოვრების სრული მონაწილე.[2]

ბებელი ერთადერთი არ არის მარქსისტული იდეოლოგიის გამზიარებელთა შორის, რომელიც სოციალიზმთან ერთად ქალის ემანსიპაციის აუცილებლობას აღიარებს. ქალთა საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობდა მარქსისტი და ბოლშევიკი ლევ ტროცკი. თავის ნაშრომში „ქალი და ოჯახი“ იგი საუბრობს ქალის სტატუსის შეცვლის აუცილებლობაზე და ამ მიზნის მისაღწევად განსახორციელებელ ცვლილებებზე. ტროცკი აღნიშნავს, რომ ქალის მდგომარეობის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „სოციალური, საოჯახო თუ საშინაო საქმეები შეიცვლის ფორმას, გადაკეთდება“.[3] ამდენად, შემდეგში ბოლშევიკები, იზიარებდნენ ამ შეხედულებას და მიაჩნდათ, რომ ქალის სტატუსი ცვლილება „ახალ სახელმწიფოში“ აუცილებელიც კი იყო.

წარსულში მიიჩნეოდა, რომ ქალები პოლიტიკურად ინდიფერენტულები უნდა ყოფილიყვნენ. შესაბამისად, საზოგადოებაში ქალის როლი მინიმალური იყო. თუმცა, თანდათან ეს დამოკიდებულება შეიცვლა და კაპიტალიზმის პერიოდში თანდათან ეს მიდგომა ქალის ტრადიციული როლის – „ეკლესია, სამზარეულო, ბავშვები“[4] – თაობაზე უკანა პლანზე გადავიდა. თუმცა, ამ ყველაფერს თან მოჰყვა სოციალურის ექსპლუატაციის ახალი ფორმები, რამაც არაერთ ქალს უმძიმესი საცხოვრებელი პირობები შეუქმნა. მარქსისტები ამ საკითხს უყურადღებოდ არ ტოვებდნენ და ისინი რვასაათიანი სამუშო დღის მომხრეებად გამოდიოდნენ.

---

[1] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 127.
[2] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 128.
[3] Leon Trotsky. Women and the Family. New York, 1970, გვ. 45.
[4] ***Marxism and the Emancipation of Women.*** https://www.marxist.com/marxism-feminism-emancipation-women080300.htm.

კლასთა შორის სოციალური ურთიერთდამოკიდებულების გამოსავლენად ყველაზე კარგი საშუალება კანონებსა და პოლიტიკურ ინსტიტუციებზე დაკვირვებაა. ამ აზრს იზიარებს ა. ბებელი და აღნიშნავს, რომ „კანონები სარკეა, რომელიც ქვეყნის სოციალურ მდგომარეობას ასახავს“. კანონები ან ნეგატიურია, ან პოზიტიური. პოზიტიური იმდენად, რამდენადაც განსაზღვრავს დამოკიდებულებას შევიწროებულებისადმი და ცდილობს, იპოვოს გამოსავალი, ხოლო ნეგატიური, რადგან უარყოფს შევიწროებულებს პრივილეგიებისა და უფლებების მიხედვით.[1] საილუსტრაციოდ მას მოჰყავს მაგალითი ენობრივი კატეგორიიდან. ხშირ შემთხვევაში ენა შემოინახავს ხოლმე ერში დაფუძნებულ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი. ბებელი განმარტავს, რომ ფრანგულ ენაში ადამიანური ქმნილება (the human being) და კაცი (the man) ერთი და იმავე ტერმინოლოგიით გადმოიცემა – "l'homme".[2] აქვე, დავამატებდით, რომ ქართულ ენაშიც ზუსტად იგივე შემთხვევასთან გვაქვს ადგილი – კაცი მარტო მამრობითი სქესის პიროვნებას არ მიემართება და უფრო ზოგადი მნიშვნელობა აქვს. რას შეიძლება მიანიშნებდეს ეს ფაქტი? თავისთავად, ხაზს უსვამს ქალთა მდგომარეობას იმ საზოგადოებაში, რომელსაც განვიხილავთ. თუმცა, ეს აღმოჩენა ნამდვილად არ არის, ჯერ კიდევ ძველ რომში არსებობდნენ რომის მოქალაქეები და რომის მოქალაქეების ცოლები, არა – ქალი-მოქალაქეები.[3] ეს ფაქტიც, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებების ანარეკლია. ავგუსტ ბებელს მიაჩნია, რომ რადიკალური ცვლილებების თავიდან არიდება შეუძლებელია და ეს ცვლილებები თავის თავში მოიცავს ქალთა მდგომარეობის/სტატუსის შეცვლასაც. ამდენად, მარქსისტებს მიაჩნდათ, რომ ბევრი რამე იყო შესაცვლელი ქალთა საკითხში, განსაკუთრებით მათი ჩართულობის გაძლიერებას ესმებოდა ხაზი.

ვფიქრობთ, საკითხის უკეთ წარმოსაჩენად, აუცილებელია, განვიხილოთ ბებელის შეხედულება მომავლის ქალის შესახებ. ბებელი ხაზს უსვამს, რომ ქალი გახდება სო-

[1] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 145.
[2] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 145.
[3] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 145.

ციალურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი.[1] ის განათლების დონით მამაკაცს უნდა უთანასწორდებოდეს, ვინაიდან მომავალში ცხოვრების თანაბარი პირობები ექნებათ ქალსაც და კაცსაც. შესაბამისად, ქალი შეძლებს გონებრივი შესაძლებლობების სრულად გამოყენებას, იმუშავებს იმავე პირობებით, რომლითაც მამაკაცები მუშაობენ. უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით ბებელის მოლოდინი გამართლდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ბებელისეული იდეა მომავლის ქალსა და სიყვარულს შორის დამოკიდებულების თაობაზე. ბებელი აღნიშნავს, რომ ქალი, ისევე როგორც მამაკაცი, თავისუფალია სიყვარულში. ის იზიარებს მარქსისტულ შეხედულებას სიყვარულისადმი და აცხადებს, რომ ორ ადამიანს შორის ურთიერთობა ეს არის პირადი, კერძო ხელშეკრულება, ისეთივე ფუნქციის მქონე, როგორიც ქორწინება იყო ადრეულ შუა საუკუნეებში. ბებელი განმარტავს, რომ სოციალიზმს ამ მიმართულებით სიახლე არ შემოაქვს, ის უბრალოდ აღადგენს ძველს ახალ სოციალურ ფორმებში.[2]

გარდა სიყვარულისა, ბებელი განიხილავს ქორწინების მნიშვნელობას. ის ცალკე გამოყოფს ქორწინებას, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების მახასიათებელს და ერთადერთ მორალურ გაერთიანებას სქესთა შორის. განმარტავს, რომ ყველა დანარჩენი სახის კავშირი ამორალურად მიიჩნეოდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. საქორწინო კავშირს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ბებელი საკუთრების და მემკვიდრეობის არსებობას უკავშირებს. მისი აზრით, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ქორწინება პირდაპირ კავშირშია ლეგიტიმური მემკვიდრეების გაჩენის საქმესთან. შესაბამისად, ქორწინება ბურჟუაზიულ წყობაში სოციალურ კანონად არის გადაქცეული და ამიტომ სახელმწიფო დაპატიმრებითაც კი სჯიდა წყვილის ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას, – ამბობს ბებელი.[3] სწორედ ამიტომ, ავტორს გამოსავლად სოციალიზმის დამყარება ესახება. მისი აზრით, მომავალ საზოგადოებაში, რომელშიც საკუთრება აღარ იარსებებს, აღარაფერი იქნება ისეთი, რისი ანდერძად დატოვებაც შესაძლებელი იქნება. ეს კი თავისთავად მოაგვარებს მემკვიდრეების პრობლემას. ამდენად, სოციალიზმი კი არ გა-

[1] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 225.
[2] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 225.
[3] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 227.

აუქმებს მემკვიდრეობას, არამედ პირადი საკუთრების მოსპობა თავისთავად მოიტანს ამ შედეგს. უნდა ითქვას, რომ პრაქტიკამ სულ სხვა რამე აჩვენა, საკუთრების გაუქმება არ გახდა ქორწინების გაუქმების მიზეზი, რადგან ქორწინება საკუთრების არსებობაზე დამყარებული ერთობა არ იყო და ღრმა ტრადიციულ-კულტურულ ფენომენს წარმოადგენდა. ბებელი თვლიდა, რომ ქალი იქნებოდა თავისუფალი და ბავშვები არ შეუზღუდავდნენ მას თავისუფლებას. „ისინი მხოლოდ აავსებენ მის ცხოვრებას სიხარულით და სიამოვნებით. მასწავლებლები, ექიმები და ქალი მეგობრები დაეხმარებიან დედებს როცა საჭირო იქნება“.[1] ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა და აღნიშვნის ღირსია უკანასკნელი ციტატის განმარტება. თუ კარგად ჩავუკვირდებით, ქალთა ემანსიპაციის მარქსისტული აღქმა განსხვავდება თანამედროვე მიდგომისგან. ბებელი თვლის, რომ ქალის გათავისუფლება ზედმეტი ტვირთისგან უნდა მოხდეს ისევ ქალების ხარჯზე. უფრო კონკრეტულად, მასწავლებლები სკოლასა თუ ბაღში, ქალი-მეგობრები, ეს მდედრობითი სქესის საზოგადოებაა, რომელიც ეხმარება დედას შვილის აღზრდაში. ამდენად, აქედან გამომდინარეობს, რომ ბავშვის აღზრდა-მოვლა-პატრონობა მდედრობითი სქესის ფუნქციაა. მამაკაცები ამ საქმის გამზიარებლებლად არ მოიაზრებიან. მართალია, ქალის ტვირთი შემცირდება, მაგრამ ეს მოხდება ისევ ქალების უკვე ანაზღაურებადი შრომის საფასურად.

კიდევ ერთი დეტალი უნდა გამოიკვეთოს ბებელის ბურჟაზიულ საზოგადოების მიმართ დამოკიდებულებაზე. იგი წერს, „რომ ის, რისთვისაც ბურჟუაზიული საზოგადოება იბრძოდა – „კაცთა შორის თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“ – ამ პრინციპების აღმსრულებელი სოციალიზმი იქნება. ბებელს სწორედ სოციალიზმი მიაჩნია იმ გადამწყვეტ საფეხურად, რომელიც „თეორიას და პრაქტიკას ჰარმონიულად შეაერთებს ერთმანეთთან“.[2] ამდენად, ავტორის აზრით, დაწერილი სიტყვები მხოლოდ ქაღალდზე არ უნდა დარჩენილიყო და მას პრაქტიკული ნაბიჯები ესაჭიროებოდა განსახორციელებლად.

და მაინც, რა აზრის იყო გერმანელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი

[1] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 227.
[2] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 227.

ქალთა განთავისუფლების თაობაზე? ბებელი ხაზს უსვამს, რომ სოციალური განვითარების საბოლოო მიზანი არის ქალთა სრული ემანსიპაცია. მისი რეალიზება კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სოციალური ცვლილებებით, რომელიც საფუძველს გამოაცლის მამაკაცის მმართველობას. ამასთან დაკავშირებით, ბებელი აღნიშნავს, რომ ეს იქნება კაპიტალიზმის განადგურების საფუძველი და მხოლოდ ასე დაიწყება კაცობრიობისთვის უმაღლესი განვითარების პერიოდი – ოქროს ხანა.[1]

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებულ იდეებს იზიარებდა ცნობილი მარქსისტი ქალი როზა ლუქსემბურგი. ის იყო ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურა მუშათა კლასის მოძრაობის დროს გერმანიაში, რომელსაც ღრმად სწამდა სოციალიზმის წარმატების. მის დასახასიათებლად საკმარისია გავიხსენოთ ლევ ტროცკის სიტყვები: „ის იმდენად დახელოვნებულია მარქსისტულ მეთოდოლოგიაში, როგორც საკუთარი სხეულის ნაწილებში. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ მას სისხლში მარქსიზმი უჩქეფს“.[2] როზა ლუქსემბურგს ცოტა რამ აქვს დაწერილი ქალთა თავისუფლებისთვის ბრძოლაზე. ამ ფაქტს კი თავისი მიზეზი გააჩნია, კერძოდ, ის, რომ ლუქსემბურგი საკუთარ თავს უწოდებდა რევოლუციურ ლიდერს, რომელიც ხელმძღვანელობდა როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს.[3] მიუხედავად ამისა, მას, ისევე როგორც ავგუსტ ბებელს, სჯეროდა, რომ ქალის სრული ემანსიპაცის მისაღწევად ერთადერთი სწორი გზა სოციალიზმზე გადიოდა, ქალებს სრული თავისუფლების მიღწევა შეეძლებოდათ მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის ტრიუმფთან ერთად.[4] გარდა ამისა, ლუქსემბურგი აუცილებლად თვლიდა ქალის ოჯახის წინაშე არსებული ეკონომიკური დამოკიდებულებისგან გათავისუფლებას. სოციალიზმის ქვეშ, ლუქსემბურგის აზრით, წარმოების ფორმა ანაზღაურების გარეშე არ იარსებებდა.[5] ეს პუნქტი ძირითადად ეხებოდა ქალის შრომას (ბავშების აღზრდა, სახლის საქმეები, მოხუცებზე ზრუნვა და სხვ.) და მის ახლებურ რეპრეზენტაციას გულისხმობდა. უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკები ამ აზრს იზიარებდნენ

[1] August Bebel. Woman under Socialism, გვ. 228.
[2] Lis Mandl. Rosa Luxemburg and the women's question – "Marxism in her Bloodstream". https://www.marxist.com/rosa-luxemburg-and-the-womens-question.htm
[3] Mary-Alice Waters. Rosa Luxemburg Speaks. New York, 1970, გვ. 5.
[4] Mary-Alice Waters. Rosa Luxemburg Speaks, გვ. 5.
[5] Lis Mandl. Rosa Luxemburg and the women's question – "Marxism in her Bloodstream".

და მოგვიანებით პრაქტიკაშიც სცადეს განხორციელება.

მარქსისტებს შორის ქალთა საკითხებით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ლევ ტროცკი. მის ნაშრომში – „ქალი და ოჯახი“ – ვხვდებით ერთ თავს, რომელიც შემდეგნაირად არის დასათაურებული: „სოციალიზმის მშენებლობა ნიშნავს ქალთა ემანსიპაციას და დედების დაცვას“.[1] სათაურიდანვე იგრძნობა ავტორის პათოსი, რომელიც გამოკვეთს ხსენებული თავის ძირითად იდეას და ქალთა ემანსიპაციის საკითხს სოციალიზმის მშენებლობას უკავშირებს. ამ წიგნში ტროცკი აღნიშნავს, რომ, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, პროლეტარიატიც კი, რომელიც ახლა იბრძვის ქალთა ჩაგვრის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ შორსაა და სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს შევიწროებულ, დაჩაგრულ ქალებს და ისინი კვლავ „ოჯახის მონობაში“[2] იმყოფებიან. ქალის სტატუსის ძირეულად შესაცვლელად ერთადერთ გამოსავლად ავტორს, ყველა პირობის, როგორც სოციალური ისე საოჯახო თუ საშინაო გარემოს შეცვლა-გადაკეთება მიაჩნია.[3] ტროცკი დაინტერესებული იყო ქალთა პრობლემებით, ის ხაზს უსვამს უმთავრეს პრობლემათაგან ორს: უმუშევრობას და წერა-კითხვის უცოდინრობას. შემდეგში ამ მიმართულებით ბოლშევიკების მცდელობა, გამოესწორებინათ არსებული, ნამდვილად დიდი იყო.

განსაკუთრებით საინტერესოა შედარება, რომელსაც ტროცკი იყენებს ქალთა ემანსიპაციის წარმოსაჩენად. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს, რომ როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება შეუძლებელი იყო გლეხების გათავისუფლების გარეშე, ასევე სოციალიზმისკენ სწრაფვა წარმოუდგენელია მუშა თუ გლეხი ქალების ოჯახისა და საყოფაცხოვრებო საქმიანობისგან გათავისუფლების გარეშე.[4] ამდენად, ეს პასაჟი ნათლად წარმოაჩენს ბოლშევიკებისათვის ქალის გათავისუფლების მნიშვნელობას. თუმცა, შეინიშნება გერმანელი მარქსისტებისა და ტროცკის იდეებს შორის ერთი განსხვავება. თავის ნაშრომში ტროცკი ხაზს უსვამს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არა მარტო ქალის სტატუსს, არამედ ქალი-დედის მნიშვნელობას. ზოგადად, შემ-

[1] Leon Trotsky. Women and the Family. New-York, 1970, გვ. 54.
[2] Leon Trotsky. Women and the Family. New-York, 1970, გვ. 53.
[3] Leon Trotsky. Women and the Family. New-York, 1970, გვ. 54.
[4] Leon Trotsky. Women and the Family. New-York, 1970, გვ. 55.

დეგში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ბოლშევიკების მიერ წარმოდგენილ დედის კონცეპტს. აქვე კი აღვნიშნავთ, რომ ტროცკი დედების საკითხს „კითხვათა შორის კითხვას“[1] და „პრობლემების ღერძს[2]“ უწოდებს. დედის მდგომარეობა მისთვის პირდაპირ კავშირშია ბავშვის მომავალ განვითარებასა და ბედთან. ასევე, აღნიშვნის ღირსია შემდეგი მონაკვეთი, სადაც ტროცკი ხალხს „უმთავრეს „კაპიტალს“[3] უწოდებს, რომელსაც მუდმივად სჭირდება განახლება. ამ რესურსის წყაროდ კი ტროცკის სწორედ დედა ესახება. დედის შრომის შესამსუბუქებლად, ლ. ტროცკის საჭიროდ მიაჩნია საბავშვო ბაღების, ბავშვთა მოსავლელი ცენტრების, საერთო სამზარეულოების თუ სხვა დამხმარე ორგანიზაციების დაარსება (ამ საკითხს, მოგვიანებით უფრო დაწვრილებით განვიხილავთ – ნ.მ). ამდენად, ტროცკი საუბრობს ქალზე და მისი მდგომარეობის შეცვლაზე, თუმცა კი, ქალის მიღმა გულისხმობს და უფრო მეტი ყურადღების მიქცევას ცდილობს დედის ინსტიტუტის გაძლიერებაზე. „ქალი არის ერის დედა“, – წერს იგი.[4] დედა, რომელიც უნდა აღიზარდოს ახალი მიდგომით, რათა შემდგომში უზრუნველყოს უკეთესი მომავლის გამოზრდა. ტროცკის ხედვას ქალთა სტატუსის შესახებ დავასრულებთ შემდეგი ამონარიდით: „დედების გათავისუფლება ნიშნავს „ჭიპლარის“ გადაჭრას, რომელიც ხალხს აკავშირებს ბნელ და ცრუმორწმუნე წარსულთან.[5] ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტროცკისთვის ქალის სტატუსის გაძლიერება იგივდებოდა არა ცალკეულად ქალის, არამედ დედის ინსტიტუტის გაძლიერებასთან. დედა, როგორც მომავალი თაობების საწყისი, უნდა ყოფილიყო შემდგარი საბჭოთა მოქალაქე, სოციალიზმის მშენებელი და სწორედ ამ პრინციპებზე აღეზარდა საკუთარი შვილები. თუმცა, ეს თავის თავში არ გამორიცხავდა და პირიქით, ხელსაც უწყობდა, ეკონომიკურად დამოუკიდებელი ქალების „შექმნას“ და მათ სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

---

[1] Leon Trotsky. Women and the Family. New-York, 1970, გვ. 54.
[2] Leon Trotsky. Women and the Family. New-York, 1970, გვ. 55.
[3] Leon Trotsky. Women and the Family. New-York, 1970, გვ. 56.
[4] Leon Trotsky. Women and the Family. New-York, 1970, გვ. 57.
[5] Leon Trotsky. Women and the Family. New-York, 1970, გვ. 57.

§2. ბოლშევიკები და ქალის სტატუსი

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებისა და ბოლშევიკების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, მათ გადაწყვიტეს რუსეთის მსოფლიოში პირველ სოციალისტურ ქვეყანად გარდაქმნა. ამ იდეის განხორციელებას ძალზე დიდი რესურსი სჭირდებოდა. სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რამაც განაპირობა სრულიად ახალი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბების თეორიის წარმოშობა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიაში ქალების სტატუსის თვალსაზრისით ძალიან რთული მდგომარეობა იყო. 1914 წლამდე ცოლი ყველაფერში სრულად უნდა დამორჩილებოდა ქმარს. მას არ ჰქონდა უფლება და არ შეეძლო განათლების მიღება, სამსახურის დაწყება, პასპორტის აღება ქმრის ნებართვის გარეშე. არც ერთობლივი ქონება არსებობდა მეუღლეებს შორის და ყველაფრის მფლობელად ოფიციალურად მამაკაცი ირიცხებოდა. საპასუხოდ, ქმარი ვალდებული იყო, პატივი ეცა და ცხოვრების სათანადო პირობები შეექმნა ქალისთვის.[1] მდგომარეობის ცვლილება დაიწყო 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. 1918 წლის იანვარში ბოლშევიკებმა დაშალეს დამფუძნებელი კრება და ხელისუფლების უზურპაცია მოახდინეს, რის შემდეგაც ქალების მიმართ დამოკიდებულება კიდევ ერთხელ შეიცვალა. ბოლშევიკებს რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩართვა სურდათ სოციალიზმის მშენებლობაში. ახალ სოციალისტურ ქვეყანას კი ვერ შექმნიდნენ ახალი „მებრძოლების“ გარეშე. ამასთანავე, მარქსისტული თეორიის მიხედვით არ არსებობს ადამიანის თანდაყოლილი პიროვნული თუ ქცევითი მახასიათებელი, ეს ყველაფერი სოციალური კონსტრუქციებია, რომელიც ყალიბდება სოციალურ გარემოსთან ურთიერთობის დროს და შესაძლებელია მათი რეკონსტრუქცია.[2]

როდესაც ახალი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბებაზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, განიხილება ორივე სქესის პიროვნება. თუმცა ქალების შემთხვევაში ბევრად მეტი რამ იყო შესაცვლელი. ახალი ტიპის ქალის როლი უფრო რთული იყო, ვიდრე ახალი ტი-

[1] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. 49.
[2] Lynne Attwood. Creating The New Soviet Woman. London, 1999 გვ. 1.

პის კაცის. ქალი აშკარად იყო ზეწოლის მსხვერპლი სქესის გამო, რაც მოითხოვდა, თავის მხრივ, ქალებში ღირსების ამაღლებას და მათი შესაძლებლობების გაძლიერებას. რევოლუციონერები თანხმდებოდნენ, რომ ქალი უნდა გათავისუფლებულიყო საშინაო საქმისგან და სოციალურ საქმეში აქტიურად ჩართულიყო. ინდუსტრიულ რევოლუციამდე ოჯახი წარმოადგენდა პროდუქციის როგორც მწარმოებელ, ისე მომხმარებელ ერთიანობას, ამიტომ საოჯახო და სამსახურეობრივი საქმე ერთ გეოგრაფიულ არეალში იყო მოქცეული. ქალს და კაცს სხვადასხვა საქმე ჰქონდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორივენი მნიშვნელოვან ეკონომიკურ როლს თამაშობდნენ. ეს პროცესი შეიცვალა ინდუსტრიალიზაციასთან ერთად და ოჯახმა დაკარგა პროდუქციის შექმნის ფუნქცია. ასევე, ერთმანეთისგან გამოცალკევდა საჯარო და საშინაო აქტივობები. ამან კი, თავის მხრივ, გამოიწვია ოჯახისა და სამსახურის განცალკევება, რასაც მოჰყვა მამაკაცის დაწინაურება, რომელიც გახდა მწარმოებელი.[1] ბოლშევიკების მიზანი სწორედ ეს გახდა: ქალი უნდა გათანაბრებოდა მამაკაცს ყველა სფეროში. შესაბამისად, მამაკაცი ვეღარ იქნებოდა დაწინაურებული. გარკვეულ იდეებზე თითქმის ყველა თანხმდებოდა, მაგრამ წინააღმდეგობები ბოლშევიკებს შორის ხსენებულ საკითხზე ნამდვილად იყო. განიხილებოდა ორი პოზიცია: რომანტიკული და რაციონალისტური. რაციონალისტური მიდგომის მიხედვით ქალი ჩართული უნდა ყოფილიყო საჯარო საქმეში. ამ მიდგომის მომხრეები ქალსა და კაცს შორის განსხვავებას ხედავდნენ მხოლოდ შინაგან სამყაროში. არსებობდა მეორე ნაწილი – რომანტიკოსები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ქალის და კაცის განსხვავებულობა დაწესებული იყო ბუნებრივად, ბიოლოგიურად. ქალი, კაცისგან განსხვავებით, ბუნებით უფრო ნაზი და ფაქიზი არსება იყო და ამიტომ, რომანტიკოსების აზრით, თუ ქალი მოსწყდებოდა ოჯახს და გარეთ სხვა საქმით დაკავდებოდა, ამით „მსოფლიო გახდებოდა ცივი ადგილი“.[2] სწორედ ამიტომ, მათ მიაჩნდათ, რომ სამყაროსთვის უკეთესი იქნებოდა, თუ ქალი ოჯახის საქმეს მოჰკიდებდა ხელს. ამ ორი შეხედულებიდან აშკარად შეიძლება ითქვას, რომ „რომანტიკული მოსაზრება“ ეწინააღმდეგება ქალთა თანასწორობის საკითხს. აღსანიშნავია, რომ

[1] Lynne Attwood. Creating The New Soviet Woman. London, 1999 გვ. 1.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman. London, 1999, გვ. 3.

დასავლეთში 1960-იან წლებამდე, რომანტიკული შეხედულება იმარჯვებდა. ხოლო ვიდაიდან საბჭოთა კავშირში მარქსიზმი უფრო ახლოს იყო რაციონალისტურ პოზიციასთან, რომანტიკული მოსაზრებები ვერ გავრცელდა აქტიურად.

1930-იან წლებში, სტალინის მმართველობის პერიოდში შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკა და ახალ ეკონომიკურ მიმართულებას მიენიჭა უპირატესობა, ამასთანავე, მოხდა პრიორიტეტების გადალაგება და დემოგრაფიულმა საკითხმა წინა პლანზე წამოიწია.[1] დროსთან ერთად შეიცვალა მოთხოვნილებებიც, ახალი საბჭოთა ქალი უნდა ყოფილიყო სანიმუშო მუშა, ასევე უნდა განევითარებინა ის უნარები და მახასიათებლები, რომლებიც სამუშაო გარემოს სჭირდებოდა. თუმცა, აუცილებელი იყო შინაგანი თვისებები, რომელიც საოჯახო საქმიანობასა და ბავშვთა მზრუნველობას მოხმარდებოდა. საბჭოთა ქალების სტატუსის აქტიურ მკვლევარ ვენდი გოლდმანს ქალების გათავისუფლების საბჭოთა გეგმა შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: 1. საოჯახო საქმის გარდაქმნა უნდა მომხდარიყო საზოგადო საქმედ. ამ შემთხვევაში კაცები კი არ დაეხმარებოდნენ ქალებს, არამედ საოჯახო საქმიანობის გასოციალიზება მოხდებოდა. 2. ქალი მაშინ გათავისუფლდებოდა, თუ მისი შრომა ანაზღაურებადი გახდებოდა. 3. ბოლშევიკები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ემოციურ კავშირს მშობლებსა და შვილებს შორის, ისინი თვლიდნენ, რომ ყველაზე საჭირო ზრუნვას ბავშვებს ანაზღაურებადი დასაქმებულები გაუწევდნენ. ისინი ჩაანაცვლებდნენ დედაშვილურ კავშირს. 4. როცა ბოლშევიკები თავისუფლებაზე საუბრობდნენ, მაშინ ისინი თავისთავად ზრდიდნენ სახელმწიფოს როლს ოჯახის შესუსტების ხარჯზე.[2]

ჩვენ შევეცდებით ჩამოთვლილი ცვლილებები მეტ-ნაკლებად განვიხილოთ. თავად ლენინი მიესალმებოდა ქალთა ემანსიპაციის საკითხს და, როგორც სხვა ცნობილი მარქსისტები, ისიც მიიჩნევდა, რომ „ქალის ნამდვილი ემანსიპაცია დაიწყება მაშინ, როცა პროლეტარიატი მოიპოვებს სახელმწიფო ძალაუფლებას... როცა ვაჭრობას სოციალისტური ეკონომიკა შეცვლის“.[3] ბოლშევიკური სახელმწიფოს ლიდერი მიიჩნევდა,

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 3.
[2] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. . 12.
[3] V.I. Lenin. The Emancipation of Women. Lucknow, 2010, გვ. 66.

რომ ქალებს სჭირდებოდათ დამხმარე ორგანიზაციებისა თუ დაწესებულებების გახსნა, რათა ბავშვების აღზრდა და საყოფაცხოვრებო საქმიანობა უფრო გამარტივებულიყო. ლენინი ამ პრობლემიდან გამოსავალს ხედავდა საჯარო მზრუნველობის დაწესებულებების, საექთნოების, საბავშვო ბაღების დაარსებაში, რაც გაათავისუფლებდა ქალს და უზრუნველყოფდა სქესთა შორის თანასწორობის დამყარებას.[1] თავად ლენინმა კარგად იცოდა, რომ ეს იდეები ახალი არ იყო და ისინი კაპიტალიზმმა შექმნა. ამ შემთხვევაში ლენინი ამახვილებს ორ კონტრარგუმენტზე ყურადღებას: 1. მართალია, კაპიტალიზმმა შემოიტანა ზემოხსენებული დამხმარე ორგანიზაციების დაარსების იდეა, მაგრამ კაპიტალიზმის დროს ისინი ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენენ და პრაქტიკულად, უმეტესობისთვის მიუწვდომელია. ამდენად, სოციალისტური ქვეყნის ამოცანებს შორის იდგა ხსენებული დაწესებულებების ფართო გავრცელების უზრუნველყოფა. 2. კაპიტალიზმის დროს ეს დამხმარე ორგანიზაციები, უმეტეს შემთხვევაში, ლენინის აზრით, დამყარებული იყო სპეკულაციებსა და მოტყუებით ფულის გამოძალვაზე, რის გამოც ფართო მასებში პოპულარობას ვერ იხვეჭდა.[2] ლენინი მიიჩნევდა, რომ ამ პრობლემების დაძლევის შემთხვევაში, ქალის ემანსიპაცია ერთი-ორად გაადვილდებოდა.

საკითხის უკეთ გასაგებად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კიდევ ერთი ბოლშევიკის მოსაზრებების განხილვა. ალექსანდრა კოლონტაი ერთადერთი რუსი სოციალური თეორიტიკოსი იყო, რომელმაც გააფართოვა ენგელსის იდეები პირადი ურთიერთობების შესახებ. მან ფოკუსირება გააკეთა პირად თავისუფლებაზე, და ფსიქოლოგიურ დამოუკიდებლობაზე ორივე სქესში. ის ამბობდა, რომ სოციალიზმის ქვეშ ურთიერთობა დამყარებული უნდა ყოფილიყო სრულ თავისუფლებაზე, თანასწორობასა და თავისუფალ სიყვარულზე. ის უპირისპირდებოდა მონოგამიის იდეას. მან ასევე გააკრიტიკა ინდივიდუალური სიყვარულის შემავიწროებელი ბუნება, რომელიც ეჭვიანობას ეფუძნება.[3] კოლონტაი სექსუალური თავისუფლების მომხრე იყო და ამ გაგებით ის განსხვავდება

[1] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 17.
[2] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 17.
[3] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 20.

როგორც ენგელსის, ისე ბოლშევიკი ლიდერებისგან. მისი პამფლეტი „სექსუალური ურთიერთობები და კლასთა ბრძოლა“ იყო ენგელსის თეორიის განვითარება და სოციალური პოლიტიკის საფუძველი. თუმცა, მისი იდეები არარეალისტური იყო.[1] სექსუალური თავისუფლება მხოლოდ კაცებისთვის იყო თავისუფალი, ხოლო ქალებისთვის ის ზედმეტ ტვირთს – არასასურველ ორსულობას წარმოადგენდა.

ამ კონტექსტში ლენინი განსხვავებულ შეხედულებას აყალიბებს. ლენინი პირდაპირ აცხადებდა, რომ არ მოსწონდა ტერმინი „თავისუფალი სიყვარული“, რადგან მასში ბურჟუაზიულ მოუწესრიგებელ სექსუალურ ცხოვრებას ხედავდა.[2] მას მიაჩნია, რომ რევოლუციას სჭირდება „მეტი დისციპლინა და ნაკლები პირადი თავისუფლება.[3] სექსუალური მორალის საფუძველი უნდა ყოფილიყო მოვალეობა საზოგადოების წინაშე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ საკითხში კოლონტაის და ლენინის აზრი მკვეთრად განსხვავებული იყო, კოლონტაი ფიქრობდა, რომ მორალურობა და ამორალობა თავისთავად ბუნებაში არ არსებობს. კოლონტაი განმარტავდა, რომ „სექსუალური ცხოვრება არც სასირცხვილოა და არც ცოდვაა, ეს არის ბუნებრივი მანიფესტაცია ჯანმრთელი ორგანიზმის, როგორც შიმშილი და წყურვილი“.[4] ლენინი უფრო კონსერვატულად უყურებდა ამ საკითხს და განმარტავდა, რომ „წყურვილი უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ ნორმალური ადამიანი დაწვება და დალევს წყალს გუბიდან?“[5] ამდენად, ის არ ეთანხმებოდა კოლონტაის თავისუფალ შეხედულებას, რომელიც ერთადერთ გაუმართლებელ კავშირად ფულზე დამყარებულ ურთიერთობას თვლიდა. ლენინს მიაჩნდა, რომ სოციალიზმის მშენებლები უნდა დაკავებულიყვნენ უფრო სერიოზული საქმეებით, ვიდრე ასეთი საკითხების განხილვა იყო. თუ შევაფასებთ ორივე მოსაზრებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს უფრო პირადი არჩევანი იყო, საკითხის პიროვნული გადაწყვეტა, ვიდრე რომელიმე იდეოლოგიაზე დაფუძნებული.

კოლონტაი სრული თანასწორობის მომხრე იყო. მას მიაჩნდა, რომ რადგან ქა-

[1] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 20.
[2] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. 7.
[3] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 21.
[4] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. 7.
[5] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 21.

ლები მოსახლეობის ნახევარს შედგენდნენ, მათი მხარდაჭერის გარეშე სოციალიზმის მშენებლობა წარმოუდგენელი იყო. კოლონტაი ამტკიცებდა: „ვინმეს როგორ წარმოუდგენია წარმატებული რევოლუცია ქალების გარეშე? ქალებზე გამარჯვება უკვე ნახევარი ბრძოლის მოგებაა".[1] ამდენად, კოლონტაი ქალების როლს წინა პლანზე აყენებდა.

აღსანიშნავია ოჯახის ინსტიტუტისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულება. თეორეტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ საზოგადოება, რომელიც მიისწრაფვოდა ყველა მოქალაქისთვის თანასწორი უფლებების შექმნისკენ, არ საჭიროებდა ისეთი ინსტიტუციის არსებობას, როგორიც ოჯახი იყო, რომელიც ეფუძნებოდა ქალის სუბორდინაციას. 1929 წელსაც კი ერთ-ერთი საბჭოთა სოციოლოგი შემდეგნაირად წარმოიდგენდა მომავალს: „ოჯახი, როგორც ინსტიტუტი გაგზავნილი იქნება ანტიკურ მუზეუმში, სადაც მბრუნავი ბორბლის და ბრინჯაოს ცულის, ცხენებიანი ეტლის, ორთქლის ძრავის და კაბელიანი ტელეფონის გვერდით დაიდებს ბინას".[2] ამდენად, აზრი, რომ ოჯახი თანდათან გაქრებოდა, ნამდვილად ფართოდ გავრცელებული გახლდათ. თავად ლენინმაც გაილაშქრა ბურჟუაზიული ქორწინების წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა ქალების უფლებას, მიატოვონ მოძალადე ქმრები, მაგრამ განაცხადა, რომ, მიუხედავად ქალთა უფლებების აღიარებისა, ეს არ არის „მოსაწვევი"ყველა ქალისთვის, იგივე გააკეთოს.[3] ამდენად, ლენინი, უფრო სკეპტიკურად უდგებოდა ამგვარი საკითხების განხილვას და, შეიძლება ითქვას, დროის ფუჭად დაკარგვის ტოლფასად მიაჩნია. ვფიქრობთ, საინტერესოა, ხსენებულ საკითხზე, ნადეჟდა კრუპსკაიას, ლენინის მეუღლის, მოსაზრებების განხილვა, რადგან ის პედაგოგიკის წამყვან სპეციალისტად მოიხსენებოდა და გარკვეული პერიოდის მანძილზე მის იდეებს ითვალისწინებდნენ. ნადეჟდა კრუპსკაია მხარს უჭერდა ქალისა და მამაკაცის მონოგამურ თანაცხოვრებას სოციალიზმის ქვეშ. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მემკვიდრეობა საერთოდ აღარ იარსებებდა საკუთრების გაუქმების გამო, კრუპსკაიას მიაჩნდა, რომ ქალისა და მამაკაცის ერთადერთი

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 25.
[2] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. 1.
[3] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 5.

გამართლებული ურთიერთობა მონოგამური თანაცხოვრება იქნებოდა.[1]

კოლონტაიც იზიარებდა ამ შეხედულებას და აცხადებდა რომ; „მას შემდეგ, რაც სახლის საქმე გახდება ანაზღაურებადი (როგორც იგეგმებოდა სოციალიზმის მშენებლობის პარალელურად – ნ.მ.), ოჯახისგან აღარაფერი დარჩება გარდა „ფსიქოლოგიური კავშირისა“.[2] ამავე მოსაზრებისაა იურისტი იური ბრანდებურსკი, რომელმაც საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „სახელმწიფო განვითარებასა და გაძლიერებასთან ერთად, დიდი ოჯახი თანდათან გაქრება“.[3] ამდენად, მმართველ ფენებში ამის მოლოდინი იყო. 1920-იანი წლების იდეალური საოჯახო კავშირის საუბრისას გოლდმანი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში „საბჭოთა ქორწინება იყო თანასწორების პარტნიორობა, რომელსაც საერთო ინტერესები ედო საფუძვლად“.[4] თუმცა, როგორც აჩვენა მომავალმა, ქორწინებას უფრო ღრმა დატვირთვა ჰქონდა საზოგადოებისთვის და მისი მარტივად ამოძირკვა და გაქრობა არ მოხერხდა.

ქორწინება-განქორწინების საკითხებით დაინტერესებამ გამოხატულება ჰპოვა 1918 წელს და შემდეგ 1926 წელს, ოჯახსა და ქორწინებაზე შექმნილ კოდექსში. კოდექსმა რამდენიმე სიახლე შემოიტანა საბჭოთა ცხოვრებაში. როგორც აღვნიშნეთ, ოჯახის გაქრობის წინაპირობად გამარტივებული განქორწინების პროცედურა იქნა მიჩნეული. 1926 წლის კანონით, ქორწინება და განქორწინება რეგისტრაციის გარეშეც შესაძლებელი გახდა.[5] განქორწინება შესაძლებელი იყო მიზეზის გარეშეც. დაურეგისტრირებელი ქორწინება უთანასწორდებოდა რეგისტრირებულს. გარდა ამისა, მსურველ მხარეს შეეძლო ეცნობებინა ხელისუფლებისთვის, რომ მას უნდოდა განქორწინება და თუ ის თავად არ იყო ფიზიკურად წარმოდგენილი, მას საფოსტო ბარათს უგზავნიდნენ შეცვლილი სტატუსის შესახებ.[6] რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზანი? – გაეთავისუფლებინათ მილიონობით ქალი, რომელიც დაქორწინებული იყო თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ. თუმცა, დროთა განმავლობაში აღმოჩნდა, რომ განქორწინების გამარ-

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 6.
[2] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. 5.
[3] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. 11.
[4] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. 6.
[5] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 84.
[6] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 85.

ტივებამ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო, ქალებმა დაკარგეს დაცულობა, რომელიც წინათ ჰქონდათ. მამაკაცები უკეთ იყენებდნენ შექმნილ ვითარებას და მარტივად ანგრევდნენ ოჯახებს, ხოლო ეკონომიკურად შეუმდგარი ქალები იძულებულნი იყვნენ და ერჩივნათ ქმრის გვერდით ცხოვრება, რაც არ უნდა რთული და გაუსაძლისი ყოფილიყო. როგორც ცნობილია, 20-იან წლებში ქალებს შორის უმუშევრობის დონე მაღალი იყო, ამიტომ ისინი ფინანსურად დამოუკიდებლები ვერ იქნებოდნენ. ამასთან, განქორწინების გაადვილებულმა პროცესმა, გარდა იმისა, რომ ქალი დააზარალა, გამოიწვია აბორტის და მიტოვებულ ბავშვთა რაოდენობის ზრდა. [1]

იმპერიულ რუსეთში რელიგიური ქორწინება ითვლებოდა აუცილებელ პროცედურად წყვილის ცხოვრებაში. ოქტომბრის გადატრიალება ეს მიდგომა შეცვალა. 1917 წლის 20 დეკემბრამდე დაფიქსირებული რელიგიური ქორწინება ლეგალურად ჩაითვლებოდა, ხოლო ამ თარიღის შემდგომ უკვე სავალდებულო გახდა ქორწინების სამოქალაქო პროცედურა მმაჩის ბიუროში. ეს თავის თავში არ კრძალავდა საეკლესიო ცერემონიას. მიუხედავად ამისა, ფართო პროპაგანდა მიმდინარეობდა რელიგიური ქორწინების მნიშვნელობის დასამცირებლად. საბჭოთა ჟურნალ-გაზეთები ჯვრისწერას „ცრურწმენის ცერემონიად“ მოიხსენიებდნენ და მოუწოდებდნენ მკითხველს, თავი აერიდებინათ ამ „ზედმეტი პროცედურისთვის“.[2] უნდა გამოიკვეთოს შემდეგი ფაქტი, სოფლად ქალების უმეტესობა მომხრე იყო ჯვრისწერის, მათ სურდათ თავიანთი ქორწინება ეკლესიაში დაედასტურებინათ, განსხვავებით მამაკაცებისგან, რომლებიც სამოქალაქო ქორწინების მომხრენი იყვნენ. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, პარტია იყო: მამაკაცების არ სურდათ, ვინმეს პარტიიდან შეეწუხებინა ან შენიშვნა მიეცა ქორწინების დაურეგისტრირებლობის გამო. მეორე მხრივ, სამოქალაქო ქორწინება უფასო იყო, ხოლო მღვდლისთვის გარკვეული თანხის გადახდა იყო საჭირო.

1926 წლისთვის 100 000 დაურეგისტრირებელი ქორწინება იყო და ისინი უფრო ნორმა გახდა ვიდრე გამონაკლისი. როგორც აღვნიშნეთ, 1926 წლის კანონმდებლობამ, რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ურთიერთობა

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 40.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 41.

გაათანაბრა. ამას თავისი მიზანი ჰქონდა: კაცებს მეტი პასუხისმგებლობა უნდა ეგრძნოთ შვილების მიმართ, განურჩევლად რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული ქორწინებისა.[1] ამაში ჩანს სახელმწიფოს სურვილი, მხარი დაუჭიროს დედებს და ბავშვებს. ვინაიდან რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინება გათანაბრდა, აუცილებელი იყო სასამართლოს დაედგინა, ესა თუ ის კავშირი რამდენად იყო „ქორწინება", რათა მამისთვის დაეკისრებინა ვალდებულება. კერძოდ, დაურეგისტრირებელი ქორწინების მტკიცებულება არ არსებობდა, სასამართლო მსჯელობდა ერთად თანაცხოვრების, ბავშვების ერთად გაზრდის ან საერთო ბიუჯეტის მიხედვით და მხოლოდ ასე განსაზღვრავდა მამის მოვალეობას ბავშვების მიმართ. მიუხედავად ფურცელზე დაწერილი მარტივი პროცედურებისა, რეალობაში, ბევრად რთული იყო სიმართლის დადგენა და ხშირ შემთხვევაში ძალიან დიდი დრო სჭირდებოდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც 1926 წლის კანონმა შემოიტანა პრაქტიკაში, უკავშირდება მეუღლეების თანაბარ უფლებას ქონებასა და ფინანსურ ბაზაზე, რომელიც თანაცხოვრების დროს დაგროვდა, იმ შემთხვევაშიც თუ ქალი არ მუშაობდა და მხოლოდ დიასახლისის ფუნქციებს ითავსებდა. ამდენად, დაშორების შემთხვევაში ქალი მიიღებდა გარკვეულ ქონებას ქორწინებიდან.[2] აღსანიშნავია, რომ 1918 წლის კოდექსის მიხედვით, დაქორწინებული ქალი არ იყო ვალდებული ქმრის გვარი მიეღო. მას კანონი სამ შესაძლებლობას აძლევდა: 1. ორივე მეუღლეს თავიანთი გვარები შეენარჩუნებინათ; 2. თითოეულს შეეძლო მეორეს გვარი გამოეყენებინა; და 3. შეეძლოთ, ორივე გვარი ერთად გამოეყენებინათ. იგივე წესით ხდებოდა ბავშვისთვის გვარის მიცემა: მშობლები წყვეტდნენ ბავშვის გვარს. კანონის მიხედვით, აუცილებელი არ იყო ბავშვს მამის გვარი ჰქონოდა, გადაწყვეტილება მშობლების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.[3] ვფიქრობთ, ბოლო პასაჟი ნამდვილად ინოვაციურ მიდგომას გამოხატავდა და კიდევ უფრო მეტად უსვამდა ხაზს სქესთა შორის თანასწორობას. მი-

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 46.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 46.
[3] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 41.

უხედავად ამგვარი მიდგომისა, თავად მოსახლეობა სკეპტიკურად შეხვდა დანერგილ სიახლეს. ამაზე მეტყველებს ჟურნალ-გაზეთების მიერ ჩატარებული გამოკვლევები, რომლის მიხედვითაც კანონში ცვლილებიდან ოთხი წლის შემდეგაც კი, თუ ვინმე საკუთარ შვილს, მამის გვარის ნაცვლად დედის გვარს მისცემდა, ეს დაცინვის მიზეზი ხდებოდა.[1] ამას გარდა, გაუქმდა არალეგიტიმურ ბავშვთა სტატუსი. რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი ოჯახის სრულუფლებიან წევრად ითვლებოდა და ყველა პრივილეგიით სარგებლობდა. გარდა ამისა, 1918 წლის კანონმა ობოლი ბავშვების საკითხშიც შეიტანა ცვლილებები. ახალი კოდექსის საფუძველზე იკრძალებოდა ობოლი ბავშების შვილად აყვანის პროცესი. სახელმწიფო განმარტავდა აკრძალვის მიზეზს: საზოგადოებაში დაფიქსირებული შემთხვევების გამო, ობოლი ბავშვები რომელთაც გლეხის ოჯახი შვილად იყვანდა ხოლმე, ხშირად იაფი მუშახელის ფუნქციას ასრულებდნენ.[2] ამდენად, იყო შემთხვევები, როდესაც ბავშვების მონური შრომა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოიყენებოდა. ამასთანავე, ამ მუხლით ხელისუფლება იტოვებდა გარკვეულ დროს, რათა ჩამოეყალიბებინა საკუთარი შეხედულება და ერთ აზრზე შეჩერებულიყო ბავშვთა აღზრდის საქმეში. ეს ცვლილება დიდხანს არ დარჩა ძალაში. უკვე 1926 წლის კანონში ბავშვთა შვილად აყვანის საკითხი დაკანონებული გახდა. ამ შემთხვევაში, თუ საქმე შეეხებოდა ათ წელზე მეტი ხნის ბავშვს, მაშინ გაშვილებამდე აუცილებელი იყო თავად ბავშვის თანხმობა. გარდა ამისა, სახელმწიფო გააკონტროლებდა მშობლებს, რომ მათ შვილად აყვანილი ბავშვი ისევე უნდა მიეღოთ როგორც საკუთარი და ერთმანეთისგან არ განესხვავებინათ.[3] ზოგადად, ამ კუთხითაც ჟურნალ-გაზეთები აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ და მოუწოდებდნენ მშობლებს, აეღოთ პასუხისმგებლობა მიტოვებულ ბავშვებზე. ეს საქციელი მათი საზოგადო ვალდებულება იყო.

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ ოჯახური კავშირის გაქრობაზე, რომელსაც ბოლშევიკი თეორეტიკოსები მომავალისთვის განიხილავდნენ, რაც თავისთავად გამოიწვევდა ბავ-

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 41.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 44.
[3] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 47.

შვებზე ზრუნვის გადანაწილების საკითხის წინა პლანზე დაყენებას. ამიტომაც, ბოლშევიკებს ამ მიმართულებითაც ჰქონდათ საკუთარი შეხედულებები ჩამოყალიბებული. კოლონტაი, რომელიც ეყრდნობოდა ენგელსის შეხედულებას ოჯახის ინსტიტუტის გაქრობის თაობაზე, მიიჩნევდა, რომ, როგორც საოჯახო საქმე, ისე მშობლის ვალდებულებები თანდათან გაქრებოდა. ხოლო კითხვაზე, თუ ვინ იზრუნებდა ბავშვებზე, პასუხი იყო – საზოგადოება: „საზოგადოება დააპურებს, აღზრდის და გაანათლებს ბავშვს. ქალებს შეეძლებათ, მუშაობა და დედობა ერთმანეთს შეუთავსონ. ბავშვები გაიზრდებიან ბაგა-ბაღებში. როცა დედას მოუნდება შვილის ნახვა, მხოლოდ ერთი სიტყვის თქმა იქნება საჭირო“.[1] ამდენად, ბავშვების აღზრდა, ბოლშევიკების უმეტესობის აზრით, უნდა გამხდარიყო საზოგადო საქმე. თუმცა, უთანხმოება კონკრეტულად როგორ და რანაირად განვითარდებოდა ეს პროცესი ნამდვილად არსებობდა. გ. ზინოვიევის მეუღლე ზლატა ლილინა მიიჩნევდა, რომ ბავშვების „ნაციონალიზება“ უნდა მომხდარიყო. ბავშვობიდანვე ყველას უნდა „ესწავლა კომუნიზმის ანბანი“, რათა ჭეშმარიტ კომუნისტებად ჩამოყალიბებულიყვნენ. „დედები უნდა დავავალდებულოთ თავიანთი შვილები გადმოგვცენ ჩვენ – საბჭოთა კავშირს“.[2] კრუპსკაია არ ეთანხმებოდა ამ მიდგომას და ბავშვების სოციალიზაცის სულ სხვაგვარად აღიქვამდა. მას სჯეროდა, რომ ამ ტერმინში იგულისხმებოდა არა მშობლებისგან ბავშვების წართმევა, არამედ ბავშვების აღზრდაში სახელმწიფოს და საზოგადოების ჩართულობის გაზრდა. ზოგადად, კრუპსკაია საინტერესო პიროვნება იყო ამ მიმართულებით და ბევრ განსხვავებულ იდეას ახმოვანებდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მაგალითისთვის გავიხსენებთ ჯერ კიდევ 1910 წელს დაბეჭდილ სტატიას, სადაც ლენინის მეუღლე მსჯელობს ბიჭებისთვის „ქალის საქმეების“: კერვა, ქსოვა, სამზარეულოს საქმეები“ სწავლების შესახებ და ასკვნის, რომ აუცილებელია, სოციალიზმის ქვეშ, ყველა ბავშვმა, განურჩევლად სქესისა, ისწავლოს ის საქმიანობა, რაც მომავალში, ცხოვრების განმავლობაში, მას დასჭირდება და გამოადგება.[3] ამდენად, საბჭოთა თეორიტიკოსები

[1] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. 10.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 7.
[3] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 8.

თანხმდებოდნენ, რომ ბავშვების აღზრდაზე უნდა ეზრუნა სახელმწიფოს, მაგრამ ერთობა ნამდვილად არ იყო, როდესაც ისმებოდა კითხვა „როგორ?“ აქ რამდენიმე ძირითადი კითხვა არსებობდა: მშობლებს უნდა ჰქონოდათ მთავარი როლი, თუ სახელმწიფოს უნდა შეეთავსებინა მშობლის როლი? ზოგიერთი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს თვითონ უნდა გაეზარდა ჯანსაღი მოქალაქეები, მეორე ნაწილი კი თვლიდა, რომ მხოლოდ უნდა მიხმარებოდა მშობლებს ბავშვების აღზრდაში.[1]

კიდევ ერთი გზა, რომელიც ქალის შრომის შემსუბუქების მიზნით განიხილებოდა, იყო საერთო სამზარეულოების შექმნა და სამზარეულოს „გასოციალიზება“. სამზარეულოები აღჭურვილი უნდა ყოფილიყო თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც გაუადვილებდა ქალებს საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით, კოლონტაი აცხადებდა, რომ „ქორწინებიდან სამზარეულოს გამოყოფა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ეკლესიისა სახელმწიფოსგან“.[2] ამ შედარებაში კარგად ჩანს, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბოლშევიკების ნაწილი საერთო სამზარეულოების შექმნას. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკისა, მოსახლეობაში საერთო სამზარეულოებმა დიდი ინტერესი ვერ გამოიწვია და, შეიძლება ითქვას, რომ ამ პროექტმა მარცხი განიცადა. ეტვუდი გამოყოფს სამ ძირითად მიზეზს, რომლის გამოც მოსახლეობის უმეტესობა უარს ამბობდა საერთო კვების ობიექტებითა და სამზარეულოებით სარგებლობაზე: 1. კვება უფრო ძვირი იყო; 2. ხშირ შემთხვევაში სასადილოები სავსე იყო და ამიტომ რიგში დგომა იყო საჭირო; 3. თითქმის ყველა სასადილოში იგრძნობოდა არასაკმარისი ჰიგიენა. მოგვიანებით ამას დაემატა ვირთხები, რამაც კიდევ უფრო გააღიზიანა მომხმარებელი და, შესაბამისად, სასადილოების პრესტიჟი თანდათან დაეცა.[3]

გარდა საერთო სასადილოების შექმნისა, ბოლშევიკების ნაწილი თვლიდა, რომ ქალის შრომას გაუადვილებდა საერთო საცხოვრებლების შექმნა. საზოგადოებრივი

[1] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. 9.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 37.
[3] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 37.

სახლები – „დომ-კომუნა“ – თავის პოპულარობის ზენიტს 1920-იან წლებში აღწევს.[1] განსაზღვრული გეგმის მიხედვით, საერთო საცხოვრებლებში იარსებებდა საჯარო სამზარეულოები, რომელშიც ქალთა შრომა გადანაწილებული იქნებოდა. შესაბამისად, ეს გახდებოდა ქალების საშინაო საქმისგან გათავისუფლების საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯი. საერთო საცხოვრებლებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ვინაიდან ქალაქებში საცხოვრებლის კრიზისი შეინიშნებოდა, ერთობლივი ცხოვრება ერთგვარი გამოსავალი უნდა ყოფილიყო მოსახლეობისთვის. თუმცა, ვერც ამ პროექტმა მოიპოვა წარმატება. მოსახლეობის უმეტესობა უკმაყოფილო იყო ერთად თანაცხოვრების მიზეზით. ჟურნალ „რაბოტნიცაში“ ხშირად უმაყოფილო მკითხველები საუბრობდნენ საერთო საცხოვრებლების უარყოფით მხარეებზე. მათ შორის დასახელებულია სამეზობლოში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციები, ასევე მძიმე ჰაერი, რომლის მიზეზი ხალხმრავლობა იყო. მაცხოვრებლები ალკოჰოლზე დამოკიდებული ხალხის სიმრავლესაც უჩიოდნენ.[2] ერთად თანაცხოვრება კი ამ ყველაფერს უფრო დრამატულ სახეს აძლევდა. ამ ყველაფერს თან დაერთო შემდეგი ფაქტორი, კერძოდ, მაცხოვრებლები არ იყვნენ მზად, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე, კულტურულად, ასეთი სახის თანაცხოვრებისთვის და ისევ კერძო საოჯახო ცხოვრების შექმნისკენ ისწრაფვოდნენ. კიდევ ერთი მიზეზი, რამაც განაპირობა პროექტის ჩაშლა, დიასახლისებს შორის ხშირი უთანხმოება გახლდათ. დიასახლისების ნაწილი უარყოფდა საზოგადოებრივი სახლის იდეას, რადგან არ სურდა „გაუთავებელი ბრძოლა წვრილმანების გამო და შეწყობა სხვებთან“.[3] ამდენად, უკვე 1931 წლისთვის ჟურნალებში იწერებოდა იმ შიშის შესახებ, რომ საერთო საცხოვრებლები, როგორც პროექტი, ჩაიშალა. ამდენად, ამ რეფორმის გატარება უფრო მეტი უარყოფითი შედეგის მომტანი გახდა, ვიდრე დადებითის. შედეგად, თანდათან საერთო საცხოვრებელების აგებაც შეწყვიტეს და სახელმწიფომაც შეცვალა პოლიტიკა ამ მიმართულებთ.

კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც 1920-იანი წლების საბჭოთა კავშირს ახასია-

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 38.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 39.
[3] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 108.

თებს ქალთა საკითხთან დაკავშირებით, არის ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1918 წლის კონგრესის რეზოლუციის საფუძველზე 1919 წლის სექტემბერში ქალების სექციის – „ჟენოტდელის“ შექმნა.[1] საჭირო იყო ქალების დარწმუნება, რომ ახალი რეჟიმი დაიცავდა მათ ინტერესებს. სწორედ ამ მიზნით დაარსდა 1919 წელს ჟენოტდელი ინესა არმანდის ხელმძღვანელობით.[2] 1920 წლიდან კი მას ა. კოლონტაი ჩაუდგა სათავეში. მოგვიანებით, 1922 წლის მარტში კოლონტაის დაპირისპირებამ ქვეყნის ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან (ნეპი), გამოიწვია მისი გადაყენება დაკავებული პოზიციიდან. კოლონტაი მიიჩნევდა, რომ ნეპი მიმართული იყო მუშებისა და ქალების წინააღმდეგ და უტოლდებოდა „კაპიტალიზმისკენ მიბრუნებას“.[3] ამის შემდეგ, 1925 წლამდე, სექციას სათავეში ჩაუდგა სოფია სმიდოვიჩი, ხოლო 1925 წლიდან სექციის გაუქმებამდე – 1930 წლამდე, ხელმძღვანელის პოსტს იკავებდა ალექსანდრა არტიუხინა.[4] ჟენოტდელი იყო პარტიის სექცია, რომელიც ეხმარებოდა/აქეზებდა ქალებს ახალი სოციალისტური საზოგადოების შექმნაში. ჟენოტდელი აწარმოებდა ქალი-დელეგატების შეხვედრებს და ამარაგებდა მათ სპეციალური მასალებით, დოკუმენტებით, ჟურნალებით. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალები აქტიურ პროპაგანდას უწევდნენ ქალთა ჩართულობის გაზრდას. აღსანიშნავია მოწოდება განათლების აუცილებლობის შესახებ. ჯერ კიდევ 1918 წელს ა. კოლონტაის თანამებრძოლი და ქალთა საკითხებით დაინტერესებული კონკორდია სამოილოვა საუბრობდა წერა-კითხვის ცოდნის აუცილებლობაზე და განმარტავდა, რომ „არა მარტო წერა-კითხვის ცოდნაა საკმარისი, არამედ აუცილებელია კონკრეტული ცოდნა დარგში და სწორედ ამიტომ აწყობს შესაბამის კურსებს საბჭოთა ხელმძღვანელობა“.[5] აღსანიშნავია, რომ სოფლად გოგონები ბავშვობიდანვე სწავლობდნენ ხალხურ ისტორიებს, ზღაპრებს, ლეგენდებსა და გადმოცემებს, მათ იცოდნენ მზარეულობა და სახლის საქმე. ამდენად, მათი განათლება იყო უფრო არაფორმალური, დაფუძნებული რიტუალებსა და ადგილობრივ

[1] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 58.
[2] Marcelline Hutton. Resilient Russian Women in the 1920s and 1930s. Lincoln, 2015, გვ. 36.
[3] Marcelline Hutton. Resilient Russian Women in the 1920s and 1930s, გვ. 49.
[4] Marcelline Hutton. Resilient Russian Women in the 1920s and 1930s, გვ. 36.
[5] Marcelline Hutton. Resilient Russian Women in the 1920s and 1930s, გვ. 38.

კულტურაზე, ვიდრე ფორმალური, ისეთი, როგორსაც სკოლა სთავაზობდა მოსწავლეებს.[1]

ხშირად ჟურნალებში იწერებოდა გამოგონილი მაგალითები ამა თუ იმ ქალის ისტორიის შესახებ და შემდეგ მკითხველს შეეძლო საკუთარი აზრის დაფიქსირება სტატიის პერსონაჟის შესახებ. ჟურნალი არწმუნებდა მკითხველს, რომ ის მხოლოდ ცოლი, დედა და დამლაგებელი კი არა, ყველაფერთან ერთად, მოქალაქეც იყო.[2] არამარტო ჟურნალები ასრულებდა ამ ფუნქციას, არამედ ახალი სახის ლიტერატურაც. ერთგვარი სიტუაციების ერთობლიობა, რომელიც წაგავდა საბჭოთა მოქალაქეების ცხოვრებას, წიგნებიდან ასწავლიდა ქალებს, როგორ უნდა ეცხოვრათ. საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ კოლონტაის წიგნი „მუშა ფუტკრების სიყვარული". ამ წიგნში ავტორი მოკლე, ადვილად გასაგები წინადადებებით, მარტივი სიტყვებით ცდილობს სათქმელის მკითხველამდე მიტანას. წიგნში ავტორი მესამე პირში მოგვითხრობს სხვადასხვა ქალების ისტორიას. ერთ-ერთია ვასილია მალიგინა, საბჭოთა მოქალაქე, რომელიც, პარტიის დახმარებით, შეძლებს და ხდება წარმატებული.[3] გზადაგზა ავტორი ამხელს მინიშნებებს, თუ რამ მიიყვანა ვასილია წარმატებამდე და როგორია ჭეშმარიტი საბჭოთა ქალის ცხოვრება. ამდენად, ეს და ამ წიგნის მსგავსი რომანები ხელს უწყობდა ცნობიერების შეცვლას ქალებში.

სახელმწიფო აქტიურად ცდილობდა დედების მდგომარეობის შემსუბუქებას. დედების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით იქმნებოდა ორგანიზაციები, რომელთა ძირითად ვალდებულებას წარმოადგენდა სწორედაც რომ დედებსა და მათ შვილებზე ზრუნვა. 1918 წელს კოლონტაიმ დააარსა დედათა და ბავშვთა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც შემდეგ პრინციპებს ემყარებოდა: 1. ბავშვის აღზრდა ქალის სოციალური ფუნქციაა, ხოლო სახელმწიფო უნდა დაეხმაროს მის განხორციელებაში. 2. სახელმწიფო მოვალეა დედა-მოქალაქეს მისცეს განათლება. 3. ბავშვები უნდა იყვნენ ფიზიკურად დაცულები; ძუძუთა კვება ქალის საზოგადოებრივი ვალდებულებაა. 4. ბავ-

[1] Marcelline Hutton. Resilient Russian Women in the 1920s and 1930s, გვ. 95.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 25.
[3] Alexandra Kollontai. Love of Worker Bees. Chicago, 1978, გვ. 22.

შვის აღზრდა უნდა მოხდეს სოციალისტური ოჯახის გარემოცვაში.[1] გარდა ამისა, შეიქმნა მარტოხელა დედების საზოგადოება, რომელიც აერთიანებდა ქალებს, რომლებიც ქმრებმა მიატოვეს. საზოგადოების შექმნის მიზეზი მარტოხელა დედებისთვის მძიმე ტვირთის შემსუბუქება იყო. უნდა ითქვას რომ ეს პროექტი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. მიზანი იყო, ქალებისთვის, რომელთაც ქმრები ღალატობდნენ ან მძიმე პირობებში ამყოფებდნენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ოჯახიდან ვერ მოდიოდნენ, საზოგადოება დახმარებოდა და საცხოვრებლად საკმარის პირობებს შეუქმნიდა.[2] კიდევ ერთ დეტალს უნდა მივაქციოთ ყურადღება. მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, საზოგადოებაში ქალთა საკითხებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება არსებობდა. „ჟენოტდელის“ მიმართ არამეგობრული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა ყველა საბჭოთა ინტიტუტი. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ დედათა და ბავშვთა დაცვის დეპარტამენტთან.[3] სამოილოვა გამოყოფს ორ კატეგორიას, რომელიც უგულისყუროდ იყო განწყობილი ქალთა ორგანიზაციის მიმართ: ერთნი, რომელიც არასაჭიროდ თვლიდნენ ქალთა სექციის არსებობას, რადგან მათ მიერ ჩატარებული საქმეები მიაჩნდათ, რომ შეეძლო სხვა რომელიმე საორგანიზაციო კომიტეტს აეღო საკუთარ თავზე; და მეორენი, ვინც თვლიდნენ რომ „ჟენოტდელის“ საქმიანობას დამოუკიდებელი ხასიათი ჰქონდა და არაფრით არ იყო დაკავშირებული საერთო პარტიულ საქმესთან.[4] მიუხედავად ამისა, „ჟენოტდელი“ პოპულარობით სარგებლობდა 1920-იან წლებში. თუ 1920 წელს მხოლოდ 853 ქალი-დელეგატი იყო, 1924 წელს უკვე მათი რიცხვი 58000 გახდა. შემდეგ წელს კი გაორმაგდა.[5]

სტალინიზმის დამკვიდრებასთან ერთად, ლოზუნგი „სოციალიზმი ერთ ქვეყანაში“ გააქტიურდა და, პარალელურად, ჟენოტდელის ფუნქცია შემცირდა. ზოგადად, სტალინის მმართველობის პერიოდი ახლებული მიდგომებით ხასიათდებოდა, მათ შორის, შეიცვალა ქალებისადმი მიდგომაც. ნაცვლად მათი გათავისუფლებისა, ქალი დე-

[1] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 108.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 107.
[3] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 60.
[4] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 60.
[5] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 61.

ლეგატების შეხვედრებზე კონცეტრირებას აკეთებდნენ პროდუქციის გაზრდაზე, პარტიის წამყვან როლზე, კლასთა ბრძოლის ინტესიფიკაციზე და სხვ.[1] პარტიული დისციპლინა და მხარდაჭერა სტალინისეული ეკონომიკური პოლიტიკის, გახდა უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე ქალთა თავისუფლება თავისთავად. ამიტომ, ამ გადმოსახედიდან ჟენოტდელის არსებობა აღარ იყო საჭირო. სწორედ ამიტომ, 1930-იანი წლების შუახანებში „ჟენოტდელი“ გაუქმდა.

თუ 1920-იან წლებში ქალთა ჟურნალი „რაბოტნიცა“ სთავაზობდა ქალებს ე.წ. ქალური საქმის კეთებას: ჭრა-კერვა, ქსოვა, აღმზრდელობითი საქმე, უკვე 1926 წლიდან მიდიოდა დებატები, თუ რამდენად შეეძლო ქალს ჩართული ყოფილიყო ლითონის მანქანების მუშაობაში. ეს ორი საქმე ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია, თუმცა სახელმწიფოს აღებული გეზი მოითხოვდა რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩართვას ინდუსტრიალიზაციაში. კაცების უმეტესობა უარყოფითად უყურებდა ამ ფაქტს, რადგან სჯეროდათ რომ ქალებს არ ეყოფოდათ ფიზიკური ძალა, მათ „კაცის“ საქმე არ უნდა გაეკეთებინათ.[2] ამდენად, მამრობითი სქესის წარმომადგენლები მტრულად შეხვდნენ ქალების პოზიციის გაძლიერებას და უმეტესად აგდებული დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. ამიტომ, ქალები, რომელთაც ჰყოფნიდათ გამბედაობა და გამოთქვამდნენ კურსების გავლის სურვილს, რათა შემდგომში მძიმე მეტალურგიის დარგში დასაქმებულიყვნენ, განიცდიდნენ საპირისპირო სქესის ზეწოლას. გარდა იმისა, რომ თავად საქმე იყო მძიმე, აშკარა იყო, მტრული დამოკიდებულება და დაცინვა ქალების მისამართით, ნაცვლად გამხნევებისა. სახელმწიფო განსხვავებული კუთხით მიუდგა ამ პრობლემას და დაიწყო ქალების შრომის პოპულარიზება. კერძოდ, ჟურნალების თუ გაზეთების გარეკანზე უფრო და უფრო ხშირად იბეჭდებოდნენ ქალები, რომლებიც ასრულებდნენ მამაკაცის საქმეს. თანდათან გაჩნდნენ „ეტალონი“ ქალები, რომლებიც კარგი მუშები, ტრაქტორის თუ ავტობუსის სამაგალითო მძღოლები იყვნენ.

კიდევ ერთი ძირითადი ცვლილება საბჭოთა კავშირში 1920 წელს უკავშირდება, როდესაც საბჭოთი რუსეთი გახდა მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელმაც აბორტი

[1] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 61.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 33.

დააკანონა.[1] სახელმწიფო ქალებს სთავაზობდა კანონიერ, უფასო პროცედურას ფეხ-მძიმობის შესაწყვეტად. 1885 წლის კანონმდებლობით, რუსეთში აბორტი ითვლებოდა კრიმინალურ დანაშაულად. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში უამრავი ქალი იყენებდა ამ მეთოდს. სამწუხაროდ, პროცედურის ჩატარებისას არ იყო დაცული ელემენტარული ჰიგიენის პირობები, რაც, ხშირ შემთხვევაში, დედის გარდაცვალებით ან ფიზიკური ნაკლის გაჩენით სრულდებოდა. საბჭოთა რუსეთში დიდხანს მიმდინარეობდა დავა ამ საკითხთან დაკავშირებით. შედეგად, 1920 წლის ნოემბერში ჯანმრთელობისა და სა-მართლიანობის კომისარიატმა აბორტის დაკანონება ამცნო ფართო საზოგადოებას. კანონის მიხედვით, აბორტის გაკეთების უფლება მხოლოდ და მხოლოდ ექიმს ჰქონდა, ბებიაქალებს, რომლებიც სოფლად ხშირად ითავსებდნენ ამ ფუნქციას, აეკრძალათ მსგავსი საქმიანობის გაგრძელება და, გამოვლენის შემთხვევაში, ისინი კანონის წინაშე დაისჯებოდნენ.[2] ჟურნალებში იწერებოდა მოსაზრება, რომ აბორტის დაკანონება გაზრ-დიდა მათ რიცხვს. ამ აზრის კონტრარგუმენტად გამოყენებული იყო შემდეგი ჰიპოთეზა: თავისუფალი აბორტი კი არ გაზრდის მათ რიცხვს, არამედ უზრუნველყოფს ორსული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ვინაიდან ოპერაცია ჩატარდება გა-მოცდილი ექიმის მიერ და საფრთხე არ შეექმნება პაციენტის სიცოცხლეს. თუმცა, აბორ-ტის დაკანონება დროებით მოვლენად მიიჩნეოდა. ბოლშევიკები ფიქრობდნენ, რომ როდესაც სოციალიზმის მშენებლობის გზაზე გაუმჯობესდებოდა ქალთა მდგომარეობა და დედებს ექნებოდათ საკმარისი საკვები, სამედიცინო მომსახურება თუ ბავშვთა მოვლის საშუალებები, ისინი თავად იტყოდნენ უარს აბორტზე. ამდენად, სახელ-მწიფომ, მართალია, მსოფლიოში პირველად, ქალებს მისცა არჩევანის თავისუფლება და შესაძლებლობა თავად განესაზღვრათ თავიანთი მომავალი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აბორტი როგორც ქალის უფლება, არ განიხილებოდა. ახალი დეკრეტი აბორტს „ბოროტებას“ უწოდებდა და მიესალმებოდა ფართო ფენებში აგიტაციას მის წინააღმდეგ.[3] ბოლშევიკები თვლიდნენ, რომ მას შემდეგ, რაც ქალების მდგომარეობა

[1] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 123.
[2] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. 255.
[3] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. 256.

გაუმჯობესდებოდა, ისინი თანდათან თვითონვე იტყოდნენ უარს აბორტის გაკეთებაზე და აღარ შეეშინდებოდათ დედობის. ამდენად, მომავალში ფეხმძიმობა უნდა გამხდარიყო მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერების ნიშანი და არა წუხილის მიზეზი. „აბორტი – როგორც მასობრივი ფენომენი, დაკარგავდა საკუთარ როლს მომავალში“.[1]

ალექსანდრა კოლონტაი, ქალთა უფლებების აქტიური დამცველი, იზიარებდა ამ პათოსს. საინტერესოა, რა იდგა ბოლშევიკების ამგვარი დამოკიდებულების მიღმა? ბოლშევიკების უმეტესობას და, მათ შორის, კოლონტაის, სწამდათ რომ „დედობა არ არის პირადი საქმე“.[2] მასაც სჯეროდა, რომ აბორტი გაქრებოდა მას შემდეგ, რაც სახელმწიფო შექმნიდა ძლიერ ინსტიტუტს ბავშვთა ზრუნვის, და ქალები კი, თავის მხრივ, გაიაზრებდნენ „ბავშვის გაჩენას, როგორც საზოგადო ვალდებულებას“.[3] ამდენად, რევოლუციის შემდეგ, პირველ პერიოდში გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი ხაზი, რომლის მიხედვითაც ხელისუფლებამ გაატარა ცვლილებები. პირველ რიგში, ყურადღება მიექცა ქალთა საკითხს და დაიწყო მსჯელობა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის აუცილებლობაზე. მიუხედავად, რამდენიმე პროექტის წარუმატებლობისა, რომელთა შესახებაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი (საზოგადო სამზარეულო, საერთო საცხოვრებელი და სხვ.), მიგვაჩნია, რომ 1920-იანი წლების დასაწყისში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ქალებისთვის ცალკე სტატუსის მინიჭება გახდა. ქალი, როგორც საკუთარი ქმრისგან განცალკევებული პირი, ისე განიხილებოდა, მას ჰქონდა საკუთარი პროფესიის, საქმის არჩევის უფლება. ეს კი ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

§3. სტალინი და ქალთა სტატუსი

მეორე პარაგრაფში ჩვენ განვიხილეთ ქალთა სტატუსი რევოლუციის შემდეგ ახლადშექმნილ სოციალისტურ სახელმწიფოში. ვეცადეთ, წარმოგვეჩინა ის ძირითადი იდეები და მოლოდინები, რომელთაც მთავრობა ისახავდა. მიმდინარე პარაგრაფში

[1] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. 256.
[2] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. 256.
[3] Wendy Goldman. Women, the State and Revolution, გვ. 257.

ვეცდებით განვიხილოთ შეცვლილი პრიორიტეტები, რომელიც თან მოჰყვა სტალინის მმართველობას.

1922 წლის აპრილში ცკ-ს პლენუმზე სტალინი აირჩიეს ცკ-ს გენერალურ მდივნად და ამ პოსტზე იმყოფებოდა 30 წელზე მეტხანს. ლენინის გარდაცვალების შემდგომ და მთავარი მოწინააღმდეგეების დამარცხების შედეგად, მისი ძალაუფლება ერთპიროვნული გახდა. ბოლშევიკების უმეტესობა მიიჩნევდა, რომ დაწყებული რევოლუცია უნდა გაგრძელებულიყო და მთელს მსოფლიოს მოსდებოდა. თუმცა ეს ასე არ მოხდა და საქმე ძალიან ნელა მიიწევდა წინ. ამ ყველაფერმა კი გამოიწვია ერთგვარი დისონანსი ქვეყნის შიგნით. როგორც ედუარდ კარი უთითებს, სტალინმა საჭირო დროს წამოაყენა სლოგანი „სოციალიზმი ერთ ქვეყანაში“ და მიმართულება მისცა სახელმწიფოს არსებობას.[1] ვინაიდან, ახლადშექმნილი სახელმწიფო მარტო იწყებდა ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მას სჭირდებოდა ეკონომიკური საფუძველი, ინდუსტრიული ბაზა, სოფლის მეურნეობის განვითარება, რათა გადაერჩინა საკუთარი თავი. სტალინმა საზოგადოებას წარუდგინა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ათი წლის ვადაში ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევას. 1928 წლის ოქტომბერში გაცხადდა პირველი ხუთწლედის გეგმა, რაც ითვალისწინებდა სწრაფ ინდუსტრიალიზაციას და კოლექტივიზაციას. შესაბამისად, ეს პუნქტი თავისთავად მოითხოვდა მუშახელის ზრდას. ამდენად, ქალები უნდა ყოფილიყო ის ბაზა, რომელიც შეავსებდა საჭირო ადგილებს. სწორედ ამ მიზეზმა განაპირობა ქალების როლის ცვლილება სტალინის მმართველობის პერიოდში.

მარქსისტური თეორიის ამოსავალი დებულება „ყველასგან – შესაძლებლობების მიხედვით, ყველას – საჭიროების მიხედვით“ შორეული მომავლისთვის გადაიდო. გაუქმდა თანაბარი ხელფასების შესაძლებლობაც და დამკვიდრებული მარქსისტული მიდგომა შეიცვალა შემდეგნაირად: „ყველასგან – შესაძლებლობების მიხედვით, ყველას – გამომუშავების მიხედვით“.[2] ამდენად, დაწესდა გარკვეული სამსახურეობრივი შკალა, რომელიც განსაზღვრავდა მცოდნე და უცოდინარი მუშის დონეს, მძიმე და მარტივ

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 79.
[2] Stephen J. Lee. Stalin and the Soviet Union. London, 1999, გვ. 55.

სამუშაო გარემოს და ხელფასსაც შესაბამისად გასცემდა. ამდენად, ქვეყანაში დაიწყო კოლექტივიზაციის და ინდუსტრიალიზაციის პროცესი. ლენინიც განიხილავდა კოლექტივიზაციის პროცესს, თუმცა სტალინისგან განსხვავებით, მას მიაჩნდა, რომ კოლექტივიზაციის პროცესი უნდა ყოფილიყო ნებაყოფლობითი. 1928 წელს, მხოლოდ 3% მიწების გახდა კოლექტივიზირებული. პარტიაში ერთსულოვნება საკითხთან დაკავშირებით არ იყო. ბუხარინი ფიქრობდა, რომ კოლექტივიზაციის პროცესი უნდა აჰყოლოდა „გლეხის ფეხის ნაბიჯს“.[1] ამ აზრს არ იზიარებდა თავად სტალინი და რაც შეიძლება სწრაფად სურდა შედეგის მიღწევა. ამაზე მეტყველებს სტალინის მოწოდება „კულაკების, როგორც კლასის ლიკვიდაციის“ შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, დაწყებული ცვლილებები მოითხოვდა ქალების აქტიურ ჩართულობას ქვეყნის მასშტაბით. სწორედ ამიტომ, წინა პლანზე გამოდის ახალი ტიპის ქალი, რომელიც აქტიური იქნებოდა და იმუშავებდა, მაგრამ ამავე დროს მისაბაძი დედისა და მეუღლის ფუნქციებს შეითავსებდა. პირველი ხუთწლედის დროს ქალების ჩართვა ინდუსტრიალიზაციის პროცესში სულ უფრო და უფრო აქტიური ხდებოდა. 1929-35 წლებში თითქმის ოთხი მილიონი ქალი ჩაერთო ანაზღაურებად სამსახურში, აქედან 1,7 მილიონი – ინდუსტრიაში. დასახული გეგმის მიხედვით, 1935 წლისთვის ინდუსტრიული მუშების 42% ქალები უნდა ყოფილიყვნენ.[2] ქალების ჩართვას წინააღმდეგობა მოჰყვა მამრობითი სქესის წარმომადგენლებისგან. მცდელობამ, შეეცვალათ დამოკიდებულება ქალების სამსახურში ჩაბმისადმი, შედეგი ვერ გამოიღო და ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავებები უფრო გააღრმავა. ამის გამოვლინება კი იყო პირდაპირი კონფლიქტები სამუშაო ადგილას. ჟენოტდელის გაუქმების შემდეგ, ქალებმა დაკარგეს სივრცე, სადაც თავიანთ გულისტკივილს გამოხატავდნენ.[3] მას შემდეგ, რაც ქალი გახდა სამუშაო ძალა, გაიზარდა განქორწინების და აბორტის მაჩვენებელი, საგრძნობლად დაეცა შობადობის დონე. ასევე აშკარა გახდა უწესრიგობა სკოლაში, გაიზარ-

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 81.
[2] Elena Shulman. Stalinism on the Frontier of Empire. New York, 2008, გვ. 38.
[3] Elena Shulman. Stalinism on the Frontier of Empire, გვ. 38.

და დანაშაული მოზარდებში.[1] ამ მიზეზების გამო, სახელმწიფომ გადაწყვიტა მკაცრად მისდგომოდა ამ საკითხს, დაიწყო მუშაობა „თავისუფალი სიყვარულის“ აკრძალვაზე. როგორც უკვე ვახსენეთ, ბოლშევიკებს შორის ისედაც არ იყო ერთსულოვნება ამ თემაზე. 1936 წლის კანონმა კი არა მხოლოდ გააძვირა განქორწინება, არამედ აბორტი კვლავ უკანონოდ აქცია. ამასთანავე, წასახალისებლად, დაიწყო დედების დაჯილდოება, რომლებიც მრავალშვილიანები იყვნენ და დიდ ოჯახებს უძღვებოდნენ.[2]

აღსანიშნავია, რომ თუ ბოლშევიკები სახელმწიფოს არსებობის პირველ პერიოდში საუბრობდნენ ოჯახის ინსტიტუტის თანდათანობითი გაქრობის შესახებ, ეს მიდგომა სრულიად შეიცვალა სტალინის დროს. სტალინმა, პირიქით, დაიწყო ოჯახის ინსტიტუტის, როგორც პოლიტიკური და იდეოლოგიური საყრდენის გაძლიერება. სტალინის პოლიტიკა უახლოვდებოდა ტრადიციული სოციალური პოლიტიკის ნორმებს. სტალინი უფრო კონსერვატიულად უყურებდა ამ საკითხს. ხუთწლიანი გეგმის შემდეგ შობადობის მაჩვენებლის დაცემამ კი განაპირობა ის, რომ მან უპირატესობა ძველმოდურ ოჯახებს დაუჭირა და არა ექსპერიმენტებს. ამასთან დაკავშირებით, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოთა საზოგადოების მკვლევარი გაილ ლაპიდუსი აღნიშნავს: ძველმოდური ოჯახები „როგორც სტაბილურობის კუნძულნი, საზოგადოებრივი ქაოსის ზღვაში“.[3]

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, მარქსიზმი ოჯახს მიიჩნევდა ბურჟუაზიულ ინსტიტუტად, რომელიც ექსპლუატაციას უწევდა როგორც პროლეტარიატის კლასს, ისე ქალებს, როგორც ცალკეულ ინდივიდებს. სისტემის შეცვლისთვის გამოიყენეს შემდეგი მეთოდები: ოჯახის ინსტიტუტის მოძველებულ ვარიანტად გამოცხადება, ქალის ნაწილობრივი გათავისუფლება გაყრის და აბორტის უფლების მინიჭებით და ბაზარზე თანაბარი უფლების მინიჭება.[4] თუმცა, ხსენებულმა რეფორმებმა საზოგადოებაში ფეხი ვერ მოიკიდა და ხშირ შემთხვევაში უარყოფითი რეაქციები გამოიწვია. სოციალური უკუქმედება იმდენად სერიოზული იყო, რომ სტალინმა ტრადიციონალიზმისკენ შემობ-

[1] Elena Shulman. Stalinism on the Frontier of Empire, გვ. 40.
[2] Elena Shulman. Stalinism on the Frontier of Empire, გვ. 40.
[3] G. W. Lapidus, Women in Soviet Society. 1979, გვ. 97.
[4] Stephen J. Lee. Stalin and the Soviet Union. London, 1999, გვ. 55.

რუნება სცადა და, შედეგად, 1935 წელს განქორწინების პროცესი გართულდა და გაძ-ვირდა, ხოლო 1936 წელს აბორტის გაკეთება კვლავ უკანონო გახდა.

ამდენად 1917 წლიდან 1936 წლამდე პერიოდში სოციალისტურმა სახელმწიფომ ოჯახის ინსტიტუტის შესახებ დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. დაწყებული ქალის თავისუფლებით და ოჯახის ინსტიტუტის გაუქმების თეორიით დასრულებული, პოლიტიკა მიზნად ისახავდა ოჯახის გაძლიერებას. 1936 წელს სა-ხელმწიფომ ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომელიც განსხვავდებოდა წინამორბედის-გან. ახალმა კონსტიტუციამ სცნო ქალის თანასწორი უფლებები შრომითი, კულტუ-რული თუ პოლიტიკური თვალსაზრისით. ქალებს შეეძლოთ ანაზღაურებადი სამსა-ხური შეეთავსებინათ დედობასთან, ესარგებლათ ანაზღაურებადი დეკრეტით, ასევე დედათა სახლების თუ საბავშვო ბაღების საშუალებით აღეზარდათ ბავშვები.[1] წინა კონ-სტიტუციით დაკანონებულმა აბორტის ლეგალიზებამ სასურველი შედეგი ვერ გამო-იღო და 1920-ანი წლების ბოლოს ზოგიერთ ქალაქში აბორტების რიცხვმა გადააჭარბა შობადობას.[2] თუ 1920-იანი წლების ბოლოს ჟურნალები ასწავლიდა ქალებს სხვადას-ხვა გზებს არასასურველი ფეხმძიმობის თავიდან ასაცილებლად, 30-იანი წლების შუაში სახელმწიფო აღარ ცდილობდა დახმარებოდა ქალებს ამ საქმეში და პირიქით არ-წმუნებდა, რომ რაც მეტი შვილი ჰყავდათ, უკეთესი იყო.

როგორც აღვნიშნეთ, აბორტის ლეგალიზებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და 1936 წლის 27 ივნისს გამოვიდა „კანონი ბედნიერი დედობის“ შესახებ, რომელმაც აბორტი არალეგალურად გამოაცხადა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დედის მდგომა-რეობა იყო საფრთხეში. აბორტის აკრძალვის ყველაზე ძლიერი მიზეზი შობადობის შემცირება გახლდათ, თუმცა, როდესაც კანონი გამოვიდა, იწერებოდა, რომ ამის მიზეზი ქალის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის დაცვა იყო. გაზეთები იუწყებოდნენ, რომ აბორტი იყო ძალიან საშიში მაშინაც კი, თუ მას პროფესიონალი ექიმი ას-რულებდა. აღსანიშნავია, რომ 1920 წელს როდესაც აბორტის ლეგალიზება მოხდა, ამის მიზეზად კვლავ ქალის ჯანმრთელობა სახელდებოდა (აბორტს ძირითადად ბებია-

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 83.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 115.

ქალები, აკეთებდნენ და ხშირად დედები იღუპებოდნენ).

ასევე მიდიოდა პროპაგანდა ჟურნალ-გაზეთებში, თითქოს არც ერთ საბჭოთა ქალს თავისი სურვილით არ უნდოდა აბორტის გაკეთება, რადგან ყველა ჯანმრთელ ქალს უნდა შვილი.[1] კაცები აშინებდნენ და აიძულებდნენ აბორტის გაკეთებას, რადგან მათ უნდოდათ სიამოვნება მიეღოთ უპასუხისმგებლო სექსუალური კავშირისგან და ეშინოდათ მოსალოდნელი მშობლის სტატუსის. ამ კანონით სახელმწიფო აცხადებდა, რომ ეს იყო სასჯელი ამგვარად მოაზროვნე მამაკაცებისთვის. ეს ეხებოდა არა მარტო დაუქორწინებელ კაცებს, არამედ ქმრებსაც. „აბორტი არის პატარა 5-7 წუთიანი ქმედება და შედეგად, აღარ მოგიწევს 9 თვის განმავლობაში სხეული და გარეგნობა დაიმახინჯო“, – ჟურნალისტების აზრით, ქმრები ამ სიტყვებით აძალებდნენ მეუღლეებს აბორტის გაკეთებას. ახალი კანონის მიხედვით, ექიმი რომელიც არალეგალურად ჩაატარებდა აბორტს, დაისჯებოდა 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. არასანიტარულ პირობებში ჩატარების შემთხვევაში კი – მინიმუმ სამ წლამდე. თუ პირს, რომელიც ოპერაციას ატარებდა, სამედიცინო განათლება არ ჰქონდა, მაშინ სულ მცირე 3 წლამდე ციხე იყო მოსალოდნელი. თავად ქალი, როგორც მსხვერპლი, მსუბუქად უნდა დასჯილიყო. პირველი მცდელობა „საზოგადოებრივი საქმიანობის აღსრულება“ იყო, განმეორების შემთხვევაში კი – ჯარიმა 300 მანეთი. ამ შემთხვევაში ქმარს ორ წლამდე ციხე ემუქრებოდა. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ აბორტის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა მამაკაცს უფრო მეტად ეკისრებოდა, ვიდრე დედას. ვფიქრობთ, ამას ორი მიზეზი ჰქონდა: 1. ქალებს არ უნდა დაჰკარგვოდათ სურვილი, გამხდარიყვნენ დედები; და 2. მამაკაცებს მაინც უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ოჯახში, ვიდრე ქალებს, ამიტომ, ამ გადაწყვეტილების მთელი სიმძიმე მათ კისერზე იყო. ამგვარად, გენდერული დისბალანსი, მიუხედავად ქალთა წინა პლანზე წამოწევისა, მაინც არსებობდა. 30-იან წლებში კომუნისტურმა რეჟიმმა გამოიწვია საშუალო კლასის ევოლუცია, რადგან ყურადღებას ამახვილებდა ქალის ბუნებრივ მოვალეობაზე – დედობასა და დიასახლისობაზე. რეჟიმს სურდა, რომ ქალებს მთელი ენერგია ოჯახისა

[1] «Материнство – это особенное чувство, оно прекрасно!». *Работница*, 1936, №17, გვ. 5.

და ბავშვებისკენ გადაეტანათ. ამას დასავლური ისტორიოგრაფია „დიდ უკანდახევას“ უწოდებს. ამის მაგალითად ასახელებენ 1936 წ. აბორტის კრიმინალიზაციას.[1] უნდა ითქვას, რომ აბორტის აკრძალვა უარყოფითი მოვლენა ნამდვილად იყო, თუმცა მოსალოდნელი, რადგან, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, 1920წ. ბოლშევიკები აბორტის დაშვებას დროებით მოვლენად აღიქვამდნენ. დაწესებული კანონის შედეგად, 1936 წლის შემდეგ შობადობა გაიზარდა, მაგრამ 1938-ში ისევ შემცირდა.[2] ქალები ახლა უკვე სხვა გზებით ცდილობდნენ არასასურველი ფეხმძიმობის თავიდან აცილებას.

საბჭოთა ქალების საკითხის ცნობილი მკვლევარი, ვენდი გოლდმანი მიიჩნევს, რომ 30-იან წლებში წარმოდგენილი ოჯახის მოდელი შეუთავსებელია ბოლშევიკების მიზნებთან, მაგრამ რიჩარდ სტაიტსი, არანაკლებ ცნობილი მკვლევარი ამ კუთხით, არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და საპირისპიროს ამტკიცებს – 1930-იან წლებში წარმოდგენილი ოჯახის მოდელი შესაბამისობაში იყო ბოლშევიკების ღირებულებებთან.[3]

შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს დავა ორ ძირითად მოსაზრებას შორის: ბოლშევიკებს ნამდვილად სურდათ ქალების გათავისუფლება და მათი დამოუკიდებელ პირებად ჩამოყალიბება, თუ ისინი უბრალოდ ათავისუფლებდნენ ქალს საშინაო სფეროდან, რათა მათი მუშაობა გამოეყენებინათ სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობისთვის. გოლდმანი თვლის, რომ არსებობდა სოციალისტურ-ლიბერტარიანული ტრადიცია ბოლშევიკებს შორის, მაგრამ საბოლოოდ ის 30-იან წლებში უნაყოფოდ დასრულდა, რადგან ინდუსტრიალიზაცია გახდა მთავარი არბიტრი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისას.[4] ამდენად, ინდუსტრიალიზაციამ თითქმის ყველა სფეროზე მოახდინა გავლენა. ისტორიკოსების ნაწილი კითხვას სხვანაირად სვამს და აცხადებს, რომ მთავარი ის კი არ არის, გაათავისუფლეს თუ არა კომუნისტებმა ქალი. არამედ მსჯელობა მიმდინარეობს ქმედების მიზანის გამოსარკვევად. ისტორიკოსების ეს ნაწილი ფიქრობს, რომ მიზანი ყოველთვის იყო საშინაო სფეროს გარ-

[1] Elena Shulman. Stalinism on the Frontier of Empire, გვ. 13.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 124.
[3] Elena Shulman. Stalinism on the Frontier of Empire, გვ. 13.
[4] Elena Shulman. Stalinism on the Frontier of Empire, გვ. 31.

დაქმნა და ქალის საოჯახო როლის სახელმწიფოსთვის დამორჩილება.[1] ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დიახ, ქალის როლი შეიცვალა, მან მიიღო არაერთი უფლება და დაეკისრა გარკვეული ვალდებულებები, მაგრამ ამ ცვლილებების უკან სახელმწიფოს პოლიტიკა მოიაზრებდა ქალთა ფენებში მომხრეების გაჩენის შესაძლებლობას და საოჯახო ცხოვრებაში ცვლილებების შეტანის გაადვილებულ პროცესს.

საბჭოთა კავშირში, როგორც აღვნიშნეთ, ქალის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად დედობა განიხილებოდა. დედობა საზოგადოებრივ ვალდებულებად ითვლებოდა, ამიტომ ყველა ქალი უნდა დამორჩილებოდა ამ ტენდენციას. სოციალისტური თეორიის მიხედვით, დედობა და ბავშვზე ზრუნვა არის არა ინდივიდუალური, არამედ საზოგადოებრივი საქმე. ა. კოლონტაი აცხადებდა, რომ დედობა უნდა გახდეს „წმინდა“, არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ პრაქტიკულადაც.[2] ლენინს მეუღლე ნადეჟდა კრუპსკაიას კი მიაჩნდა, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს დედაზე როგორც ფეხმძიმობის დროს, ასევე შემდგომში უნდა დაეხმაროს ბავშვების აღზრდაში. ბავშვების სწორი განვითარებისთვის ბაღების შექმნის აუცილებლობაც უკვე 1918 წლიდან იდგა სამოქმედო გეგმაში.

სტალინის მმართველობის პერიოდში ქალთა და დედათა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ხელს უწყობდა მომუშავე ქალებისთვის დაწესებული სარგებელი. კანონის მიხედვით, ყველა დასაქმებული ქალი იღებდა თექვსმეტკვირიან დეკრეტს, რომელიც არის სრულად ანაზღაურებადი. დეკრეტის ნახევარი შეეძლო გამოეყენებინა ბავშვის დაბადებამდე. ამას გარდა, მას შეეძლო დეკრეტის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში ანაზღაურების გარეშე სახლში დარჩენილიყო. ქალს, სურვილის შემთხვევაში, ჰქონდა რეგულარული ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებაც. ჰაიტლინგერი, რომელიც საუბრობს ქალთა პრივილეგიებზე, აღნიშნავს, რომ ევროპის მასშტაბით უკეთესი პირობები მხოლოდ სკანდინავიის ქვეყნებში იყო.[3] გარდა ამისა,

[1] Elena Shulman. Stalinism on the Frontier of Empire, გვ. 31.
[2] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 21.
[3] Alena Heitlinger. Women and State Socialism, გვ. 109.

ახალი კანონმდებლობის მიხედვით, დაურეგისტრირებელი ქორწინება ვეღარ გა-უთანაბრდებოდა დარეგისტრირებულს. დაუქორწინებელი დედა ვერ მიიღებდა შვი-ლისთვის მამის გვარს დაბადების მოწმობაში. გართულდა განქორწინების პროცესიც. ამიერიდან, ორივე პარტნიორი უნდა მისულიყო მმაჩის ბიუროში და დაედასტურებინა საკუთარი მოსაზრება. ასევე გაიზარდა განქორწინების ღირებულება და პირველ ჯერზე 50 მანეთს, მეორე შემთხვევაში – 150-ს, ყველა მომდევნო შემთხვევაში კი 300 მანეთს შეადგენდა.[1] აღსანიშნავია, რომ ყოველი განქორწინების მაჩვენებელი იწერებოდა პირის პირადობის დამადასტურებელ საბუთში.

კანონში კიდევ ერთი ცვლილება შევიდა – განქორწინების შემთხვევაში, თუ წყვილს ერთი საერთო შვილი ჰყავდა, ქმარს მოუწევდა ხელფასის მეოთხედი გადაეხა-და ყოფილი მეუღლისთვის, ორი შვილის შემთხვევაში – ხელფასის მესამედი, სამი და მეტი შვილის შემთხვევაში კი – ხელფასის ნახევარი. თუ მამაკაცი უარს იტყოდა დაკის-რებული ვალდებულების შესრულებაზე, მას გაასამართლებდნენ და ციხეში აგზავნიდ-ნენ სამ წლამდე ვადით.[2] საჭირო შემთხვევებში განიხილებოდა ხელფასის დაქვითვაც. თუ ყოფილი ცოლი და ყოფილი ქმარი ერთ ფაბრიკაში მუშაობდნენ, ხელმძღვანელი პირდაპირ ცოლს აძლევდა ქმრის ხელფასიდან ნაწილს. თუ სხვადასხვაგან მუ-შაობდნენ, ხელმძღვანელს უნდა გაეკონტროლებინა, თუ იხდიდა ქმარი დაკისრებულ ალიმენტს. ბავშვზე ზრუნვის შესახებ აღნიშნული იყო პასპორტშიც, შესაბამისად, მამაკაცებს ვერც ერთ სამსახურში, მათ შორის სამსახურის შეცვლის შემთხვევაშიც, თავის დაძვრენის საშუალება არ ჰქონდათ.[3] რა იყო ამ რეფორმის მთავარი მიზეზი? რაც შეიძლება ნაკლებ მამაკაცს გასჩენოდა ოჯახის მიტოვების სურვილი და დედობის ტვირთი შემცირებულიყო ქალისთვის.

როგორც ვხედავთ ქალის, როგორც დედის მიმართ სოციალისტური სახელმწიფო რამდენიმე პრივილეგიას აწესებდა. მიუხედავად ამისა, ბავშვების აღზრდის საქმე კვლავ დედის მოვალეობად, პასუხისმგებლობად აღიქმებოდა. უნდა

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 117.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 118.
[3] Р. Н. Гуревич. О Подпольном аборте. – *Работница*, №22, გვ. 12-13.

ითქვას, რომ საკითხი, მამაკაცებიც ჩარეულიყვნენ ამ საქმიანობაში, არც განიხილებოდა. ამ ასპექტით, ფემინიზმი და მარქსისტულ-ბოლშევიკური მიდგომა განსხვავდება ერთმანეთისგან. ფემინიზმი მამაკაცებსაც იმავე ვალდებულებას უწესებს ბავშვების აღზრდაში თუ „ქალის საქმის“ შესრულებაში, როგორსაც ქალებს.

აღსანიშნავია აქტიური პროპაგანდისტული მოქმედებები განხორციელებული ქალთა ჩართულობის გაზრდის მიზნით. პირველ რიგში, ამ ფუნქციას ჟურნალ-გაზეთები ასრულებდნენ, რომლებიც ვრცელდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. საილუსტრაციოდ, მოვიყვანთ ორ შემთხვევას. პირველი, ჟურნალი „რაბოტნიცა“, ხშირად ბეჭდავდა მკითხველის პირად ისტორიებს და მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ასევე იყო შემთხვევები როდესაც სტატიებში იდეოლოგიის გატარება პირდაპირი ხერხით ხდებოდა. 1936 წლის მარტში, „რაბოტნიცა“ ერთ სტატიას შემდეგნაირად ასათაურებს: „რას მოითხოვს პარტია კომუნისტების პირადი ცხოვრებისგან?“ რედაქტორი განმარტავს, რომ მართალია, პარტია არ განსაზღვრავს, ვინ ვისზე დაქორწინდება, მაგრამ „კომუნისტებმა უნდა აარჩიონ მეწყვილე ფრთხილად, რადგან კავშირი მუშათა კლასის მტრებთან დაუშვებელია! ეს არის პირველი საკითხი, რასაც პარტია მოითხოვს თავისი წევრებისგან“,[1] – ნათქვამია სტატიაში. პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს სათაური. თავად კითხვა „რას მოითხოვს პარტია?“ ვფიქრობთ, მიუთითებს გავლენაზე, რომელიც პარტიას ხალხზე ჰქონდა. შესაბამისად, ამ შეკითხვის დასმით, თავადაც აღიარებს, თუ პირდაპირ არა, ირიბად მაინც, მასაზე გავლენის არსებობას, და გარკვეულ ჩარჩოებს, რომელსაც „ნამდვილი კომუნისტი“ ემორჩილება. მეორე მხრივ, სირთულეს წარმოადგენს მუშათა კლასის მტრების ზუსტი განსაზღვრება. შესაძლებელია, მათ რიცხვში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადამიანები აღმოჩენილიყვნენ.

მეორე მაგალითი პირდაპირ მიუთითებს და აღწერს ქალთა ჩართულობის გაძლიერების მიზნით წარმოებულ პროპაგანდისტულ მიდგომას. საბჭოთა კავშირი გამოარჩევდა ხოლმე რამდენიმე ქალ-ეტალონს, რომლებიც საზოგადოებისთვის მისაბაძი ხდებოდნენ. ერთ-ერთი იყო პაშა ანგელინა – პირველი ტრაქტორისტი ქალი,

[1] Elena Shulman. Stalinism on the Frontier of Empire, გვ. 152.

რომელიც დაპირდა სტალინს რომ შექმნიდა ქალი ტრაქტორისტების ბრიგადას. პაშა ანგელინამ შეასრულა თავისი სიტყვა და 1937 წელს 53 ბრიგადა წარადგინა ერთობლივ შეხვედრაზე. ამ დამსახურების გამო ის ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.[1] პაშა ანგელინა ხშირად ყვებოდა იმ სირთულეებზე, რომელთა დაძლევაც მოუწია, განსაკუთრებით წინააღმდეგობასა და დაცინვაზე, რომელსაც მამრობითი სქესის წარმომადგენლები მიმართავდნენ. შთამბეჭდავი იყო ქალი ტრაქტორისტები, რომელთაც ხშირად ბეჭდავდნენ ჟურნალის ყდაზე, პოსტერებზე და იღებდნენ ფილმებშიც კი. ზოგადად, ტრაქტორი გახდა კოლექტივიზაციის და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ხოლო ქალი-ტრაქტორისტები – ქალის წარმატებული ემანსიპაციის სიმბოლო.[2] აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ ქალი ტრაქტორისტები იწვრთნებოდნენ მძღოლებად, სწავლის დასრულების შემდეგ მათ უჭირდათ სამსახურის მოძებნა.[3] ჟურნალ-გაზეთები ამ შემთხვევაშიც ცდილობდნენ სახელისუფლებო ხაზის გატარებას, მაგალითად, „კრესტიანკა“ მიმართავდა მამაკაცებს, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ქალის საქმე მხოლოდ „ძროხის მოწველა და ბავშვების აღზრდა იყო და არა მანქანა-დანადგარებთან მუშაობა“,[4] რომ ისინი თავისდაუნებურად „კლასობრივი მტრები“ ხდებოდნენ. მოცემულ პასაჟში, მართალია, იგრძნობა „ხალხის მტრის სტატუსით“ მანიპულირება, მაგრამ თავად შედეგი, რომლის მიხედვითაც ქალებიც მოიაზრებოდნენ ინდუსტრიული საქმის შემსრულებლად, უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. თუმცა კი, თავისი მოტივები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მიდგომასაც ჰქონდა.

ზოგადად თუ შევაფასებთ, უნდა ითქვას რომ სტალინის მმართველობის პირველ წლებში, სოფლად მცხოვრები ქალი რაციონალიზმის და რომანტიზმის ერთგვარი ერთობა იყო. ქალს, რომელიც კაცის გვერდით მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო სფეროში, ამასთანავე, სოფლის საბჭოში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მინიჭებული, მაგრამ ამავე დროს, სახლი რჩებოდა ქალების მთავარი პასუხისმგებლობის არეში.

[1] Melanic Ilic. Women in the Stalin Era. New York, 2001. გვ. 124.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 94
[3] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 95.
[4] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 95.

ქალები უნდა გამკლავებოდნენ მოძალადე ქმრებს, მაგრამ „თავიანთი კეთილი გულით ეპატიებინათ ყველაფერი“.[1] თვით ტრაქტორისტი ქალებიც კი, რომლებიც ასე თუ ისე რეალიზებული იყვნენ საზოგადოებაში, დარჩნენ ტრადიციულ „ქალურ არსებებად“. აღსანიშნავია, კიდევ ერთი დეტალი, როდესაც აღწერდნენ ქალ-ტრაქტორისტებს, მათ მდედრობით ბუნებას აღწერაშივე ესმებოდა ხაზი. „ქალი-ტრაქტორისტი სიყვარულით უყურებს ტრაქტორს, ისე, როგორც დედა – თავის გმირ-შვილს“.[2] ამ პასაჟში, აშკარად ჩანს ორი მთავარი ფაქტი: 1. სახელმწიფო ხელს უწყობდა ქალების დაწინაურებას ყველა სფეროში, მათ შორის, „მამაკაცურ საქმიანობაშიც“; 2. ქალებს, რაც არ უნდა გაეკეთებინათ და როგორი პროფესიაც არ უნდა აერჩიათ, მაინც აღიქმებოდნენ შედარებით სუსტ არსებებად, რომელშიც დედობრივი შეგრძნებები ყველაფერზე ძლიერი იყო.

კიდევ ერთი საინტერესო მოძრაობის დაწყება უკავშირდება სტალინის მმართველობას. 1935 წლიდან მუშათა შორის დაიწყო ე.წ. სტახანოვური მოძრაობა. ეს მოძრაობა ქვანახშირის მუშის ალექსი სტახანოვის სახელს უკავშირდება, რომელმაც 1935 წ. 7 ტონის ნაცვლად 102 ტონა ქვანახშირის მოპოვება შეძლო. სინამდვილეში საქმე ცოტა სხვაგვარად იყო, ალექსი სტახანოვს თავის სექტორში სამუშაო გაუნახევრეს, რის გამოც მას თავისუფლად მოქმედების საშუალება ჰქონდა. ხოლო, დამატებითი სამუშაო, რომელსაც ჩვეულებრივ ის ასრულებდა, მისი თანამშრომლების მიერ სრულდებოდა.[3] თუმცა, მიზანი, ამ „აქციის“ ერთადერთი და ნათელი იყო – ჩვენება თუ რა საფეხურს აღწევს სოციალიზმი თავისი მოქალაქეების დახმარებით და რამდენის გაკეთება შეუძლია მონდომებულ სოციალიზმის მაშენებელ პიროვნებას. ამის შემდეგ, 1936 წელი პირველ სტახანოვურ წლად გამოცხადდა. სტალინის აზრით, „ახალი ხალხი ლენინის და სტალინის პარტიით ამაღლებული, ნამდვილი სასწაულის შემოქმედნი არიან“.[4] სტახანოველები საზოგადოების ინსპირაცია უნდა ყოფილიყვნენ. სტახანოვი იყო პირველი, რომელიც შემდეგში ნორმა გახდებოდა. სტახანოვური მოძრაობა იყო „ახალი ხალხის,

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 96.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 96.
[3] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 98.
[4] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 98.

ახალი დროისა და ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობების“ ერთიანობა.[1]

1936 წლისთვის მუშების მესამედი სტახანოველი იყო. ეს იყო „უბრალო და თავმდაბალი ხალხის ერთობა“, რომელიც დიდებისა და გამდიდრებისკენ არ ისწრაფვოდა. მათ დამსახურებისთვის აძლევდნენ დამატებით ხელფასს, სამოგზაურო ტურებს შავ ზღვაზე, რადიოს, წიგნებს, საკვების ამანათებს და, რაც მთავარია, უკეთეს საცხოვრებელს ქალაქში. ამდენად, ამან ხალხს საშუალება მისცა დაეგროვებინათ ხელფასი და შემდეგში ეს ხალხი იქცა ახალ საბჭოთა საშუალო კლასად. სტახანოვურ მოძრაობაში ქალებიც აქტიურად ჩაებნენ. ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე, ისინი გარკვეულწილად ახერხებდნენ პროდუქტიულობის გაზრდას. მათ სჯეროდათ „სოციალიზმის მშენებლობის“ და თავსაც არ ზოგავდნენ. ქალი სტახანოველები გამოირჩეოდნენ წარმატებებით. პირველ რიგში, ისინი ინოვაციური იდეების მომწოდებლები იყვნენ. მაგალითისთვის უნდა გავიხსენოთ ლენა კონდაროვა, რომელმაც რამდენიმე სამანქანო დანადგარის ერთდროულად ჩართვის სპეციფიკა შეიმუშავა.[2]

ქალებს ჰქონდათ ძლიერი მიზეზი და ამბიცია, ეჩვენებინათ საპირისპირო სქესისთვის, თუ რისი გაკეთება შეეძლოთ ქალებს. ამიტომ მათი დევიზი იყო ყველაფრის „საუკეთესოდ გაკეთება“. მაგალითად, მფრინავი პოლინა ოსიპენკოს სურვილი იყო „ეფრინა უფრო მაღლა და უფრო შორს და უფრო სწრაფად“, ვიდრე ყველა დანარჩენ გოგონას მსოფლიოდან.[3] ქალების აქტიურობას განაპირობებდა ასევე სამშობლოსთვის წარმატების მოტანის სურვილი. გარდა ამისა, იყო მეორე მიზეზი – სიყვარული ბელადისადმი. ერთ-ერთმა საბჭოთა მოქალაქემ, ანა მოროზოვამ 10 მანქანის ამოქმედება შეძლო ერთდროულად, მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალით იხილა „საყვარელი ლიდერი და მასწავლებელი სტალინი“.[4] თავად ფაქტი რთული დასაჯერებელია, თუმცა, საბჭოთა პროპაგანდა აქტიურად იყენებდა მიზნის მისაღწევად. როგორც ჟურნალ-გაზეთებში იწერებოდა, პაშა ანგელინა – ცნობილი ტრაქტორისტი ქალიც შთაგონებული იყო „მამა-სტალინის“ იდეით და მიზნის მისაღწევად მას, როგორც ინსპირაციას იყენებ-

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 98.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 99.
[3] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 100.
[4] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 101.

და. ზოგადად, სტალინის მამად აღქმის მცდელობა ახალი არ იყო. ჯერ კიდევ რუსეთის იმპერატორი აღიქმებოდა რუსეთში „ბატიუშკად“, და ამ შემთხვევაში იმავე ფუნქციას ითავსებდა სტალინი.[1] ამდენად, სტახანოველი ქალები აერთიანებდნენ ახლად-შეძენილ მამაკაცურ მახასიათებლებს და ტრადიციულ ქალურ ღირებულებებს.

მიუხედავად წარმატებებისა, სტახანოველი ქალები ვერ ითავსებდნენ მრავალშვილიანობას, რომელიც 1930-იანი წლებიდან ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა გახდა და მოგვარებას საჭიროებდა, რთული დემოგრაფიული პირობების გამო. პირველმა ხუთწლედმა აჩვენა, რომ შობადობის მაჩვენებელი კატასტროფული იყო. მაშინ როცა, ქალი სტახანოველები ირჩევდნენ კარიერას, ეს თავისთავად განაპირობებდა იმას, რომ უმრავლესობა უშვილო და გაუთხოვარი რჩებოდა, ამიტომ ისინი ვერ იქნებოდნენ იდეოლოგიურად „ახალი საბჭოთა ქალის“ განსახიერება. მართალია, ისინი იყვნენ თავდადებული მომუშავეები, მაგრამ მისაბაძი მაგალითი ყველა ქალისთვის ისინი ვერ გახდებოდნენ. სახელმწიფოს პოლიტიკა მოითხოვდა დედის კულტის გაძლიერებას და დემოგრაფიული პოლიტიკის გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ სტახანოველები უმეტესად ობოლი ან მძიმე წარსულის მქონე ოჯახებიდან იყვნენ, რომელთაც „ოჯახური სითბო კოლექტივში იპოვეს“.[2] ისინი საბჭოთა საზოგადოებას ერთ დიდი ოჯახად აღიქვამდნენ, ხოლო ამ ოჯახის მმართველი სტალინი იყო.

ცალკე განსახილველი საკითხია, რამდენად იყო ყველა ქალი ერთსა და იმავე მდგომარეობაში. კულაკებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელი ქალბატონებისთვის ეს იყო ყველაზე საშინელი წლები. 1930-იანი წლების ბოლოს კი კლასთა შორის განსხვავებები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.[3] 30-იანმა წლებმა გააადვილა განათლებაზე წვდომა და გაიზარდა დასაქმება, თუმცა კლასთა შორის განსხვავებები კიდევ უფრო გამწვავდა. გაჩნდა დამსახურებული და თავის საქმიანობაში გამორჩეული კაცების ცოლების კლასი, რომელთაც მოუწოდებდნენ, ეზრუნათ მხოლოდ ქმრებზე და

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 103.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 102.
[3] Marcelline Hutton. Resilient Russian Women in the 1920s and 1930s, გვ. 215.

ასე ემსახურათ ქვეყნისთვის.[1] კიდევ ერთი პოზიცია, რომელიც ქალებს აძლევდა საშუალებას გამხდარიყვნენ ქვეყნის „ყველაზე გასაოცარი რანგის ნაწილი“ – სტახანოველების ცოლობა იყო. ისინი თავად არ ამყარებდნენ რეკორდს, მაგრამ მხარში დგომით სტახანოველ ქმრებს უქმნიდნენ ყველა პირობას, რათა ემსახურათ ქვეყნის წინაშე. ეს გულისხმობდა სახლის მოწესრიგებას, ინტერესს ქმრის საქმიანობისადმი, შვილების სამაგალითოდ აღზრდას და სხვ. ასეთ ქალებს უნდა ეპოვათ დრო და საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობის გაფართოებაზეც ეზრუნათ, რადგან ქმრებს სჭირდებოდათ საინტერესო და კულტურული კომპანიონიონები. მართალია, ამ რანგის ოფიციალური სამსახური არ ჰქონდათ ქალბატონებს, მაგრამ სტახანოველების ცოლებს შეეძლოთ შეეეტანათ წვლილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში: ბიბლიოთეკების, სასადილოების, ბაღების შექმნით. თუმცა, მიუხედავად ამ საქმეებისა, სტახანოველების მეუღლეების მთავარი კონტრიბუცია საზოგადოებისთვის ქმრების მხარდაჭერა იყო.

აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი, რომელიც 1936 წლის კონსტიტუციამ დაამკვიდრა. „მუშაობა სავალდებულოა სსრ-ში, ეს არის ღირსების საქმე ყველა მოქალაქისთვის, რომელსაც შეუძლია მუშაობა და ვინც არ მუშაობს, არ ჭამს“,[2] – ასეთი იყო კონსტიტუციის პათოსი. საინტერესოა, განვიხილოთ, როგორ მოქმედებდა მოცემული კანონი ქალებთან მიმართებაში. განარჩევდნენ ქალთა ორ კატეგორიას: დიასახლისის პოზიტიური ფენომენი და დიასახლისის ნეგატიური ფენომენი. ზემოხსენებულ სტახანოველების მეუღლეებს და ასევე ქალებს, რომლებიც დაქორწინებული იყვნენ საბჭოთა ელიტის წარმომადგენლებზე: ინჟინრებზე, წითელი არმიის ოფიცერებზე და სხვ., სრული უფლება ჰქონდათ, არ ემუშავათ და პირიქით, სახელმწიფო ამ კატეგორიის ქალებისგან არც მოითხოვდა მუშაობას. თავისთავად ისმის კითხვა, თუ რა იყო ამის მიზეზი. მიიჩნეოდა, რომ ქალებს უკვე შეჰქონდათ თავიანთი წვლილი სოციალიზმის მშენებლობაში, რადგან ისინი საკუთარ თავს უძღვნიდნენ ქმრების კეთილდღეობას, რათა მათთვის საუკეთესო პირობები შეექმნათ და წარმატების მიღწევის გარანტი ყოფილიყვნენ.[3]

---

[1] Marcelline Hutton. Resilient Russian Women in the 1920s and 1930s, გვ. 215.
[2] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 111.
[3] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 111.

რაც შეეხება მეორე კატეგორიას, სრულგანაკვეთიანი დიასახლისები, რომლებიც უბრალო მუშებზე იყვნენ დაქორწინებული და არა ელიტის წარმომადგენლებზე ან სტახანოველებზე, წარმოდგენილი იყვნენ სულ სხვა კუთხით. მათი საქმიანობა არ იყო საზოგადოებრივი მნიშვნელობის, რადგან მათი ქმრებს დიდი მიღწევები არ ჰქონდათ. სხვა სიტყვებით თუ განვმარტავთ, ამ კატეგორიის ქალები მხოლოდ საკუთარ ოჯახზე ზრუნავდნენ და არა საზოგადოებაზე.[1] ამიტომ ჟურნალები, თავიანთ სტატიებში ხშირად „არცხვენდა“ ასეთ ქალებს, რომელთაც „არ ჰქონდათ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა“ და მოუწოდებდნენ სამსახურში აქტიური ჩაბმისკენ. რა თქმა უნდა, მიდგომა არასწორი იყო, მაგრამ მიზანი ერთადერთი და ნათელი – „შერცხვენის“ მეთოდით ცოლებსა თუ ქმრებზე გავლენის მოხდენა. და მაინც როგორი უნდა ყოფილიყო ახალი ტიპის ქალი? ამ კითხვაზე თავად სტალინი პასუხობდა და აცხადებდა, რომ „ჩვენ არ გვყოლია ასეთი ქალები წარსულში... ეს სრულიად ახალი ხალხია“.[2] ამდენად, ქალი-გმირების ფენომენი გადმოდის წინა პლანზე. სტალინის მმართველობის დროს ქალების დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო: ფიზიკური სიძლიერე, მზადყოფნა და გმირობის სურვილი. ინდუსტრიალიზაციის დაწყებიდან ქალები წარმოდგენილი იყვნენ შრომის გმირებად მამაკაცებთან ერთად და ამ გზით თავიანთი წვლილი შეჰქონდათ საზოგადოებაში. 1930-იანი წლების განმავლობაში იყო ერთგვარი მოსალოდნელი ომის საფრთხე, ამიტომ ქალებს კაცებზე არანაკლები როლი უნდა ეთამაშათ ქვეყნის დაცვაში. ქალებს უნდა შეენარჩუნებინათ ინდუსტრია იმ შემთხვევაში, თუ კაცები იბრძოლებდნენ და, საჭიროების შემთხვევაში, ქალები იბრძოლებდნენ მტრის წინააღმდეგ საკუთარი ხელებით კაცებთან ერთად და „მტერს მიუშვერდნენ მკერდს ქვეყნის დასაცავად“.[3] ამ მიზნების განხორციელებას სჭირდებოდა საჭირო პირობები, ამიტომ, 1930-იანებში დიდი ყურადღება მიექცა ფიზიკურ აქტივობას, სპორტს. ჟურნალებში იწერებოდა, რომ ათლეტური გარეგნობა მნიშვნელოვანია, ის ქალს ლამაზს და ჯანსაღს ხდის, მთავარი მიზანი კი არის მზადება მუშაობისა და თავდაც-

[1] Lynne Attwood. Creating the New Soviet Woman, გვ. 113.
[2] *Работница*, 1938, №4, გვ. 22.
[3] Е. И. Озерова. Разбить врага гранатой. *Работница*, 1939, №4, გვ. 8.

ვისათვის. ამდენად, თანდათან უფრო აქტიური გახდა სროლის და ფრენის შემსწავ-ლელი კლუბები ქალებისთვის, „რათა დაეცვათ საბჭოთა ქვეყანა“. ისინი სწავლობდნენ იარაღის ხმარებას. ქალი პარაშუტისტები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ თუ საჭირო გახდებოდა, ისინი მზად დედა-სამშობლოს დასაცავად“.[1] ამდენად, ომის შემთხვევაში, საბჭოთა ქალი თითქმის უტოლდებოდა კაცს. როგორც აღვნიშნეთ, სტალინის აზრით, საქმე სრულიად ახალი სახის ქალთან გვქონდა, რომელიც შეითავსებდა განსხვავებულ ფუნქციებსაც, მათ შორის, ჩაებმებოდა საომარ მოქმედებებში გარკვეული დოზით.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ სტალინის მმართველობის პერიოდში დაიწყო ქალთა აქტიური ჩაბმა როგორც ინდუსტრიალიზაციის, ისე კოლექტივიზაციის მიმარ-თულებით. მიუხედავად ამისა, ქალის პირველად საზოგადოებრივ მოვალეობად მაინც დედობა დარჩა. ამ კუთხით გატარდა სხვადასხვა ცვლილება, რათა, ერთი მხრივ, გაუმჯობესებულიყო დემოგრაფიული მაჩვენებელი, მეორე მხრივ კი, ქალებს გაადვი-ლებოდათ ბავშვების აღზრდა.

[1] К. К. Воробьева. Ворошиловский стрелок №226459. *Работница*, 1935, №4, გვ. 7.

თავი II

ქართველი ქალების მდგომარეობა საბჭოთა კავშირში

§1. ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გატარებული ღონისძიებები

ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ქართველი ქალების მდგომარეობის გამორკვევა საბჭოთა კავშირში სტალინის მმართველობის დროს. წინა პარაგრაფებში საუბარი მიმდინარეობდა ზოგადად, ქალთა სტატუსის ცვლილებაზე, ახალი ტიპის ქალზე, რომელიც მთლიანად სსრკ-თვის იყო დამახასიათებელი. მიმდინარე თავში, შევეცდებით საარქივო მასალებზე დაყრდნობით, წარმოვადგინოთ ქალთა სტატუსი საბჭოთა საქართველოში.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, განიხილავს რა ქალთა ემანსიპაციის საკითხს 1925 წელს, პრობლემის გადაჭრის შემდეგ გეგმას სთავაზობს: 1. ყურადღება მიექცეს ქალი გლეხების უფლებებს სამიწო რეფორმის გატარებისას, რესპუბლიკებსა და რეგიონებში; 2. გაგრძელდეს და გაფართოვდეს მუშა ქალთა ჩართვა საბჭოთა მშენებლობის ყველა ფორმაში; 3. სისტემატიურად მოხდეს განსაკუთრებით აქტიური ქალების დაწინაურება საპასუხისმგებლო საქმიანობზე – „დაიწყოს ქალმა სამუშაო სოფლის საბჭოში და დაამთავროს რესპუბიკის ცენტრალურ ორგანოში“; 4. აჩვენოს კომისიამ მორალური და მატერიალური მხარდაჭერა ქალების ყოველდღიური ცხოვრებიის გაუმჯობესების საქმეში; 5. გააქტიურდეს ორგანიზაციების მუშაობა ქალთა ემანსიპაციისთვის, ჩართონ ქალები ქალთა კლუბებში, ბაღების საქმიანობაში და სხვ.[1]

ამ მიზნების მისაღწევად საჭირო იყო სხვადასხვა ღონისძიებების გატარება. ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საბჭოთა საქართველოში ჩამოყალიბდა ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისია, რომელიც თანამშრომლობდა შრომის სახალხო კომისარიატთან. მათი ერთობლივი მუშაობის შედეგად დადგინდა წლიუ-

[1] საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი (შემდგომში სსცა), ფ. 284, აღწ. 1, ს. 206, ფურც. 3.

რად 8,100 მანეთის გამოყოფა საქართველოსთვის, ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმ-ჯობესებელი კომისიის საქმიანობის სასარგებლოდ.[1] აღნიშნული კომისიის ძირითადი მიზანი იყო: ქალთა ყოფაცხოვრების შესწავლა; ქალთა კომისიების დაქვემდებარება საბჭოთა ხელისუფლებისთვის; ხელის შეწყობა მუშა ქალთა და მოჯამაგირე ქალთათ-ვის ისეთი ორგანიზაციების შექმნა, რომელიც ქალს გამოიყვანდა მონური მდგომარეო-ბიდან.[2] საქ. ცაკ-ის დადგენილებაში მუშა ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტების დებულების დამტკიცების შესახებ, ვკითხუ-ლობთ, რომ კომიტეტი ხელს შეუწყობს ქალთა შორის განათლების გავრცელებას, წე-რა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის მიზნით.[3] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომიტეტი ცალკე აღრიცხავდა ქალებს, რომლე-ბიც ოჯახური პირობების გამო ვერ ერთვებოდნენ სალიკვიდაციო სკოლებში. სპეცი-ალურად მათთვის სახლში დადიოდა მასწავლებელი, რომელიც წერა-კითხვას ასწავ-ლიდა დიასახლისებს.[4] უკვე 1930 წლიდან ხელი შეეწყო ქალთა გააქტიურებას საწარ-მოო კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.[5] ამასთანავე, კომისია იბრძოდა კულტურული ჩამორჩენილობის წინააღმდეგ. კომისია ვალდებული იყო ეპასუხა შემდეგი კით-ხვებისთვის: რამდენად ხდებოდა ქალთა გადამზადება, გეგმიური ჩართვა მრეწვე-ლობაში, სასოფლო-სამეურნეო საქმესა თუ კულტურულ მშენებლობაში? იყვნენ თუ არა ქალები ჩართულნი საბჭოების და აღმასრულებელი ორგანოების მუშაობაში, კოოპე-რატივებსა და პროფესიონალურ გაერთიანებებში.[6] გარდა ამისა, უნდა გამორკვეული-ყო, თუ რამ გამოიწვია ქალთა კლება კაცებთან შედარებით არტელებში, ასევე, კომი-სიის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ განსაკუთრებით სუსტი ჯანმრთელობის მქონე ქა-ლები, მენსტრუალური ციკლის დროს, დროებით უნდა გათავისუფლებულიყვნენ სამ-სახურისაგან. ასევე, საჭირო გახდა სამუშაო ადგილების სიის გადახედვა, რათა გამოვ-ლენილიყო ქალებისთვის მავნებელი სამუშაოები და შემდეგში ისინი ამ პოზიციაზე არ

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 595, ფურც. 2.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1108, ფურც. 7.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1669 , ფურც. 6.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1955, ფურც. 2.
[5] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1669, ფურც. 6.
[6] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1697, ფურც. 7.

დაიშვებოდნენ.[1]

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება მოცემული მონაკვეთიდან? ერთი, რომ ხელისუფლებაში კარგად აანალიზებდნენ ქალთა რთულ ყოფით პრობლემებით დატვირთულ ცხოვრებას, თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ ამ მიზეზის გამო ქალებს შეეძლოთ სამსახურზე უარის თქმა, პირიქით, სამსახურის ქონა ქალის ვალდებულებაში უკვე ფიქსირდება. თუმცა, როგორც მოცემულ პასაჟში ჩანს, ამ შემთხვევაში სამსახურებს შორის არსებობდა ერთგვარი დაყოფა. კერძოდ, არსებობდა ქალისთვის შესაფერისი და შეუსაბამო სამსახურები. შეუსაბამობას ძირითადად განსაზღვრავდა სამუშაო, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მოქმედებდა და რამდენად შეუშლიდა ხელს ქალს ჰქონოდა ოჯახი. შესაბამისად, სახელმწიფო, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა შობადობის მაჩვენებლის გაზრდა, ზრუნავდა მომავალ თუ უკვე არსებულ დედებზე, რათა მათ ჯანმრთელობას რაიმე სახის პრობლემა არ შექმნოდა და ხელი არ შეეშალა დედობისთვის. ამ მონაკვეთში, საბჭოთა მსოფლმხედველობა სცდება ფემინისტურ მოდელს, რომლის მიხედვითაც ქალისა და მამაკაცის განსხვავება სამსახურის სახეობის მიხედვით არ ხდება. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად სქესთა შორის თანასწორობის აღიარებისა, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საბჭოთა იდეოლოგია იზიარებდა ე.წ. მახასიათებლების მიხედვით დაყოფის სისტემას, რაც გულისხმობს, თუნდაც, კონკრეტული სამსახურის განსაზღვრას ქალებისთვის. სწორედ ამიტომ, საბჭოთა საქართველოში არსებობდა ე.წ. „ქალური პროფესიები“ – მასწავლებელი, აღმზრდელი საბავშვო ბაღში, მზარეული და სხვ., რომლებიც ქალებისთვის შესაფერისად მოიაზრებოდა. ეს მიდგომა მეორე ხუთწლედის შემდეგ იცვლება და ახლა უკვე ქალების ჩართვა ინდუსტრიაში, თუ ტრაქტორის სამართავად აღწევს პროპაგანდისტულ სიმაღლეს (ამის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი – ნ.მ.). მიუხედავად ამისა, ნორმად მაინც არ ქცეულა და, უნდა ითქვას, თავად სახელმწიფოც არ ცდილობდა ეს ნორმა ყოფილიყო. ვინაიდან ამ ტიპის ქალები, რომლებიც განსაკუთრებით წარმატებულები გახდნენ „მამაკაცური პროფესიებით“, ვერ იქნებოდნენ საბჭოთა ქალი-ეტალონები, რადგან მათ ძირითადად ოჯახები

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 595, ფურც. 20.

არ ჰყავდათ, ხოლო საბჭოთა იდეოლოგია დედის კულტს ამკვიდრებდა, ამდენად, ახალი ტიპის ქალი უნდა ყოფილიყო წარმატებული დედა და წარმატებული მუშაკი.

ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, როგორც აღვნიშნეთ, ფუნქციონირებდა კიდევ ერთი ორგანიზაცია – დედათა და ბავშვთა შემნახველი დეპარტამენტი. საქართველოში დედათა და ჩვილთა უსაფრთხოების განყოფილებამ მუშაობა 1921 წლის აპრილში დაიწყო. დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხი დეპარტამენტის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენდა. დეპარტამენტის მიზნებს შორის მოიაზრებოდა: ბავშვთა სიკვდილიანობის დაძლევა, ბავშვების ხსნა უცაბედი სიკვდილისგან, მათი ორგანიზმის გაძლიერება, რათა დაავადებას გამკლავებოდნენ, ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაძლიერება და შენარჩუნება.[1]

ამ მიზნის განხორციელებისთვის, პირველ რიგში, შეიქმნა რძის გამცემი სამზარეულო. მთელს რესპუბლიკაში სულ 7 ასეთი სივრცე დაარსდა. ქალაქებში – თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში – ასევე დაწესდა კონსულტაციები. თელავში გაიხსნა დედათა და ბავშვთა სახლი. თბილისში 7 საკონსულტაციო, 7 რძის სამზარეულო, 5 ბაღი და 2 სამშობიარო.[2] რძის გაცემა უფასო იყო სამ წლამდე ბავშვებისთვის. დოკუმენტში აღნიშნულია რომ 1921 წლის ივლისიდან 1922 წლის თებერვლამდე გაიცა უფასოდ 1,229 გირვანქა რძე. ეს პროგრამა შეწყდა 1922 წელს.[3] თითოეული საკონსულტაციო კვირაში ორი დღე მუშაობდა. „ახლა თბილისში ფუნქციონირებს 1 ბავშვთა და დედათა სახლი, 30 ბავშვთა, 5 საკონსულტაციო და 4 ბაღი“, – ნათქვამია განცხადებაში.[4] პრეზიდიუმი 1925 წელს განმარტავს, რომ უარყოფითი ბუნებრივი მაჩვენებლის გამო, საბჭოთა რესპუბლიკის საფუძველი – ნაყოფიერი შრომა, ვერ იქნება განხორციელებული, თუ არ განახლდება თაობა და ახალი ძალა არ დაემატება. ამიტომ დგას საკითხი დედათა და ბავშვთა შენახვის.[5] რძის გაცემას კიდევ ერთი დადებითი მახასიათებელი ჰქონდა, მუშათა შორის იყვნენ დედები, რომელთაც ძუძუმწოვარა ბავშები ჰყავდათ, ისინი

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, გვ 8.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 206, ფურც. 2.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 206, ფურც. 2.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 206, ფურც. 2.
[5] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 206, ფურც. 2.

სამუშაოზე წასვლის წინ ბავშვებს კვებავდნენ, მაგრამ, როგორც ერთ-ერთი მომხსენებელი აღნიშნავს საბჭოს წევრ ქალთა ყრილობაზე, სამსახურში ყოფნის დროს, როცა დედამ იცის რომ „ბავშვი მშიერია, რადგან არასაკმარისი რძე აქვს“, კარგად ვერ იმუშავებს. ასეთ შემთხვევაში, ქალბატონი დარწმუნებულია რომ დედას, რომელსაც მთელი დღე შვილის დარდი აქვს, კარგი მუშა ვერ იქნება.[1] სწორედ ამიტომ, რძის გამცემი პუნქტები პრობლემის გამოსწორების გზად მიიჩნეოდა.

შობადობის მაჩვენებელი „ბოლო ათი წლის განმავლობაში ყველა ქვეყნაში კლებულობს“, – ვკითხულობთ სრულიად საქართველოს საბჭოების წევრ-ქალთა I ყრილობის მე-3 სტენოგრაფიულ ანგარიშში.[2] დამწერი გამოყოფს კიდევაც მიზეზებს, რომლებიც განაპირობებს შობადობის კლებას: 1. ბავშვის განზრახ არყოლა; 2. კაპიტალისტური მეურნეობის და მრეწველობის განვითარება; 3. ვენერიული დაავადებების ფართო გავრცელება; 4. ლოთობა; 5. „მუცლის მოწყვეტა“, ანუ აბორტი (აღნიშნულია, რომ ის ამახინჯებს დედას, თუ გამოუცდელი პირი აკეთებს ოპერაციას).[3]

ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი წლამდე ასაკის ბავშვებს შორის იყო. სიკვდილიანობის ზრდას ხელს ასევე უწყობდა არაჰიგიენური გარემო, შეუსაბამო კვება და მოვლა. მათი დიდი ნაწილი, კუჭისა და ნაწლავების დაავადებებით იღუპებოდა. აღნიშნულის გასაუმჯობესებლად შეიქმნა დედათა და ბავშვთა დაცვის სახლები, სადაც პერიოდულად კონსულტაციები ტარდებოდა და დედები ეცნობოდნენ ბავშვთა აღზრდისა და მოვლის წესებსაც.[4] საკონსულტაციოები მთელი რესპუბლიკის მასშტაბით 1921 წლიდან მოეწყო და 1927 წლისთვის რაოდენობამ 22-ს მიაღწია. საკონსულტაციოს ძირითადი მიზანი დედებზე გავლენის მოპოვება და ბავშვების ჯანმრთელობის შენარჩუნება იყო.

ზოგადად, დედებს შორის ნამდვილად არსებობდა პრობლემა, რომელიც უცოდინრობით იყო გამოწვეული. დედების უმეტესობა არ იყო გათვითცნობიერებული ბავშვთა მოვლის საკითხებში. ამაზე მეტყველებს პრაქტიკული მაგალითები. ამხ. ცხადაძე

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 370 ფურც. 27.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369 ფურც. 8.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 9.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 11.

ქ. გორიდან, 1927 წ. საუბრობს იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც არსებობს. მათ შორის, დასახელებულია დედაქალაქის გარეთ, სოფლებსა თუ ქალაქებში მედპერსონალის ნაკლებობა. „ბებიაქალების უყოლობის გამო, ნახევარზე მეტი მშობიარე ქალი იღუპება“, – აცხადებს იგი.[1]

მეორე პასაჟში კი აღნიშნავს, რომ „თითონ დედებმაც... არ იციან ბავშვების მოვლა, ხოლო ჩვენი ენის უცოდინარი მედ-პერსონალი, ვერ აძლევს მას საჭირო დახმარებას“.[2] ამდენად, ვფიქრობთ, სახეზეა ორგვარი პრობლემა, ერთი – მედპერსონალის ნაკლებობა, აუცილებლობის გამო, განაპირობებდა არაქართულენოვანი პირების დასაქმებას სოფლად, ეს კი თავისთავად იწვევდა მორიგ დაბრკოლებას – მოსახლეობას არ ესმოდა მათი; და მეორე, თავად საზოგადოებაში არსებობდა პრობლემა, რომელსაც უცოდინრობა ერქვა. ვგულისხმობთ შემდეგს, მარტო ექიმების ნაკლებობა არ იყო პრობლემა. იმავე საკითხზე საუბრისას, ბორჩალოს მაზრის მკვიდრი აცხადებს, რომ „ჩვენში ქალები ისეთი გაუნათლებლები არიან, ექიმთან მისვლა არ იციანო“.[3] როგორც ჩანს, კულტურული განვითარების დონე მოსახლეობაში დაბალი იყო და ცვლილებებს ნამდვილად საჭიროებდა. თან, უნდა გავითვალისწინოთ, ვსაუბრობთ, ბორჩალოს რაიონზე, სადაც ისლამის გავლენა ძლიერი იყო, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის პრობლემის მიზეზს.

ექიმებზე საუბრისას აუცილებელია, აღვნიშნოთ მათი პროფესიონალიზმის დონე. როგორც ჩანს, ხშირად სათანადო კადრების მოძიება საკმაოდ რთული იყო. ერთ-ერთი მუშა (სახელი და გვარი უცნობია – ნ.მ.) საუბრობს ფეხმძიმე ქალზე, რომელმაც მეშვიდე თვეში ყოფნის დროს ექიმს მიაკითხა კუთვნილი შვებულების ასაღებად, თუმცა ექიმმა უარი უთხრა, „ჯერ მე-6 თვეში არის“ იმ მიზეზით. მეორედ, როდესაც იგივე თხოვნით მიმართა მე-9 თვეში მყოფმა ქალმა, ექიმისგან მიიღო პასუხი, რომ მოეთმინა კიდევ რამდენიმე დღე. „ქალმა კი იმ იმ დღესვე იმშობიარა, და კუთვნილი შვებულება

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 16.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 16.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 18.

ექიმის უყურადღებობის გამო დაკარგა“.[1] ვფიქრობთ, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მხოლოდ უყურადღებობასთან, არამედ არაპროფესიონალიზმთანაც. ექიმების არასაკმარისი რაოდენობა და ცოდნა ხშირად უარყოფითად აისახებოდა ქალების ჯანმრთელობაზე.

ქალთა ჯანმრთელობის შენარჩუნება ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო საბჭოთა საქართველოში. ზოგადად, სამედიცინო კუთხით ქვეყნის მასშტაბით აღინიშნებოდა სამედიცინო ცენტრებისა და პროფესიონალი მედპერსონალის ნაკლებობა. ამის გამოსასწორებლად შეიქმნა ჯანსახკომი, რომლის მთავარ ფუნქციას ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენდა.[2] აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ლოზუნგი სამედიცინო მიმართულებაში ითვალისწინებდა „უსასყიდლო, კვალიფიციური, ყველასათვის მისაწვდომი საექიმიო დახმარების განხორციელებას“.., რადგან „მშრომელთა ჯანმრთელობა მშრომელთა საქმეა“.[3]

A. სამკურნალო დაწესებულებების რაოდენობა საქართველოში გასაბჭოებამდე და შემდეგ:[4]

	1913 წლამდე	მენშევიკების დროს	1927 წელს
სულ საავადმყოფოები	38	45	83
ქალაქში	38	31	53
სოფლად	-	14	30

სიკვდილიანობის მაჩვენებლის გამო, პრეზიდიუმი საჭიროდ მიიჩნევს, გაიზარდოს ბავშვთა სახლების რაოდენობა. დაკვირვების შედეგად, გამოვლინდა, რომ ბავშვების მოწყენილობა ბავშვთა სახლში ზრდის დაავადებების გადადების და გავრცელების შესაძლებლობას, რადგან თითოეულ ბავშვს სჭირდება ინდივიდუალური აღზრდა, ეს კი შეუძლებელია, როცა ბევრი ბავშვია ერთად. ამიტომ აუცილებლად მიაჩნდათ ბავშვთა სახლების გაფართოების გეგმის განხილვა, რომელსაც კომისიამ მიაქცია ყურადღება.[5] კომისია აქვე განმარტავს, რომ იქ სადაც რძის სამზარეულოები არსებობს,

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 44.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 1.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 14.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 5.
[5] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 206, ფურც. 3.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ სიკვდილიანობა ნაკლებია 2 წლამდე ბავშვებში. ამიტომაც, მოცემულ დოკუმენტში, გამოსავლის საპოვნელად შემდეგ გზას სთავაზობს: „1. გაიხსნას ბავშვთა სახლები 1 წლიდან 3 წლამდე ასაკთათვის. 2. აღდგეს რძის სამზარეულო. 3. გატარდეს კულტურული საქმიანობა“.[1]

პრეზიდიუმი ასევე საუბრობს იმ წარმატებებზე, რომელიც სახელმწიფოს აქვს. დოკუმენტში განმარტავენ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიისგან მძიმე პირობები ერგო ქვეყანას, სსრკ-მ მოახერხა და, მაგალითად, უკრაინაში ბავშვების სიკვდილიანობა 27%-დან 10%-ზე ჩამოვიდა.[2] საქართველოშიც ეს მიმართულება გამოსწორებას საჭიროებდა. მიუხედავად სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლისა, წლებთან ერთად მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლებოდა. თუ 1923წ. სიკვდილიანობის მაჩვენებელი 32% იყო, 1922წ. 24,3 %-მდე დავიდა, ხოლო 1923 წელს კი – 19,6 % გახდა.[3]

§2. მეძავობასთან ბრძოლა

შობადობის კლების ერთ-ერთ მიზეზად განიხილებოდა ვენერიული დაავადებების ფართოდ გავრცელება. ვენერიული დაავადებების გავრცელების მიზეზად კი სახელდებოდა მეძავობა. „პროლეტარულ საზოგადოებაში არ არის ადგილი მეძავეობის“,[4] – ეს ფრაზა კარგად გამოხატავს საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას პრობლემისადმი. სწორედ ამიტომ, საქართველოს საბჭოთა ხელმძღვანელობა აქტიურად ებრძოდა ამ პრობლემას.

მილიციას მიეცა სპეციალური დავალება მეძავობასთან საბრძოლველად. გააქტიურდა კაფეების, ლუდის ბარების და რესტორნების პერიოდული შემოწმება. მილიციას უფლება ჰქონდა, შეემოწმებინა ყველა ოთახი და კაბინეტი, ეწარმოებინა მუდმივი დაკ-

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 206, ფურც. 3.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 206, ფურც. 3.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 11.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 929, ფურც. 1.

ვირვება ე.წ. საოჯახო აბანოებზე, ხოლო ზაფხულში – ბულვარებსა და პარკებზე.[1] თუმცა, აღსანიშნავია ერთი დეტალი: მიუხედავად კანონის დარღვევისა, „მხედველობაში ვიღებთ რა გარემოებას, რომ ქალი ამ მდგომარეობაში ჩავარდა რთული მატერიალური და ყოფითი პრობლემების გამო, მილიციამ უნდა დაიცვას პატივისცემა კანონის-დამრღვევების მიმართ და არავითარ შემთხვევაში არ იყოს უხეში".[2] ძნელი გამოსარკვევია, რამდენად სრულდებოდა ეს პუნქტი რეალობაში, მაგრამ თავად ფურცელზე კანონის სახით ვალდებულება, რომელიც მილიციელს ეკისრებოდა, დასაფასებელია.

გარდა ამისა, პრობლემის აღმოსაფხვრელად შეიქმნა მეძავობასთან ბრძოლის საბჭო, რომელიც რიგი ღონისძიებების განხორციელების ხარჯზე ახერხებდა არსებული მაჩვენებლის შემცირებას. ითვლებოდა, რომ მეძავეობის გაჩენას ხელს უწყობდა უმუშევრობა და ქალთა შორის კვალიფიკაციის ნაკლებობა.[3] ხოლო ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი იყო სპეც. სამკურნალო დაწესებულებების – პროფილაქტორიუმის შექმნა, სადაც მეძავი ქალები, გარდა მკურნალობისა, იღებდნენ „სისტემურ აღზრდას" და „საზოგადოებისთვის სასარგებლო მოქალაქეები" ხდებოდნენ.[4] გარდა ამისა, პროფილაქტორიუმში ქალები ეუფლებოდნენ კონკრეტულ ხელობას (ჭრა-კერვას, ქსოვას და სხვ.), ამიტომ, მეძავობის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულები მშრომელ ქალთა არტელები, კოლექტივები და სხვ. არტელსა და კოლექტივებში მომუშავე ქალები ქმნიდნენ ძირითად ბაზას, რომელიც იბრძოდა პროსტიტუციის წინააღმდეგ.[5] გამოჯანმრთელებულ ქალებს მუდმივ სამუშაო ადგილს გამოუყოფდნენ ხოლმე. რა შეიძლება ყოფილიყო პროფილაქტორიუმების დაარსების შედეგი? ერთი, რომ ქალების ნაწილი იღებდა გარკვეულ ცოდნას, განათლებას, მეორე, ისინი უბრუნდებოდნენ ცხოვრების ჯანსაღ პირობებს და, როგორც საბჭოთა ხელისუფლება თვლიდა, სანიმუშო კადრებიც კი ხდებოდნენ ზოგჯერ.

საარქივო მასალებში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ქალები თავად მიდი-

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 929, ფურც. 2.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 929, ფურც. 2.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 990, ფურც. 1.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 990, ფურც. 1.
[5] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 984, ფურც. 24.

ოდნენ და ითხოვდნენ დახმარებას. მათ სურდათ, თავი დაენებებინათ ძველი საქმიანობისთვის და ნორმალურ ცხოვრებას დაბრუნებოდნენ. მართალია, თავად დოკუმენტიც აღიარებს, რომ ზოგჯერ ქალები იტყუებოდნენ და გარკვეული პერიოდის შემდეგ უბრუნდებოდნენ თავიანთ „პროფესიას“,[1] მაგრამ ნაწილი ქალების იწყებდა ნორმალურ, საზოგადოებრივ ცხოვრებას.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი: 1928წ. მეძავობასთან მებრძოლი საბჭო მოითხოვდა მეძავობასთან ბრძოლის ფონდის დაარსებას. ფონდში შემოსული თანხა მოხმარდებოდა დისპანსერების მოწყობა-აღჭურვას. ზოგადად კი, მიიჩნეოდა, რომ მეძავობა სრულიად მოისპო საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.[2] ვფიქრობთ, საინტერესოა მოვიხსენიოთ კანონი, რომელიც პირს სჯიდა თავისუფლების აღკვეთით, იმ შემთხვევაში, თუ გამოაშკარავდებოდა მეორე პირისთვის განზრახ ვენერიული დაავადების გადადების მცდელობა. ამდენად, ეს პასაჟი ადასტურებს, რამდენად დიდ მასშტაბებს მოიცავდა დაავადება და რამდენად მკაცრად უდგებოდა სახელმწიფო პოლიტიკა ამ საკითხს.

§3. საბავშვო ბაღები როგორც ქალთა ემანსიპაციის საწყისი საფეხური

ქალთა ემანსიპაციის საკითხი წარმოუდგენელი იყო დედების საგარეო საქმეში აქტიურად ჩართვის გარეშე. სწორედ ამიტომ, საჭირო გახდა საბავშვო ბაღების მშენებლობა და ტრადიციის დამკვიდრება, რომელიც დედებს მიაჩვევდა საკუთარი შვილების ბაღში მიბარებას. „ბაგა-ბაღის მიზანია – დაეხმაროს დედას იმუშაოს საწარმოო დაწესებულებაში და ამასთანავე, შეასრულოს დედის მოვალეობაც“.[3] ამდენად, ბაღის ერთ-ერთი ფუნქცია უნდა ყოფილიყო „ქალის განტვირთვა.[4]

ბაღის მნიშვნელობაზე მეტყველებს საარქივო მასალაში დაცული 1928 წლის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და-

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1098, ფურც. 2.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369 ფურც. 14.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369 ფურც. 12.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1096 ფურც. 82.

უდგინა სავალდებულო გადასახადი რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს, რომლებიც იყენებენ ქალთა შრომას, სამუშაო ხელფასის ფონდის ¼-ის რაოდენობით იმ ბაგების შესანახად, რომლებიც სამსახურს უწევენ ხსენებული საწარმოს მუშა-ქალებს.[1] ასევე, ტრესტებში, სადაც გამოყენებული იყო ქალთა შრომა, ბაგების ასაშენებელად და მოსაწყობად ფონდიდან უნდა გამოყოფილიყო არანაკლებ 5%. ვფიქრობთ, დამსაქმებელი ამ კანონზე დაყრდნობით, თავისდაუნებურად ხდებოდა ქალთა ემანსიპაციის საქმეში ჩართული, რადგან რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს ბაგა-ბაღების შექმნა, საზოგადოებაში დადებითი ცვლილებების მომტანი გახლდათ.

თუმცა, ქალთა ყრილობების ჩანაწერებიდან ვგებულობთ, რომ კონკრეტულ შემთხვევებში რეგიონებში ბაღების სიმცირე შეინიშნებოდა, რის გამოც ნაწილი ქალებისა ვერ ახერხებდა მუშაობას.[2] ამდენად, მოცემულ კონტექსტში იკვეთება ქალის გათავისუფლების ნამდვილი ხასიათი: მართალია, მას, როგორც დამოუკიდებელ პიროვნებას, აქვს უფლება იმუშაოს და თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის მშენებლობაში, მაგრამ, ამასთანავე, მისი საზოგადოებრივი ვალდებულებაა იყოს კარგი დედა, ხოლო სახელმწიფო დამხმარე საშუალებებით (ამ შემთხვევაში ბაგა-ბაღების მშენებლობით) ხელს შეუწყობს მათ. ამდენად, ქალთა საკითხებზე მომუშავე სექციების ერთ-ერთი პირდაპირი მიზანი იყო სხვადასხვა ღონისძიებების შემუშავება, რათა დედებისა და მეოჯახე ქალთა მდგომარეობის და ცხოვრების პირობების შემსუბუქება მომხდარიყო.[3] ასეთ გამოსავლად კი მიიჩნეოდა ბავშვთა სახლების და საზოგადო სასადილოების მოწყობა.

როგორც ჩანს, ბაღების სიმცირეს ყველა რეგიონი განიცდიდა. ამიტომ ხშირად მიმართავდნენ ახლის აშენების მოთხოვნით. შეინიშნებოდა კიდევ ერთი „ტრადიცია“. ამხ. ჯაფარიძის განცხადებით, გლეხი ქალები ვერ მიეჩვივნენ საკუთარი შვილების ბაღში მიბარებას. სწორედ ამიტომ, თუ ერთ დღეს 15 ბავშვი იყო ბაღში, მეორე დღეს სამი ან ოთხი ბავშვი თუ მოდიოდა. ამის მიზეზი კი შემდეგში მდგომარეობდა: დედებს, იმ შემთხვევაში თუ სტუმრად ჰყავდათ დედა ან ბებია, ერჩივნათ შვილები სახლში მათთან

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 945 ფურც. 4.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 370, ფურც. 11.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 915, ფურც. 62.

დაეტოვებინათ. ეს უკვე განაპირობებდა ბავშვის ამოვარდნას სისტემიდან და ბაღების ფუნქციის შესუსტებას. იგივე პიროვნება მოუწოდებს დედებს გამოიყენონ ბაღები, რადგან „მონობისგან თავდასაღწევად, საჭიროა, ისინი გათავისუფლდნენ ბავშვებისგან... 8-დან 3 საათამდე მაინც“.[1] ეს პასაჟი ხაზს უსვამს ბაღების, როგორც ქალთა ემანსიპაციის საშუალების მნიშვნელობას და საწყის ფაზას.

§4. სრულიად საქართველოს საბჭოების წევრი და დელეგატი ქალები: მათი როლი და მნიშვნელობა

დოკუმენტში, რომელიც აღწერს ქალთა მუშაობას საბჭოებში, ნათქვამია, რომ „რევოლუციამ დიდი წვლილი შეიტანა ქალთა გათავისუფლების საქმეში, მან გაათავისუფლა ქალი მონური მდგომარეობისგან, გაათანასწორა მამაკაცთან და მიანიჭა მას მოქალაქეობრივი უფლება. თუ ადრე ქალი მარტო ოჯახზე იყო მიჯაჭვული, არ ჰქონდა პოლიტიკური უფლება და საზოგადოებაშიც თავის აზრს ვერ აფიქსირებდა, რევოლუციის შედეგად, ის გათავისუფლდა მონობისგან და მამაკაცის გვერდით, მასთან ერთად შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ყველა საქმიანობაში“. [2]

პრაქტიკულ ორგანიზაციად, სადაც ქალს შეეძლო თავისი მოქალაქეობრივი უფლებების განხორციელება, დასახელებულია საბჭო. აზრის დასამტკიცებლად, როგორც საბჭოთა ხელმძღვანელობა მოითხოვდა, მოყვანილია ლენინის სიტყვები ქალების შრომის შესახებ: „თითოეულმა მზარეულმა ქალმა უნდა შეისწავლოს, თუ როგორ უნდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა“.[3] როგორც ჩანს, ეს ფრაზა პოპულარული იყო საბჭოთა საქართველოში. კიდევ ერთი მომხსენებელი მას იყენებს სრულიად საქართველოს საბჭოების წევრ-ქალთა პირველი ყრილობის მე-2 სხდომაზე და განმარტავს, რომ ამ გამონათქვამის უკან უნდა ვიგულისხმოთ შემდეგი: ყველა ქალმა უნდა იცოდეს, როგორ ააშენოს საზოგადოება და როგორ მიიღოს აქტიური მონაწილეობა სოცია-

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 26.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 558, ფურც. 1.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 558, ფურც. 1.

ლიზმის მშენებელობაში.[1]

დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ საბჭოთა კონსტიტუცია ქალს და კაცს თანასწორად აღიარებს. სახელმწიფო ცდილობს, ქალი აქტიურად ჩააბას სახელმწიფოს მშენებლობაში. ქალი უნდა იყოს წარმოდგენილი საბჭოებში, მამაკაცთა გვერდით, ასევე მონაწილეობდეს კულტურულ ღონისძიებებში, აღმასკომის მუშაობაში. ამდენად, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი მოთხოვნა იყო რაც შეიძლება მეტი ქალის ჩაბმა პოლიტიკურ პროცესებში.[2]

როდესაც საბჭოთა საქართველოში განიხილავდნენ ქალთა საკითხს, შედარების მიზნით აუცილებლად მოჰყავდათ მაგალითი ბურჟუაზიული ქვეყნებიდან. განიხილებოდა, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ქალი ჯერ კიდეც „დამონებულ“ მდგომარეობაში იყო და კვლავ ქმრის საკუთრებად აღიქმებოდა. ამის არგუმენტად კი მიიჩნეოდა ქალების უუფლებობა, მონაწილეობა მიეღო არჩევნებში და ბურჟუაზიული ქვეყნების კანონმდებლობა, რომელიც ხაზს უსვამდა ქალის უუფლებობას.[3]

როგორც ჩანს, ქალთა აქტივობის ზრდა საქართველოში ნამდვილად შეინიშნებოდა. თუ 1926 წელს მთელ საქართველოში არჩევნებში მონაწილეობა 175,173 ქალმა მიიღო, უკვე 1927 წელს მათი რაოდენობა 200,000 გახდა. რაც ნიშნავს, რომ პროცენტულად ქალების 37,7%-მა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში.[4] ქალთა აქტიურობის ზრდაზე მეტყველებს ასევე ქალთა რაოდენობის ზრდა საბჭოებში: თემობრივ საბჭოებში 1926 წელს არჩეულ იქნა 2000 ქალი (8,4%), ხოლო 1927 წელს – 2,203 ქალი. ქალაქის საბჭოებში 1926 წელს 196 ქალი (10,3%), ხოლო 1927 წელს – 11,8%.

აღსანიშნავია აღმასკომში ქალთა რაოდენობის ზრდა. 1926 წელს თემში არჩეულ იქნა 25 ქალი, ხოლო 1927 წელს რაოდენობამ 27-ს მიაღწია. უკეთესი მდგომარეობა დაფიქსირდა მაზრის აღმასკომებში, სადაც 1926 წელს 46 ქალი მონაწილეობდა, ხოლო 1927 წელს – 59 ქალი. ამდენად, თანდათან ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 368, ფურც. 3.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 368, ფურც. 4.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 558, ფურც. 3.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 558, ფურც. 3.

ცხოვრებაში მატულობდა, თუმცა ეს არ იყო საკმარისი ხელისუფლებისთვის, რომელიც მოითხოვდა რაც შეიძლება მეტი ქალი აქტივისტის წინ წამოწევას.

სსს რესპუბლიკის საბჭოებში მომუშავე მუშა და გლეხი ქალების ყრილობის დელეგატთა რაოდენობა და განაწილება 1927 წელს შემდეგნაირია: მთლიანად საქართველოდან, თბილისის გარდა, წარმოდგენილია 58 ქალი დელეგატი, თბილისთან ერთად კი – 83. აქედან, ეროვნების მიხედვით, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს რაიონებიდან არც ერთია ეროვნებით ქართველი, დუშეთის რაიონიდან ერთი ქართველი დელეგატი იყო, მეორე – ოსი, თელავიდან – ერთი სომეხი, დანარჩენი – ქართველი, სიღნაღიდან – ერთი თურქი, დანარჩენი – ქართველი, სამხ. ოსეთის ავტონომიური ოლქიდან ორივე ოსი წარმომადგენელი, აფხაზეთის სსრ-ს ხუთი დელეგატიდან ორი ქართველი, ერთი რუსი და ორი აფხაზი, რაც შეეხება ზემო სვანეთს, საერთოდ არ ჰყავდა კანდიდატი წამოყენებული.[1]

დელეგატების დაყოფა ოჯახური მდგომარეობის მიხედვით შემდეგნაირად წარმოისახება: 4 იყო ქმრიანი, მაგრამ უშვილო, 31 – ქმრიანი შვილებით, 30 – ქვრივი ან გაშორებული, შვილებით, მარტოხელა კი – 18. რაც შეეხება ასაკობრივ კატეგორიას: 23 წლამდე 14 დელეგატი; 24-39 წლები – 50 დელეგატი; 40 და ზევით – 19 დელეგატი. ამდენად, ასაკობრივ კატეგორიაში ჭარბობს 24-39 წლის ქალების რაოდენობა.

რაც შეეხება განათლებას, 71 დელეგატი წერა-კითხვის მცოდნე გახლდათ, 6 დელეგატი – წერა-კითხვის მცირედ მცოდნე, ხოლო წერა-კითხვის უცოდინარი ქალების რაოდენობა 6-ს შეადგენდა.[2]

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც ქალთა გააქტიურობას უშლიდა ხელს, მამაკაცთა მიერ გამოვლენილი გულგრილობა იყო. დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც ქალები თავიანთ კანდიდატურას წამოაყენებდნენ საარჩევნო კრებებზე და შემდეგ მამაკაცებს არ სურდათ „ქალების მიერ დასახელებული კანდიდატის არჩევა“.[3] თუმცა, ამ მხრივ, აღსანიშნავია, თავად ქალების პოზიცია, რომლებიც „გააფთრებით იცავდნენ

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 371, ფურც. 1.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 371, ფურც. 1.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 558, ფურც. 4.

თავიანთ კანდიდატებს და ხშირად დემონსტრაციულად სტოვებდნენ საარჩევნო კრებას“.[1] ხსენებული ფაქტი მიუთითებს ქალების გააქტიურებაზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდაზე.

როგორც ჩანს, საქართველოში რეგიონების (მაზრების) მიხედვით განსხვავებული მდგომარეობა იყო ქალთა სტატუსის თვალსაზრისით. ამის მიზეზი ძირითად შემთხვევაში დამკვიდრებულ ტრადიციებსა და კონკრეტული რეგიონისთვის დამახასიათებელ ადათ-წესებსა თუ შეხედულებებში უნდა ვეძებოთ. 30-იან წლებშიც კი საზოგადოების ნაწილი ასე უდგებოდა საკითხს: „ქალთა საკითხი რა არის? მოიყვანე, გაათხოვე და მეტი არაფერი...“.[2] მოცემულ ფრაზაში აირეკლება ქალთა სტატუსი საზოგადოებაში. გარდა ამისა, არსებობდა ერთ-ერთი ასეთი სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც, ქალი უნდა იყოს სახლში და მხოლოდ სახლის საქმიანობით უნდა დაკავდეს.[3] განსხვავებული მდგომარეობა იყო გეოგრაფიული არეალის მიხედვით. ასე, მაგალითად, მთის რეგიონები უფრო მტკივნეულად აღიქვამდა ახალ ტენდენციას, ქალთა გათავისუფლების და თანასწორობის შესახებ, ვიდრე ბარის რეგიონები. სწორედ ამ მიზეზის გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე ქალთა საარჩევნო კრება ზოგიერთ მაზრაში ცალკე იქნა მოწვეული. ასეთ მაზრებს შორის დასახელებულია: ახალციხე, ბორჩალო, ახალქალაქი, აჭარა.[4] გარდა ამისა, ამ კუთხით რთული მდგომარეობა შეინიშნებოდა მთის რეგიონებში. განსაკუთრებულად ხაზგასმულია ქალების ჩართულობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ფშავ-ხევსურეთსა და სვანეთში.[5]

ერთ-ერთ სტენოგრაფიულ ანგარიშში, ვინმე ფირცხალავა საუბრობს ფშავ-ხევსურულ ადათზე, რომელიც, ვფიქრობთ, თვალსაჩინოს გახდის ქალის სტატუსს ხსენებულ რეგიონში. როდესაც ქალს მშობიარობის პერიოდი მოუახლოვდებოდა, მას განდევნიდნენ ოჯახიდან, „როგორც ბოროტ სულს, სადმე ბოსელში გაიყვანდნენ და საჭმელსა და სასმელს კარებთან უტოვებდნენ, მელოგინე ქალი თვითონ უნდა მიცოცდეს

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 558, ფურც. 4.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1098, ფურც. 20.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 368, ფურც. 5.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 558, ფურც. 5.
[5] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 677, ფურც. 1.

კარებთან და წაიღოს საჭმელ-სასმელი“.[1] ყოფილა შემთხვევები, როდესაც ფეხმძიმე ქალი ხევში წასულა წყლის დასალევად და გარდაცვლილა იქვე. ვფიქრობთ, მოცემულ მონაკვეთში კარგად ჩანს ქალის დამცირებული და უუფლებო მდგომარეობა, რომელიც მთლიანად დამყარებული იყო წარმართულ რწმენა-წარმოდგენაზე. სწორედ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელმა კომისიამ 1929 წელს შეძლო შესვლა ფშავ-ხევსურეთში და რეგიონის „განათლების“ პროცესი დაიწყო: მოწყობილ იქნა წერა-კითხვის სასწავლებელი პუნქტი და „ქოხ-სამკითხველო“.[2] უნდა ითქვას, რომ ხსენებული ღონისძიებები ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. საქ. ცაკის პრეზიდიუმი მიიჩნევდა ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების სექციების მოწყობისა და გაძლიერების აუცილებლობას.[3] უნდა გაგრძელებულიყო ბრძოლა უკულტურობის და ჩამორჩენილობის დასაძლევად, ყოფა-ცხოვრების ახალი საზოგადოებრივ-კულტურული ფორმების დასამყარებლად. ამისთვის საჭირო იყო უფლებრივი და ეკონომიური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა. მრავალცოლიანობის, ქალთა მოტაცების, ცემის, მცირეწლოვანთა და იძულებით ქორწინების პრობლემის წინ წამოწევა და მათ წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღება. ასევე, ძველი ოჯახური ყოფა-ცხოვრების ტრადიციებისგან ქალის გათავისუფლება. იმ შეხედულების მოსპობა რომ „ქალი მონაა“, ბრძოლა ჩადრის წინააღმდეგ, ქალთა მუშაობის გაძლიერება სადელეგატო კრებაში.[4] სწორედ ამიტომ, 1930 წ. ცირკულარით მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებს მოუწოდებდნენ შეემუშავებინათ სხვადასხვა ღონისძიებები, ქალის ეკონომიკური და უფლებრივი უთანასწორობის აღმოფხვრისთვის, ქალთა შრომის შემსუბუქებისთვის, ქალების იურიდიული გაძლიერებისთვის.[5] აღსანიშნავია, რომ 1929 წელს ქალთა მოტაცების 34 საქმე

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 44.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 990, ფურც. 4.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 915, ფურც. 62.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 915, ფურც. 62.
[5] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1556, ფურც. 3.

დაფიქსირდა,[1] ეს კი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, ბევრად შემცირებული იყო. ამდენად, როგორც ჩანს, გატარებულ ღონისძიებებს შედეგი მოჰქონდა. ამავე წელს დაფიქსირდა, ათი ორცოლიანი მამაკაცის გასამართ-ლების შემთხვევა.[2] ორცოლიანობა, ძირითადად, ისლამის გავრცელების ზონებში ფიქსირდებოდა, მსჯავრდებულები ასაკში შესული პირები იყვნენ. უკანასკნელი ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ახალ თაობაში ორცოლიანობის ტრადიცია თანდათან პოპულარობას კარგავდა.

რაც შეეხება მეორე ისტორიას, სვანეთიდან ქალბატონი შამფრინი მოგვითხრობს, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა სვანეთში, რაც გამოიხატება იმაში, რომ უფრო და უფრო მეტი ბავშვი იღებს განათლებას. გარდა ამისა, სისხლის აღების ტრადიციაც ნელ-ნელა შესუსტდა. ასევე ეს ქალბატონი საუბრობს დამკვიდებულ ტრადიციაზე, რომლის მიხედვითაც, „ჩვენში, არამც თუ ასეთ ყრილობაზე, ქალმა სხვა კაცს რომ უბრალოთაც შეხედოს, სისხლი დაიღვრება და სიკვდილი მოყვება ხოლმე ამას“.[3] ვფიქრობთ, მოცემული მონაკვეთიდან კარგად ჩანს, თუ რა მდგომარეობა იყო მთიან რეგიონებში, განსაკუთრებით, ქალთა უფლებების თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, ისლამის გავლენაც არანაკლებ ძლიერი უნდა ყოფილიყო ხსენებულ საკითხის განხილვისას. როგორც ცნობილია, ისლამი ქალთა და მამაკაცთა თავშეყრას არ მიესალმება. თავად ქალებს, როგორც ჩანს, ერიდებოდათ, მამაკაცთან ერთად საარჩევნო უბანზე გამოცხადება. სწორედ ამიტომ, პირველ ეტაპზე საბჭოთა მთავრობა წავიდა დათმობაზე, რათა ამ ფაქტორს ქალებზე გავლენა არ მოეხდინა და უარი არ ეთქვა არჩევნებში მონაწილეობაზე და საარჩევნო კრება ცალ-ცალკე მოიწვია.

როდესაც ამ რეგიონების ქალებზე საუბარი მიმდინარეობს, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ამ ადგილებში ქალი ჯერ კიდევ მეტათ ჩამორჩენილია თავის შეგნებით“.[4] რევოლუციამდე რამდენიმე ხნით ადრე, ქალები კვლავ ჩადრებით დადიოდნენ და, უმეტეს შემთხვევაში, წერა-კითხვის უცოდინრები იყვნენ. რამდენიმე ასეთი შეხედულების გამო, აუცილებლობად მიიჩნეოდა წინასწარი მუშაობის ჩატარება ქალთა შორის.

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1098, ფურც. 4.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1098, ფურც. 4.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 269, ფურც. 18.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 558, ფურც. 5.

დელეგატი ქალები ამომრჩეველ ქალებს უტარებდნენ წინასწარ კრებებს, სადაც განიხილებოდა ქალთა საბჭოებში მონაწილეობის მნიშვნელობის საკითხი. თუმცა, როგორც ჩანს, ქალებზე მეტად, თავად მამაკაცებიც არანაკლებ „ჩამორჩენილები“ იყვნენ. ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც საბჭოებში მომუშავე ქალებს არასათანადოდ ეპყრობოდნენ საპირისპირო სქესის წარმომადგენლები. მართალია, ისინი საბჭოს ნაწილად მოიაზრებოდნენ, მაგრამ კრებებზე არ იწვევდნენ და თუ ესწრებოდნენ კრებას, უფრო მეტად ინერტულობით და ჩაურევლობით ხასიათდებოდნენ. ეს კი ეწინააღმდეგებოდა საბჭოს წევრი ქალის ვალდებულებას, მიეღო აქტიური მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში. ამდენად, ამ შემთხვევაში მათი უმოქმედობა სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული.[1] პრეზიდიუმი მოუწოდებდა, ქალებს გამოეჩინათ ინიციატივა და მარტო ფორმალურად არ ყოფილიყვნენ ამომრჩეველი ორგანოების ნაწილნი.[2] სარაიონო სათათბიროები ავალებდა ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ სექციებს გაეწიათ დახმარება იმ ქალებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ სურვილი ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი დაწესებულებების – ბაღების, სამრეცხაოების, სამზარეულოების მოწყობის.[3] განსაკუთრებით რთული მდგომარეობა იყო ბორჩალოს მაზრაში, სადაც „ხშირად ქალებს ირჩევენ საბჭოში მხოლოდ იმისთვის, რომ სიაში ეწერონ“.[4] მეორე მონაკვეთში ქალბატონი სიღნაღის რაიონიდან განმარტავს, რომ ხშირად ქალების მხრიდან სურვილი დიდია, მაგრამ მათ ქმრები არ უშვებენ და ეუბნებიან, რომ სახლს უნდა მიხედონ.[5] ორივე მაგალითში, რა თქმა უნდა, იკვეთება მამრობითი სქესის წამრმომადგენელთა მიერ საკითხის არასწორად გააზრების პრობლემა, რის გამოსწორებას აღმასკომი ცდილობდა.

როგორც აღვნიშნეთ, 1926-27 წლებში მეტ-ნაკლებად შეინიშნებოდა ქალთა პოლიტიკური თუ მოქალაქეობრივი გააქტიურება, თუმცა, მთლიანობაში საბჭოების მუშაობაში ქალები მაინც ნაკლებად იყვნენ ჩართული. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 558, ფურც. 8.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 368, ფურც. 8.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1798, ფურც. 3.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 368, ფურც. 17.
[5] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 368, ფურც. 20.

რამდენიმე ფაქტორი: 1. ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთები, მათ შორის მამაკაცების მტრული დამოკიდებულება ქალთა ახალი სტატუსისადმი. 2. ქალების ჩაბმა ძირითადად ხდებოდა მხოლოდ ფორმალურად და შემდეგში ისინი პასიური წევრები ხდებოდნენ. ამას თავად კომისიაც ხედავდა, ამიტომ მოუწოდებდა, რომ საბჭოს წევრი ქალისთვის ისეთი სექცია ჩაებარებინათ, რომელიც მას უფრო აინტერესებდა, რადგან ასე უფრო ნაყოფიერი იქნებოდა მისი მუშაობა.[1] გარდა ამისა, ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების სექციაში ჩაბმის უპირატესობა მამაკაცებთან შედარებით, საბჭოს წევრქალებს ენიჭებოდათ.[2] მიზეზი, რა თქმა უნდა, ქალთა გაძლიერება იყო.

ასევე, ამავე მიზნით, განიხილებოდა ქალთა დაწინაურების საკითხიც. ქალს, რომელიც თავს გამოიჩენდა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, საქმისადმი სიყვარულით და შესაბამისი უნარით, უფრო საპასუხისმგებლო საქმე უნდა დავალებოდა და ის უნდა გადასულიყო სხვა მაღალ პოზიციაზე, რათა მეტი სარგებელი მოეტანა ქვეყნისთვის (მაგალითად, 1928 წ. საარქივო მასალაში ვკითხულობთ, რომ 1928 წელს გამოვლინდა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის მქონე ქალები, რომლებიც საბჭოთა კავშირში მუშაობენ, გარდა ანაზღაურებადი მუშებისა, ჰყავდათ არჩეული ქალებიც პოზიციებზე. ასევე, ნაკლის სახით, მითითებულია, რომ ქალი საანგაარიშო მოხსენებას არ აკეთებდა და საბჭოს წევრი ქალი კი უნდა აკეთებდეს განცხადებას მოხსენებას ამომრჩევლის წინაშე. ასევე, ქალი დელეგატი ვალდებული იყო შეენარჩუნებინა კავშირი თავის ამომრჩეველთან.).[3] მთელ საქართველოში 1926 წლისთვის კლუბის წევრი იყო 4157 ქალი, ხოლო 1927 წლის 1 ივლისისთვის კი – 7790 ქალი.[4] წრის წევრი ქალების რაოდენობა კი შემდეგნაირი გახლდათ: 1927 წ. იანვარი – 1482 წევრი /20,1%/; 1927 წ. ივლისი – 1844 წევრი /22,6%/. ბევრი კლუბის გვერდით არსებობდა ქალთა კუთხეები, რომლებიც სპეციალურ სამუშაოს ატარებდნენ, რათა მუშა ქალი თუ დიასახლისი კლუბურ მუშაობაში აქტიურად ჩართულიყო. გარდა ამისა, ქალები თანდათან უფრო მეტად ჩნდებოდნენ ქარხნებსა თუ ფაბრიკებში მუშახელად. მაგ. თელავში აბრეშუმის

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 558, ფურც. 6.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 915, ფურც. 6.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 368, ფურც. 7.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 984, ფურც. 7.

ქარხანაში სულ 238 მუშა მუშაობდა, აქედან 220 ქალი იყო. 1928 წ. თამბაქოს ქარხანაში კი ქალი მუშების რაოდენობა 450-ს აღწევს. თბილისის სატელეფონო სადგურში სულ 327 მომუშავე იყო, აქედან 111 – ქალი.[1] თვალსაჩინოებისთვის, საჭიროდ მიგვაჩნია, 1929 წლის მონაცემების წარმოდგენა სენაკის, კახეთის, სვანეთის და საქართველოს სხვა მაზრების საბჭოებში დაწინაურებულ ქალთა შესახებ:

გვარი, სახელი	წლოვანება	ეროვნება	სოც. მდგომ.	პარტიულობა	ოჯახ. მდგომ.	დაწინაურების თარიღი	საქმიანობა დაწინაურებამდე	ამჟამინდელი თანამდებობა	ხელფასი
კუჭაიძე ბაბუცა	36	ქართვ.	ღარ. გლეხი	უპარტიო	ქმარშვ.	მარტ./29	დიასახლისი	ს. საბჭოს თავ.	94 მან.
ოქროპირიძე ვერა	30	ქართვ.	მოსამსახურე	კ.პ. წევრი	ქმრიანი	მარტ/29	ქოხ.სამკ. გამგე	ს. საბჭს თავ.	103 მან.
ჩიხლაძე მანია	20	ქართვ.	მუშა	კ.პ. წევრი	გაუთხოვარი	ოქტ./28წ.	ქარხნის მუშა	ს/ს პრ. წევ. ადგ. თავმჯ. და უფრ. მუშა	55 მან
მცხვეთაძე ალექსანდრე	34	ქართვ.	მასწაბელებელი	კ. პ. წევრი	გასათხოვარი	მარტ./29წ	დიასახლისი	ს/ს პრ. წევრ.	უფასოდ
ავალიანი დუსია	28	ქართვ.	მოსამსახურე	უპარტიო	გათხოვილი	თებ. 29 წ.	ექიმი	ს.ს. სარევ. კომ. წევრი	125 მან
ტეშურაშვილი ვარია	40	ქართვ.	ღარიბი გლეხი	უპარტიო	გათხოვილი	თებ. 29	დიასახლისი	ს.ს. სარევ. კომ. წევრი	უფასოდ
სალხინაშვილი ნუცა	55	ქართვ.	ღარიბი გლეხი	უპარტიო	ქვრივი	მარტ. 29წ.	დიასახლისი	ს.ს. სარევ. კომ. წევრი	უფასოდ[2]

1929 წელს ჩატარდა სრულიად საქართველოს საბჭოების წევრ-ქალთა მე-2 ყრილობა, სადაც განხილული იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხები. პირველ რიგში, აღსანიშნავია, საბჭოს წევრ-ქალთა კონფერენციების ჩატარება როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე. როგორც ანგარიშიდან ვიგებთ, ქალების აქტიურობა საკმაოდ მაღალი იყო. მთავარ მიზანს კი სწორედ ქალების აქტივობის გამოვლენა წარმოადგენდა.

ვფიქრობთ, საინტერესოა განვიხილოთ ზოგადი მონაცემები 1929 წ. მოწვეული ქალი-დელეგატების შესახებ. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, ქალთა 15% 18-28 წლის იყო, 24% – 24-29 წლის, 37,6% – 30-39 წლის, 19,5% – 40-49 წლის შუალედში. აქედან ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირად გადანაწილდა: ქართველი – 65,4%, სომეხი 10,5%, თურქი – 5,2%, რუსი – 8%, ოსი – 3,8%, აფხაზი – 1,5%, ბერძენი –

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 984, ფურც. 13.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1110, ფურც. 13.

0,8%, დანარჩენი – 1,5%.[1] განათლების მაჩვენებლის მიხედვით დაყოფა: უმაღლესი განათლება – 0.8%; საშუალო განათლება – 11%; დაბალი – 24,1%; სახლის პირობებში მიღებული განათლება – 43,6%. ოჯახური მდგომარეობის მიხედვით – დაოჯახებული, უშვილო – 10,5 %, დაოჯახებული შვილიანი – 42,9%; ქვრივი და გაშორებული – 26,3%; დასაქორწინებელი – 20,3%.[2] სოციალური მდგომარეობის მიხედვით: გლეხი – 3%; მუშა – 18%; მასწავლებელი – 2,3%; სხვ. მოსამსახურე – 13,5%; დანარჩენი – 0,8%.[3]

ქალთა ყრილობაზე განიხილეს საკითხი ქალთა მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიუხედავად ქალთა გააქტიურებისა, 1929 წლის მონაცემებით, არც ერთ გამგეობაში ქალი თავმჯდომარე არ არის, ხოლო გამგეობაში ქალი წევრების რაოდენობა 10,8%-ია, საბჭოს წევრები – 12,5%, რწმუნებულები – 10,9%; სარევიზიო კომისიაში – 5,5%.[4] ამიტომ, ყრილობის ხელმძღვანელი საჭიროდ მიიჩნევდა მომავალში ქალების რაოდენობის გაზრდას ხელმძღვანელ ორგანოებში ისე, რომ მათი რაოდენობა კაცების რაოდენობას გათანაბრებოდა. ხუთწლედის გეგმის მიხედვით, ქალების პროცენტული რაოდენობა უნდა გაზრდილიყო „მოწინავე რაზმში“. უნდა ითქვას, რომ შედეგმა არ დააყოვნა და უკვე 1930 წ. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მარიამ ორახელაშვილი შეყვანილ იქნა სრულიად საქართველოს ცაკთან არსებულ ქალთა ყოფაცხოვრების კომისიის პრეზიდიუმის წევრად.[5] სავარაუდოდ, ის ერთ-ერთი მოწინავე კადრი უნდა ყოფილიყო.

ამდენად, 1930-იანი წლების დასაწყისში ქალთა აქტივობა საკმაოდ გაიზარდა, რაც მეტწილად გატარებული ღონისძიებების ხარჯზე განხორციელდა.

§5. ქალთა გადასამზადებელი კურსები

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1096, ფურც. 121.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1096, ფურც. 122.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1096, ფურც. 122.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1096, ფურც. 37.
[5] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1095, ფურც. 10.

ქალის მოვალეობა დღიდან დღემდე იზრდებოდა, რაც თავისთავად მოითხოვდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისგან მეტ ცოდნასა და უნარებს. ამიტომ, დაკისრებული მოვალეობის სწორად შესასრულებად საჭირო გახდა პერიოდულად ქალთა მცირევადიანი მოსამზადებელი კურსების ჩატარება. კურსების ძირითადი მიზანი, ქალების ჩართულობის გაზრდა და ცნობიერების ამაღლება იყო.

საქართველოს სსრ საბჭოს წევრ ქალთა გადასამზადებელი კურსები 1928 წელს მოეწყო თბილისში. ვფიქრობთ, საინტერესოა, განვიხილოთ, რამდენიმე ქალი წარმომადგენელი იღებდა მათში მონაწილეობას და შემდეგ, საგნების ცხრილი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობდა სწავლება. კურსებს ესწრებოდნენ ქალები თითოეული რეგიონიდან. განვიხილოთ რამდენიმე მათგანის ისტორია. ბათუმის წარმომადგენელი იყო ვინმე აიშა აბულაძე, 35 წლის, არყის ქარხნის მუშა, კონკრეტულად – ბოთლების მრეცხავი, რომლის თვიური ანაზღაურება 49 მანეთი იყო, განათლება სახლში ჰქონდა მიღებული, ღარიბი ოჯახიდან იყო, ხოლო საბჭოს წევრად არჩეული უკვე მეორედ გახლდათ.[1] აღსანიშნავია, რომ საარქივო მასალები აიშა აბულაძეს შემდეგშიც იხსენიებენ და აცხადებენ, რომ 1928 წ. საბჭოს წევრ ქალთა მოსამზადებელ კურსდამთავრებულმა აბულაძე აიშამ თავი გამოიჩინა, რის გამოც ის საბჭოების მომავალ არჩევნების დროს უნდა გაიყვანონ აჭარისტანის რესპუბლიკის ერთ-ერთ თემსაბჭოს თავმჯდომარედ.[2]

რაც შეეხება სენაკის რაიონის წარმომადგენელს, ვინმე ცარუ გვაზავა, უპარტიო, გლეხის ოჯახში დიასახლისი, დაბალი განათლების მქონე, მუშაობდა მემანქანედ (ანაზღაურება დაკონკრეტებული არ არის), ქალი დელეგატი იყო 1926 წლიდან, ხოლო საბჭოს წევრად მეორედ აირჩიეს 1928 წ.[3] წარმომადგენელი თელავის რაიონიდის სოფ. ახმეტიდან – სონა გაბიტაშვილი, 23 წლის, უპარტიო დიასახლისი, შინაური განათლებით, კოოპერატივის წევრი, რომელიც საბჭოს წევრად 1927 წელს აირჩიეს.[4] 1928 წ. ქალთა გადასამზადებელი კურსების მონაწილე ქალბატონების მონაცემები მეტნაკლებად მსგავსია ერთმანეთისა. ცნობილია, რომ მონაწილეთა 80% ეროვნებით

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 662, ფურც. 3.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 958, ფურც. 68.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 662, ფურც. 13.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 662, ფურც. 15.

ქართველი იყო, 30% ქალების იყო წარმოდგენილი ასაკობრივ კატეგორიაში 36-40 წელი; ქალთა 41,5% – უპარტიო; ხოლო 49,8% – დიასახლისი, 97,2% – გლეხური წარმოშობის, 80,6% – დაბალი განათლების მქონე.[1] შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეგიონებში ქალთა განათლების საკითხი 1928 წლისთვის ჯერ კიდევ პრობლემა იყო, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მცდელობისა. ქალთა ნაწილი კვლავ დიასახლისობას არჩევდა, თუმცა კურსებში მონაწილეობა და საბჭოს წევრობა მიუთითებს მათ სურვილზე, ჩართულიყვნენ საზოგადო საქმიანობაში. 1928 წ. მოწყობილ კურსებზე, ცაკ-ი მუშა და მოჯამაგირე ქალებს აძლევდა საშუალოდ 50 მანეთ ხელფასს, ხოლო დიასახლისებს – 15 მანეთს თვეში.[2] კურსზე მივლინებულებს, რა თქმა უნდა, ენახებოდათ სამუშაო ადგილი. ამდენად, ქალებს კიდევ ერთ მოტივაციას აძლევდნენ.

თუმცა კურსის გავლა არ ნიშნავდა პირდაპირ ქალთა დაწინაურებას. აუცილებელი იყო ქალთა მხრიდან საკმარისი აქტივობის გამოვლენა. საარქივო მასალებში დასტურდება რამდენიმე მაგალითი, როდესაც ქალებს არასაკმარისი აქტივობის გამო დაწინაურებაზე უარი ეთქვათ. „ფატიმა აბუთიძე, რომელმაც 1928 წ. გაიარა საბჭოს წევრ-ქალთა მოსამზადებელი კურსები, ჯერჯერობით არ იქნეს წამოყენებული რომელიმე საბჭოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე, რადგან მან ვერ გამოიჩინა საკმაო აქტივობა და არ არის სათანადოდ მომზადებული“,[3] – ნათქვამია, ცაკ-ის მიერ წარგზავნილ წერილში. თუმცა, იმავე წელს ქალთა მოსამზადებელი კურსების დამთავრებული ქალების – ბახტაძე მაროს, იამანაძე ასნეტის და კუტელია ქეთევანის შესახებ გადაწყდა, რომ წამოეყენებინათ მომავალ საბჭოს არჩევნებზე ქუთაისის მაზრიის ერთ-ერთ თემსაბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო სოფიო დევნოსაძე კი – ერთ-ერთი სექციის თავმჯდომარედ.[4]

რაც შეეხება კურსზე წარმოდგენილ საგნებს, მსმენლები სულ ათ საგანს მოისმენდნენ: 1. საბჭოთა აღმშენებლობა; 2. ქალაქის და თემის საბჭოების ბიუჯეტი; 3. კომუნა-

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 958, ფურც. 47.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 958, ფურც. 1.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 958, ფურც. 68.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 958, ფურც. 72.

ლური მეურნეობა და სოფლის კეთილმოწყობის საკითხები; 4. სსრ კავშირის სახალხო განათლების სისტემა, საქართველოს სასკოლო აღმშენებლობა და საბჭოების ამოცანები; 5. ქალთა ყოფა-ცხოვრების შრომის საკითხები, საბჭოთა კანონმდებლობა ოჯახისა და ქორწინების შესახებ და ყოფა-ცხოვრების დანაშაულების შესახებ; 6. დედობის და ბავშვების დაცვის საკითხები და ჯანმრთელობის ორგანოების მუშაობა ქალაქად და სოფლად; 7. სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციის საკითხები და საბჭოების ამოცა-ნები; 8. საკითხები საბჭოების ადმინისტრაციულ სასამართლოს დარგში მუშაობის შესახებ; 9. კოოპერატიული აღმშენებლობის საკითხები და საბჭოების ამოცანები; 10. პოლიტცოდნა სოფლის მოძრავ სკოლების პროგრამის ფარგლებში.[1] კურსის მიზანი იყო ქალების მომზადება საბჭოთა ხელმძღვანელი პოზიციებისთვის. ამიტომ, საჭიროდ მიიჩნეოდა პოლიტიკური კვალიფიკაციის ამაღლება, თეორიულ-პრაქტიკული განათლების მიცემა, რათა მათი ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაზრდილიყო.[2] თუ გავაანალიზებთ მოცემული კურსის საგნებს, მივხვდებით, რომ კურსების მიზანი იყო ქალების გათვითცნობიერება, საზოგადოებაში მათი ჩართულობის გაზრდა და სათანადო კადრების მომზადება შემდგომი თანამშრომლობისათვის.

საარქივო მასალების გაანალიზების შემდეგ ირკვევა, 1929 წლისთვის ქალების აქტივობა კიდევ უფრო გაიზარდა. საქ. ცაკ-ის მდივანი აფრთხილებს აღმას. კომიტეტებს, რომ ქალების მონაწილეობამ საბჭოებში არ უნდა მიიღოს ფორმალური ხასიათი, არამედ უნდა იყოს რეალური და ნაყოფიერი. ამისთვის, როგორც აღვნიშნეთ, საჭიროდ მიიჩნეოდა პერიოდულად ქალთა გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება, რათა სათანადოდ უზრუნველყოფილი გამხდარიყო „საბჭოებში ჩაბმული მშრომელ ქალთა მასის დარაზმვა საბჭოთა მუშაობისა და სოციალისტური აღმშენებლობის მორიგი ამოცანების გარშემო“.[3] ამ მიზნით 1929 წელსაც, საქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარე ქალებისა და საბჭოების აქტიურ წევრ ქალთა

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 662, ფურც. 49.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 958, ფურც. 2.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1698, ფურც. 1.

ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები გამოცხადდა.

კურსზე დამსწრეთა პირობები შემდეგნაირი იყო: წერა-კითხვის მცოდნე, საბჭოთა მუშაობაში გათვითცნობიერებული ქალები, რომლებსაც კურსის გავლის შემდეგ ადგილზე დაასაქმებდნენ. კურსებზე, პირველ რიგში, უნდა გამოეგზავნათ პარტიული კომკავშირელები. კურსზე წარმოგზავნილებს მგზავრობის ხარჯი უფინანსდებოდათ და ხელფასი შეენახებოდათ, მაგრამ კურსის პერიოდში წარმოგზავნილები უნდა შეცვლილი ყოფილიყვნენ „შესაფერისად მომზადებული ამხანაგებით".[1] ამდენად, მოცემული კურსები არ იყო ერთჯერადი პროცესი და პერიოდულად ხდებოდა განსხვავებული მიმართულებით მათი განმეორება, დაახლოებით 2-3 თვის შუალედით.

სრულიად საქართველოს ცაკ-თან არსებული მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის პრეზიდიუმის სხდომის 1930 წლის ოქმში ვკითხულობთ დადგენილებებს, რომელიც მიმართული იყო ქალთა მდგომარეობის გამოსწორებისაკენ. პირველი, კოლმეურნეობებში ბავშვთა ბაგების მომვლელთათვის გადასამზადებელი კურსების გახსნა დადგინდა. კურსები გაიხსნა 43 ქალისთვის.[2] საინტერესოა, რატომ კაცისთვის არა, თუ თანასწორობაზე ვსაუბრობთ? როგორც ზემოთაც არაერთხელ აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირში ბავშვის აღზრდა მაინც „ქალურ საქმედ" ითვლებოდა, შესაბამისად, ამ პოზიციაზე მამრობითი სქესის წარმომადგენლები არ განიხილებოდნენ.

გარდა რამდენიმეთვიანი კურსებისა, ქალების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა უნივერსიტეტებსა თუ სკოლებში. მაგალითად, ფოთის რაიონში 1931 წ. ქალები სასკოლო სასწავლებელში შემდეგნაირად გადანაწილდნენ: ინდუსტრიული ტექნიკუმი – 28 ქალი, სუბტროპიკული ტექნიკუმი – 87 ქალი, კოლმეურნეობის 7-წლედი – 100 ქალი.[3]

ამდენად, საგანმანათლებლო საქმიანობას ქალთა ჩართულობის გაზრდის თვალსაზრისით აქტიური სახე ჰქონდა. აქტიურად წარმოებდა ქალთა გადამზადების პრაქტიკა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში, ქალებს ავალდებულებდნენ, პერიო-

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1698, ფურც. 1.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1095, ფურც. 7.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1955, ფურც. 16.

დულად ჩართულიყვნენ და საკუთარი ცოდნა და უნარები გაეღრმავებინათ. რა შეიძლება ითქვას ქალთა გადამზადების შესახებ დანერგილ პრაქტიკაზე? რა შედეგის მომტანი იყო? ერთი მხრივ, ქალები ეუფლებოდნენ თეორიულ ცოდნას, ასევე მათ უვითარდებოდათ საზოგადოებაში თანასწორობის პრინციპის შეგრძნება. ეს პროცესი თავისთავად ვერ იქნებოდა იდეალური, სავარაუდოდ, ხშირად მხოლოდ ფურცელზე იწერებოდა ციფრები, მაგრამ ქალთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა ცოდნის გაღრმავებას. მიუ-ხედავად ამისა, დაწყებული ძვრები დადებითად უნდა შეფასდეს.

§6. ქალთა ჩართულობა სასამართლო უწყებაში

ქალთა სრული ემანსიპაციისთვის საჭიროდ მიიჩნეოდა რიგი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, მონაწილეობა სასამართლოში, რევოლუციური კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარება, რომელიც ითვლებოდა ერთ-ერთ უმთავრეს საორგანიზაციო ფორმად ქალთა ჩართულობის გაზრდის თვალსაზრისით. აღმასრულებელ კომიტეტებს მოუწოდებდნენ გარკვეული ზომების მიღებას, რათა ქალების რაოდენობა სასამართლოში, პროკურატურასა და სხვა სასამართლო ორგანოში გაზრდილიყო.[1]

1929 წლის მონაცემებით, სახალხო მოსამართლეების რაოდენობა იყო 71, აქედან ქალი 7, რაც უდრის 9,8%; პროკურორები – 37, აქედან ქალი – 1, რაც უდრის 2,7%; უზენაეს სასამართლოში ფიქსირდება სულ 20 წევრი, ქალი – არც ერთი; სახალხო გამომძიებლები – 51, ქალი – არც ერთი; პრაქტიკანტები და სტაჟიორები – 16. აქედან ქალი – 2, რაც უდრის 12,4 %-ს. სულ სასამართლო უწყებაში – 195 თანამშრომელი, მათ შორის ქალი – 10.[2]

ქალების მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, საქართველოს მასშტაბით ქალთა კომისიამ დაიწყო იურიდიული კონსულტაცია, რომლის ფარგლებშიც 1928 წელს განხილულ იქნა 377 წერილი და გაიცა შესაბამისი წერილობითი რჩევა.[3] რა თქმა უნდა,

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1288, ფურც. 2.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1288, ფურც. 6.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 677, ფურც. 3.

ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, ვინაიდან, თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის გარემო ფაქტორებს, ქალთა უმრავლესობას წარმოდგენა არ ჰქონდა კანონმდებლობაზე და, შესაბამისად, საჭირო დროს თავის დაცვას ვერ ახერხებდა. უნდა აღინიშნოს შემდეგი ფაქტიც, ქალებისთვის აუცილებელი იყო არამარტო საჭირო იურიდული დახმარების აღმოჩენა, არამედ მათი აქტიური ჩართვა სასამართლოს მუშაობაში. სწორედ ამიტომ, ქალი მსაჯულების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდებოდა ქვეყნის მასშტაბით: 1926 წ. აღმ. საქართველოში მსაჯულთა საერთო რაოდენობის 8,4% ქალი იყო, 1928წ. კი გაიზარდა და 12,1% გახდა; ტფილისში 1927 წ. წინა წელთან შედარებით მსაჯულ ქალთა რაოდენობა 12,8%-ით გაიზარდა.[1] აღსანიშნავია, ისეთი ჩამორჩენილი რაიონის მონაცემები, როგორიც იყო ბორჩალოს რაიონი, სადაც 1928 წელს 1926 წელთან შედარებით ქალ მსაჯულთა რაოდენობა გაიზარდა 1,4%-ით, ახალციხეში – 2,3%-ით. განსაკუთრებით ხაზგასასმელია პრობლემური რეგიონის – სვანეთის მონაცემები: მსაჯულთა რიცხვის ზრდა 12,7%-ით. 1927 წ. 1078 მსაჯულ ქალს შორის კომპარტიის წევრი იყო 171,[2] ხოლო, 1929 წ. სახალხო მსაჯული სულ აირჩიეს 17025 პირი, აქედან 1883 ქალი, რაც უდრის 11 %-ს.[3]

მიუხედავად ამისა, თავად კომისიები ხშირად საუბრობდნენ იმ დარღვევებზე, რომელიც სისტემის შიგნით არსებობდა. მაგალითად, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიების მომუშავეთა მე-11 თათბირი აღნიშნავს, რომ საყოფაცხოვრებო დანაშაულთა კანონმდებლობა არ არის სავსებით განხორციელებული. ზოგჯერ სასამართლო ორგანოები გულგრილად ეკიდებიან წარმოებაში არსებულ საქმეებს განქორწინების და ალიმენტების შესახებ. ამიტომ ისინი საჭიროდ მიიჩნევდნენ ალიმენტების საქმის დაჩქარებას და საჩვენებელი სასამართლოების მოწყობას, ასევე, ზომების მიღებას, სახალხო მსაჯულ ქალთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.[4] ამდენად, ამ კუთხითაც ნამდვილად მიმდინარეობდა რეფორმა და ქალთა ჩართულობა წლიდან წლამდე იზრდებოდა.

---

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 915, ფურც. 25.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 984, ფურც. 25.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1288, ფურც. 6.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1108, ფურც. 34.

გარდა ამისა, სასამართლოს შიგნით დასტურდებოდა არასათანადო მოპყრობა ქალებისადმი. როგორც ერთ-ერთი მოწმე აცხადებს, სასამართლო პროცესებზე პირდაპირ ხდებოდა „ქალების გაყიდვა“.[1] გამომძიებელი არავითარ მოკვლევას არ ატარებდა და პირდაპირ წარსდგებოდა ხოლმე სასამართლო პროცესზე. კიდევ ერთი შემთხვევაა განხილული საარქივო მასალებში: კულაკი, რომელიც პასუხისგებაში იყო მიცემული, საქმის გარჩევის დროს გამოჩნდა, რომ ორცოლიანი ყოფილა და მეორე ცოლი უყიდია ათას მანეთად.[2] ამდენად, საბჭოთა კანონმდებლობით, ორ დარღვევას ჰქონდა ადგილი: ორცოლიანობას და ცოლის „ყიდვას“. აღსანიშნავია, რომ საბჭოს კრებაზე მონაწილე დელეგატებს აინტერესებდათ, რატომ ჰქონდა მცირე სასჯელი ორცოლიანობას – 1 წელი ციხე. მეზობელ რეგიონებში სასჯელი მეტი იყო: აზერბაიჯანსა და სომხეთში – 2 წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯებოდა.[3] მოცემული მაგალითი ადასტურებს ფაქტს, რომ 1930-იანი წლების დასაწყისში ქალთა გაყიდვა, მიყიდვა მომავალი ქმრისთვის კვლავ ხდებოდა და სასამართლო თავის სიმაღლეზე ვერ იდგა, რომ ეს ფაქტები აღეკვეთა. გარდა ამისა, ხშირად სასამართლო პროცესის დროს ქალებს არ აძლევდნენ საშუალებას სიტყვის თქმის და იყო ისეთი შემთხვევები, რომ სასამართლო ყველა თემში არ იყო და ამიტომ ქალებს უწევდათ რამდენიმე კილომეტრის გავლა, რათა ეპოვათ სამართალი. ეს უკვე დიდი დაბრკოლება იყო დაჩაგრულთათვის.

§7. აბორტი და ქალთა უფლებები

საბჭოთა იდეოლოგია დედის კულტს ამკვიდრებდა, ამდენად, ახალი ტიპის ქალი უნდა ყოფილიყო წარმატებული დედა და წარმატებული მუშაკი. დედობა საზოგადოებრივ პასუხისმგებლობად მიიჩნეოდა. შესაბამისად, აბორტი, რომელიც, ერთი მხრივ, დედობის უფლებას ართმევდა ქალს, ხოლო, მეორე მხრივ, შობადობის მაჩვენებელს

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1098, ფურც. 10.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1098, ფურც. 10.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1098, ფურც. 159.

ამცირებდა, რეალურად მიუღებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სსრკ გახდა პირველი ქვეყანა რომელშიც აბორტის დაკანონება მოხდა. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ამის მიზეზებზე. საინტერესოა, რა მდგომარეობა იყო ამ კუთხით საქართველოში.

ქალთა საკითხების განხილვისას მნიშვნელოვანია შევეხოთ ფეხმძიმობას და აბორტს, რომელიც ხშირად ქალთა სიკვდილიანობის მიზეზი ხდებოდა. როგორც ჩანს, 1927 წლისთვის, საქართველოში, მიუხედავად აბორტის კანონიერებისა, ქალები მაინც მიმართავდნენ ე.წ. ექიმბაშებს, რომლებიც მიზერულ ფასად (20, 25, 50 კაპიკი) სთავაზობდნენ წამლებს, ნაყენებს ან სხვა სახის რჩევა-დარიგებას, რომლებიც მუცლის მოსაშლელად გამოიყენებოდა.[1] შედეგად კი, ხშირ შემთხვევაში, ამის საფუძველზე ქალები იღუპებოდნენ. მაგალითად, საარქივო მასალებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ საბჭოების წევრ ქალთა პირველ ყრილობაზე, იმყოფებოდა ერთ-ერთი ქალბატონი ბორჩალოს რაიონიდან, რომელმაც განაცხადა, რომ ხსენებულ რაიონში ფეხმძიმე ქალები ხშირად მიმართავენ ექიმბაშებს, რაც მათი სიკვდილის მიზეზი ხდებოდა.[2] ამ მიზეზის გამო და კიდევ უფრო იმიტომ, რომ შობადობის მაჩვენებლის გაზრდა საბჭოთა ხელისუფლებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო, ამხ. ჯაფარიძე მოუწოდებს ჯანსახკომს, დაიწყოს ქალთა საკონსულტაციოებში მასობრივი სალექციო კურსები, რომლებშიც გამოჩნდება აბორტის გაკეთების მავნებლობა ქალებისათვის.[3]

ამდენად, საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში, მიუხედავად აბორტის კანონიერებისა, ინარჩუნებდა აღებულ გეზს და მოუწოდებდა ქალებს, არ დაემახინჯებინათ თავიანთი სხეული. მიზეზი კი, რა თქმა უნდა, შობადობის გაზრდის სურვილი იყო.

§8. ქალების სამხედრო საქმიანობაში ჩაბმის საკითხი

კიდევ ერთი საინტერესო მომენტი იკვეთება საარქივო დოკუმენტებში – ქალების

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 26.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 370, ფურც. 30.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 26.

სამხედრო გაწევრიანების შესახებ. ამხ. ჯაფარიძე აცხადებს, რომ „მართალია ომი ჩვენ არ გვინდა, მაგრამ მაინც ვემზადებით ომისთვისო“. ომისთვის მზადება ახსნილია იმპერიალისტური ქვეყნების მისწრაფებით, დაამხონ „მუშათა ხელისუფლება“. აქ მომხსენებელი იშველიებს ლენინის სიტყვებს, რომელიც იმპერიალისტურ ქვეყნებს ადანაშაულებს არამარტო მამრობითი სქესის წარმომადგენლების, არამედ ქალების მობილიზაციაში, აქედან გამომდინარე, მომხსენებელს ლოგიკურად მიაჩნია, რომ საბჭოთა ქალები ჩაებნენ ომის მოსამზადებელ პროცესში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს საუბარი მიმდინარეობს ჯერ კიდევ 1927 წელს.[1] ქალებისგან მოითხოვდნენ, რომ თუ ფრონტზე არა, ზურგში მაინც უნდა შესძლებოდათ სათანადო დახმარების გაწევა. ქა-ლებს უნდა სცოდნოდათ ჭრილობის შეხვევა, ჭრა-კერვა და სამზარეულოში მუშაობა. ეს საქმეები ჩაითვლებოდა წვლილად და მსხვერპლად ქვეყნის წინაშე. მომხსენებელი მოუწოდებდა დამსწრეებს, იმ წუთიდანვე შედგომოდნენ ნებისმიერი ხელობის შეს-წავლას, რომელიც ფრონტის ხაზზე იქნება გამოსადეგი. აქვე მას მოჰყავს ლენინის სიტყვები, საკუთარი აზრის დასასაბუთებლად: „პროლეტარი ქალი ვერ იქნება პასიური, მაშინ როცა კარგად შეიარაღებული ბურჟუაზია დაიწყებს ცუდად შეიარაღებული ან უიარაღო მუშების ხვრეტას, იგი აუცილებლად ხელში აიღებს (იარაღს)“[2] და აქ მომხსენებელი უკვე უშუალოდ ქართველ მოსახლეობას მიმართავს და მოუწოდებს, რომ ქართველმა მუშა ქალებმა თუ კაცებმა, როცა დრო მოვა, ბრძოლით უნდა დაიცვან „ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი“.[3]

აღსანიშნავია, რომ ქალთა საბჭოების მეორე ყრილობა მიესალმებოდა ქალების ჩაბმას სამხედრო საქმიანობაში და აცხადებდა, რომ „პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პირველი მოწოდებისთანავე მზად არიან ჩადგნენ მებრძოლთა რიგებში ოქტომბრის დასაცავად და წარუძღვნენ წინ მშრომელ ქალთა მასებს“.[4] ამდენად, ქალების მხრიდან დადებითი პასუხი გარკვეულწილად 1929 წელს უკვე არსებობდა.

კოლექტივიზაციის პროცესის გააქტიურების შემდეგ სულ უფრო და უფრო ცდი-

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 27.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 27.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 369, ფურც. 27.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1096, ფურც. 106.

ლობდნენ მოსახლეობის დარწმუნებას პროცესის დადებით მხარეებში. ამ მიზნით გამოიყენებოდა ქალებისა და კოლექტივიზაციის მიმართება. არსებობს არქივში დაცული ინფორმაცია, რომელშიც საუბარია დიასახლისის ფუნქციაზე: „დიასახლისს ბევრი რასმეს გაკეთება შეუძლია, თავის ქმარს და ოჯახის წევრებს შეძლებს მიმართულება მისცეს გაერთიანებული მეურნეობისაკენ“.[1] დიასახლისის მაღალ დონეზე მომზადება კოლექტივის სიჯანსაღის გარანტად განიხილებოდა. კოლექტივიზაციის შიგნით მომავალში გათვალისწინებული იყო საქმის გადანაწილება. მიიჩნეოდა, რომ ქალები გააკეთებდნენ ისეთ საქმეს, რომელიც მათთვის უფრო ადვილად ასატანი იქნებოდა და რაც მათ არ დაავადმყოფებდა. შესაბამისად, სამუშაოდ დაყოფა დარგებად და გადანაწილება პიროვნებებზე მათი უნარებისდა მიხედვით, მიიჩნეოდა, რომ უფრო მეტი სარგებლის მომტანი იქნებოდა და სიჯანსაღეს უზრუნველყოფდა.

გარდა ამისა, კიდევ ერთი საინტერესო მიზეზია დასახელებული კოლექტივიზაციის სასარგებლოდ. საერთო მიწების არსებობა მეზობლებს შორის ხშირად გაუგებრობის მიზეზი ხდება, შესაბამისად, საარქივო დოკუმენტის მიხედვით, ხშირია სისხლისღვრა და „დედას შვილი ეკარგება“. კოლექტივიზაციის შემთხვევაში საერთო მიწის არსებობა, მომხსენებლის აზრით, ამ პრობლემას გააქრობდა.[2] ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში მეტად პრიმიტიულ მაგალითთან გვაქვს საქმე და შეიძლება ითქვას, რომ კოლექტივიზაციის სასარგებლო არგუმენტად ნაკლებად უნდა ჩაითვალოს.

§9. რვა მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე

ცალკე აღნიშნვის ღირსია 8 მარტის – ქალთა საერთაშორისო დღედ დაწესება. პირველად ქალთა დღედ 8 მარტი 1910 წელს გამოცხადდა. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, ყოველწლიურად რაც შეიძლება მეტი ღონისძიება მიეძღვნა ქალთა დღისადმი.

გადაწყდა 8 მარტის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაულის აღნიშვნა

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1096, ფურც. 48.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1096, ფურც. 50.

1930წ. განსაკუთრებული ყოფილიყო.[1] სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ წინა წლის დეკემ-ბერში დაიწყო მზადება 8 მარტის აღსანიშნავად.[2] ჯანმრთელობის სახალხო კომისარი-ატს დაევალა საკონსულტაციოს გახსნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. განათლების სახალხო კომისარიატმა მიზნად დაისახა 6 საბავშვო ბაღის გახსნა კოლმეურნეობასთან ახლოს, 20 ქალთა კუთხის გახსნა, კოჯორში დაიგეგმა საბავშვო კოლონიის გახსნა. განათლების მიმართულებით გადაწყდა, ქალთა კუთხეებისთვის ბიბლიოთეკის გადაცემა, ხოლო ახალციხესა და ახალქალაქში გაიხსნა ჭრა-კერვის კოლექტივი.[3] დაიგეგმა სამანქანო კურსები 130 ქალისთვის, ხოლო შრომის ინსპექტორის თანამდებობაზე წამოყენებული იქნა ქალი. ქალთა დასაქმების გაზრდის მიზნით დღესასწაულთან დაკავშირებით, თბილისში გაიხსნება მკერავთა არტელი 25 ქალი-მომუშავით, საპარიკმახერო 5 ქალი-მომუშავე, ქიმიურ მომუშავეთა – 5, მეტალი – 5, ხის წარმოებაში – 5 ქალი.[4] 8 მარტის ღონისძიებას მიეძღვნა საბავშვო ბაღის გახსნა ჭიათურაში. ბაღების მნიშვნელობაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებს მოუწოდებდნენ, გაეხსნათ საბავშვო ბაღები, ბაგები, მოედნები, საყოფაცხოვრებო კომუნები, რათა ქალთა შრომა გაადვილებულიყო.

ზოგადად, 8 მარტის – ქალთა დღის სახელზე ცდილობდნენ გაეხსნათ სხვადასხვა დაწესებულებები. ამის კარგი მაგალითია 8 მარტის სახელობის ნადი „მშრომელი ქა-ლი“, რომელიც აერთიანებდა 96 თანამშრომელ ქალს: აქედან კანფეტის ქარხანაში – 29, საფუნთუშეში – 19 ქალი.[5] როგორც ჩანს, არც ქალი პატიმრები რჩებოდნენ ყურად-ღების მიღმა. სწორედ ამიტომ, 8 მარტის ქალთა დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავ-შირებით, გადაწყდა 1930 წ. ქაღალდის პარკების დასამზადებელი სახელოსნოს მოწყობა.[6] განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ე.წ. ჩამორჩენილ რეგიონებში მცხოვრებ ქალებს. ამ მიზნით, სვანეთში, ერთ-ერთ რთულ რეგიონში გაიხსნა

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1557, ფურც. 1.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1829, ფურც. 7.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1829, ფურც. 7.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1829, ფურც. 8.
[5] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 990, ფურც. 6.
[6] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1095, ფურც. 8.

საჩვენებელი სკოლა ტრიკოტაჟის ხელობის შესასწავლად 45 ქალისთვის. ტრიკოტაჟული არტელი გაიხსნა აჭარაშიც, კერძოდ, ქობულეთში.[1] მეტყავეთა კავშირი თავის თავზე იღებდა ქალების დაჯილდოებას, რომლებიც სოციალურ შეჯიბრში მონაწილეობდნენ და თავი გამოიჩინეს.[2] გაწერილი იყო თამბაქოს ტრესტში კონკურსის ჩატარება, რათა გამოევლინათ საუკეთესო მუშა ქალები და მათთვის პრემია დაენიშნათ.

წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრას მიეძღვნებოდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის ერთ-ერთი 1930 წ. დაიგეგმა – ახალციხის, ბორჩალოს, აჭარის და თბილისის ნარიმანოვის სახელობის კლუბთან გაიხსნებოდა სპეციალური კურსები ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინრობის დაძლევისათვის.[3] ოზურგეთის ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომიტეტის ანგარიშში 1930წ. გადმოცემულია 8 მარტისთვის მზადების პროცესი, ოზურგეთის რაიონში დღესასწაულთან დაკავშირებით დაჯილდოვდა 22 ქალი, ხოლო 23 ქალი დაწინაურდა. ქალთა კომიტეტი დახმარებას გაუწევდა ოზურგეთის რაიონში მცხოვრებ ქალებს საჭირო ალიმენტების მისაღებად.[4] ზოგჯერ დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები კომიკურ ხასიათს ღებულობდა. ამის დადასტურებაა ს. სურგულაძე-ბოხვაურის, საბჭოს წევრი ქალის გამოსვლა. ის აღნიშნავს, რომ თემში აქვთ „8 მარტის სახელობის ბოსტანი“.[5] ასევე, ტ. ინწკირველი საუბრობს სოფ. დვიბზე და აღნიშნავს, რომ მათ თემშიც არსებობს 8 მარტის სახელობის ბოსტანი. შეიძლება ითქვას, რომ ეს უკვე ერთგვარი ტრადიცია იყო. დღევანდელი გადმოსახედიდან, მკითხველში, დარწმუნებული ვართ, ხსენებული ფაქტი გაკვირვებას გამოიწვევს.

გარდა ამისა, შეიქმნა სპეციალური ბრიგადები, რომელთა ძირითად მოვალეობას ქალთა მასების სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობის ხარისხის გამოვლენა წარმოადგენდა. როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლება პროპაგანდის თვალ-

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1829, ფურც. 8.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1829, ფურც. 10.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1095, ფურც. 9.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1798, ფურც. 6.
[5] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1798, ფურც. 14.

საზრისით აქტიურად იყენებდა რადიოს თუ ბეჭდვით ორგანოებს. ამავე მიზნით, აღმასრულებელ კომიტეტებს მოუწოდებდნენ პრესაში ფართოდ გაეშუქებინათ როგორც მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობა, ისე ქალთა ფართო მასების სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის შედეგები.[1] ზოგადად, საბჭოს სხდომაზე ხშირად საყვედურობდნენ ქალთა კომისიას, რომ პრესის პოპულარიზაციის ნაკლებობას ჰქონდა ადგილი. მართალია, არსებობდა ჟურნალი, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ იყო ტრადიციად გადაქცეული ჟურნალში სტატიების გამოქვეყნება. ამიტომ ქალთა კომისიას პირდაპირ ჰქონდა ნაბრძანები, პერიოდულად დაებეჭდათ სტატიები ჟურნალებში.[2] 8 მარტთან დაკავშირებით კი დაგეგმილი იყო სპეციალური კედლის გაზეთის გამოშვება, რომელიც მიეძღვნებოდა 8 მარტის მნიშვნელობას.[3] გარდა ამისა, ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი სექცია თავს ვალდებულად თვლიდა, გამოეცა მასობრივი ლიტერატურა ქალთა საკითხებზე, რომელიც დასვამდა აქტიურ თემებს და გამოსავალსაც შესთავაზებდა მკითხველს.[4] პროპაგანდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კინომ. უკვე 1931 წ. საარქივო მასალებში დასტურდება სოფლად მოძრავი კინოს არსებობა.[5] ამდენად, ქალთა თემის პროპაგანდას ეწეოდნენ როგორც ჟურნალ-გაზეთები, ასევე რადიო, კინო თუ ლიტერატურული საზოგადოება. ქალთა დღის მნიშვნელობა ქალის სტატუსის ზრდასთან ერთად წლიდან წლამდე იზრდებოდა.

§10. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო საქმეთა კოდექსი

ვფიქრობთ, ქალთა სტატუსის გასარკვევად აუცილებელია, ცალკე საკითხად განვიხილოთ საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო საქმეთა კოდექსი, რომელიც მოქმედი იყო 1930 წლისთვის.

---

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1557, ფურც. 2.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1098, ფურც, 167.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1829, ფურც. 11.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1697, ფურც, 3.
[5] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1955, ფურც. 12.

კანონის მიხედვით, ქორწინების რეგისტრაცია შემოღებულ იქნა როგორც სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, ასევე მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლება-ინტერესების დაცვის გასაადვილებლად. ზოგადი დებულებიდან ნათელი ხდება, რომ რელიგიური წესით შესრულებულ ქორწინებას არავითარი იურიდიული ძალა არ ჰქონდა, ხოლო 1921 წლის 28 აპრილამდე მომხდარ რელიგიურ ქორწინებას ისეთივე ძალა შეუნარჩუნდა, როგორიც რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებას.[1] ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ერთი მხრივ, ცდილობდნენ ჯვრისწერის მნიშვნელობის შემცირებას, თუმცა, მეორე მხრივ, ითვალისწინებდნენ მოსახლეობის მდგომარეობას და 1921 წლამდე შესრულებულ ქორწინებას კანონიერად სცნობდნენ. ქორწინების პირობებიდან აღსანიშნავია: ორივე მხარის თანხმობა; საქორწინო ასაკი: ქალი – 16 წელი, კაცი – 18; ქორწინება არ შეიძლებოდა: ქორწინებაში მყოფი პირისთვის; პირისთვის, რომელიც აღიარებულია ჭკუანაკლულად ან სულით ავადმყოფად; მეურვესა და მეურვეობაში მიცემულს შორის. კანონი კრძალავდა ქორწინებას ნათესავებს შორის.[2] პირები, რომელთაც სურთ ქორწინების რეგისტრაცია, განცხადებასთან ერთად ვალდებულები იყვნენ, წარმოედგინათ ვინაობის და წლოვანების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე ხელწერილი, რომ კანონით არ არსებობდა რაიმე დაბრკოლება ამ ქორწინების დასარეგისტრირებლად და დასტური, რომ ორივენი იცნობდნენ ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობას.[3] აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის ბოლოს ცაკ-ის მიერ გამოყოფილი კომისია აკეთებს გარკვეულ შენიშვნებს კოდექსისადმი. ერთ-ერთ შენიშვნად დასახელებულია შემდეგი: „კოდექსში ნათლად და გარკვევით უნდა იქნას გატარებული ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ქორწინებისათვის სავალდებულოდ უნდა ჩაითვალოს რეგისტრაცია“.[4]

თუ ქორწინება რეგისტრაციაში არ გატარებულა, საქორწინო საბუთად ჩაითვლება საერთო მეურნეობა, მიწერ-მოწერა, რომელიც ადასტურებს ცოლ-ქმრის ერთად ცხოვრებას. ქორწინების რეგისტრაცია იმ მიზნით, რომ ქალი სქესობრივად იქნეს გამო-

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 856, ფურც. 1.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 856, ფურც. 1.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 856, ფურც. 23.
[4] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 856 , ფურც. 31.

ყენებული და შემდეგ მიტოვებული, გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლით.[1]

ქორწინება ბათილად შეიძლება იცნოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული შემთხვევების დროს: თუ ერთ მეუღლეს არ ჰქონდა საქორწინო ასაკი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქორწინებას მოჰყვა შვილი ან ორსულობა; თუ ცოლქმრულმა ურთიერთობამ გამოიწვია ერთ-ერთი მეუღლის დაავადება. საქმე ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ შეუძლია აღძრას ყველა იმ პირმა, ვისი ინტერესებიც ამ ქორწინებით დარღვეულია, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელმა. წყვილს შორის გაუქმებული ქორწინება შეიძლება ხელახლა დამტკიცდეს იმ შემთხვევაში, თუ გაყრის საფუძველი ბათილად იქნება ცნობილი.

საინტერესოა კოდექსის დამოკიდებულება მეუღლეების გვარებთან დაკავშირებით. კოდექსი სამ შესაძლებლობას უშვებდა: მეუღლეებს ქორწინების დროს შეძლოთ, აერჩიათ ერთის ან მეორეს გვარი, ორივეს შეერთებული გვარი, ან დაეტოვებინათ თავისი გვარი.[2] უნდა ითქვას, რომ ეს პუნქტი ძალიან ჰუმანური გახლდათ და ლავირების საშუალებასაც იძლეოდა.

თუ საქართველოს მოქალაქე ქორწინდებოდა უცხოელზე, თითოეული შეინარჩუნებდა თავის მოქალაქეობას. ამ პირთა მოქალაქეობის შეცვლა შეიძლებოდა კანონის მიხედვით. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ქალთა სტატუსის თვალსაზრისით ქონების განაწილება კანონის მიხედვით: ქონება, რომელიც მეუღლეს ქორწინებამდე ეკუთვნოდა, რჩებოდა მის კერძო ქონებად, ერთად შეძენილი ქონება კი ორივეს თანასწორად ეკუთვნოდა. შენიშვნა: „ცოლის შრომა, გაწეული ოჯახური საქმისა და შვილების მოსავლელად, იმავე უფლებას ანიჭებს ცოლს ქონებაზე, რასაც ქმარს მისი შრომა, გაწეული ცხოვრების სახსრის მოსაპოვებლად“.[3] ამ შემთხვევაშიც, კანონმდებლობა საკმაოდ თანასწორად უდგება საკითხს, ითვალისწინებს ქალის შრომას, რომელიც, მართალია, ანაზღაურებადი არ იყო, მაგრამ დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. ამიტომ საჭი-

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 856, ფურც. 34.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 856, ფურც. 7.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 856, ფურც. 7.

როდ მიიჩნევდა თანაცხოვრებისას დაგროვებული ქონება თანაბრად გადანაწილებულიყო. გაჭირვებულ ან შრომის უნარმოკლებულ მეუღლეს შეეძლო სარჩოს უფლება მოეთხოვა განქორწინების შემდეგაც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან შრომის უნარი დაკარგა ქორწინებამდე, ქორწინების დროს ან არა უგვიანეს ერთი წლისა განქორწინებიდან. სარჩოს მიღების უფლება გაჭირვების დროს აქვს შრომისუნარიან მეუღლესაც. მიღებული დახმარების მაქსიმალურ ვადად განქორწინებიდან ერთი წელი მიიჩნეოდა.[1]

რაც შეეხება განქორწინებას, ხდებოდა ერთ-ერთი მეუღლის ან ორივეს სურვილით, მმაჩის ბიუროში. განქორწინების შემდეგ გვარებზე მეუღლეები თანხმდებოდნენ, როგორ გადაენაწილებინათ. კამათის შემთხვევაში რჩებოდათ ქორწინებამდელი გვარი. განქორწინების შემდეგ მმაჩის ბიურო მოვალე იყო, გამოერკვია ბავშვების მომავალი ადგილსამყოფელი, რომელ მშობელთან დარჩებოდნენ. თუ საჭირო იყო, დადგინდებოდა თანხა, რომელიც საჭირო იქნებოდა შრომისუნარმოკლებული დედის შესანახად. თუ მეუღლეები ვერ შეთანხმდებოდნენ, საკითხი შვილების შესანახი სარჩოს შესახებ გადაწყდებოდა სასარჩელო წესით.[2] განაცხადი განქორწინების შესახებ მმაჩის ბიუროში შეიტანებოდა წერილობით ან სიტყვიერად. „თუ განქორწინება მოხდება ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით, განქორწინების ჩანაწერის ასლი ეგზავნება მეორე მეუღლეს“ მითითებულ მისამართზე.[3] შესაბამისად, თავისუფლად იყო შესაძლებელი საქორწინო მდგომარეობის ცვლილების შესახებ ცნობის მიღება საფოსტო ბარათით. ამავე კანონის მიხედვით, ლეგიტიმურ და არალეგიტიმურ ქორწინებაში გაჩენილი ბავშვების უფლებები გათანაბრდა.

ყოველ ორსულ ქალს ორსულობის დროს ან მშობიარობის შემდეგ უფლება ჰქონდა, მმაჩის ბიუროში შეეტანა განცხადება მამის ვინაობის შესახებ. დედა განცხადებაში აღნიშნავდა ბავშვის მამად დასახელებული პირის გვარს, სახელს, მამის სახელს, საცხოვრებელს, სამსახურის ადგილს. განცხადების შეტანა მმაჩის ორგანოში

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 856, ფურც. 4.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 856, ფურც. 4.
[3] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 856, ფურც. 25.

შეიძლებოდა ბავშვის დაბადებამდე ან დაბადებიდან ერთი თვის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მამობის გამორკვევა შეიძლებოდა მხოლოდ სასამართლოს წესით. თუ განცხადებას ორსულობის ან ბავშვის დაბადების შესახებ შეიტანდა მხოლოდ დედა, მამის სახელის დასახელებით, მმაჩის ორგანოს უნდა ეცნობებინა განცხადებაში დასახელებული მამისთვის სამი დღის განმავლობაში. ამ უკანასკნელს კი ერთი თვის განმავლობაში თავისი პასუხი უნდა ეცნობებინა მმაჩის ორგანოსთვის, სცნობდა თუ არა ბავშვს. პირი, რომელიც თავს აღიარებდა ბავშვის მამად ან დადგენილ იქნებოდა ბავშვის მამად, ვალდებული იყო, მონაწილეობა მიეღო ყველა იმ ხარჯში, რაც ბავშვს უკავშირდებოდა. ის ასევე უნდა დახმარებოდა გაჭირვებაში მყოფ დედას ორსულობის დროს და შემდეგ ერთი წლის განმავლობაში.[1] თუ სასამართლო გამოარკვევდა, რომ დედას ბავშვის ჩასახვის დროს ურთიერთობა ჰქონდა რამდენიმე პირთან, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პირთაგან მხოლოდ ერთს ცნობდა მამად და მთელ პასუხისმგებლობას მას დააკისრებდა. საჭირო შემთხვევაში, თუ ვერ დადგინდებოდა მამის ვინაობა, დედას შეეძლო შვილისთვის საკუთარი გვარის მიცემა.

აღმასრულებელი კომიტეტი ერთ-ერთ პრობლემად მიიჩნევდა ქალთა შესახებ არსებული კანონმდებლობის სუსტად გაშუქებას. ამიტომ, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ სექციებს ჰქონდათ პირდაპირი დავალება, ეზრუნათ ქალთა შორის კანონმდებლობის პოპულარიზაციაზე. ამის პარალელურად კი საჭიროდ მიიჩნეოდა ქალთა შორის დამკვიდრებული ცრურწმენების, მაჭანკლობის თუ ჭორიკნობის ლიკვიდირება, რათა კანონმდებლობის პოპულარიზაცია უფრო სწრაფად მომხდარიყო.[2]

[1] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 856, ფურც. 7.
[2] სსცა, ფ. 284, აღწ. 1, ს. 1798, ფურც. 2.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა სტატუსის სრულყოფილად წარმოსაჩენად საჭიროა ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით არსებული არქივების შესწავლა და ანალიზი. სწორედ ამიტომ, ხსენებული თემა ტოვებს საკმარის ადგილს კვლევის გასაგრძელებლად და გასაღრმავებლად. თუმცა, მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, დასახული მიზანი ნაწილობრივ მაინც მიღწეულ იქნა.

პირველ რიგში, როგორც აღვნიშნეთ, კვლევის მიზანი იყო საბჭოთა კავშირში ქალების სტატუსის წარმოჩენა XX საუკუნის 20-30-იანი წლების პერიოდში. თუმცა, ვინაიდან საკითხის გასაგებად საჭიროა თეორიული საფუძვლების შესწავლა, საინტერესოდ მივიჩნიეთ მარქსისტული იდეოლოგიის მიხედვით ქალის და მისი მომავლის შესახებ მოკლე მიმოხილვის გაკეთება. პირველ ნაწილში წარმოდგენილმა საკითხმა, საშუალება მოგვცა განგვეხილა თეორიული ბაზა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ეყრდნობოდა. აღსანიშნავია, რომ მარქსისტული იდეოლოგია მეტ-ნაკლებად განსხვავებულად უდგებოდა ქალთა მდგომარეობას. განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვათ ოჯახის ინსტიტუტის მნიშვნელობას. მარქსიზმის მიხედვით, ოჯახი ბურჟუაზიული წარმონაქმნი იყო, რომელიც დროთა განმავლობაში, საკუთრების გაუქმებასთან ერთად თავადაც გაქრებოდა. რეალობამ სულ სხვა რამ აჩვენა. ხოლო, სტალინის მმართველობის პერიოდში თავად დიქტატორმა დაიწყო ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერებაზე ზრუნვა, რადგან, მისი აზრით, ქვეყნის მშენებლობის საქმეში ოჯახი უნდა ყოფილიყო მთავარი დასაყრდენი.

არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა ბოლშევიკების შეხედულებებისა და დამოკიდებულებების კვლევა სსრკ-ს არსებობის პირველ წლებში. უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკები მოუმზადებელი შეხვდნენ სახელმწიფოს შექმნას, ამიტომაც რიგ საკითხებზე მათ შორის ერთსულოვნება არ არსებობდა. ხსენებულ მონაკვეთში წარმოჩინდა განსხვავებული პოზიცია ბოლშევიკებს შორის.

რაც შეეხება ტექსტის ძირითად ნაწილს, რომელიც დაეთმო სტალინის მმართვე-

ლობის დროიდან დამკვიდრებულ სიახლეებს, აღსანიშნავია, რომ ახალ პოლიტიკურ რელსებზე გადასვლამ თავისთავად განაპირობა ქალის როლის ცვლილება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ, სტალინმა სცადა ქვეყნის პროდუქტიულობის გაზრდის თვალსაზრისით, ქალთა რესურსის მაქსიმალურად გამოყენება და, უნდა ითქვას, გამოუვიდა კიდევაც. ქალთა დიდი ნაწილი, წინარე პერიოდისგან განსხვავებით, აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში და უამრავმა ქალმა თავის თავზე აიღო მოქალაქეობრივი ვალდებულებები. ყოველდღიურ ცხოვრებაში თანდათან დამკვიდრება იწყო ისეთმა ინსტიტუტებმა, როგორიცაა საბავშვო ბაღები, დედათა და ბავშვთა დაცვის გაერთიანებები, საკონსულტაციოები, გადასამზადებელი კურსები და სხვ. ხსენებული ინსტიტუტების ერთ-ერთი მიზანი გახლდათ ქალებისთვის მოქალაქეობრივი გრძნობის გაღვივება, ოჯახისგან მოწყვეტა და აქტიურ საგარეო საქმიანობაში ჩართვა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქალთა ნაწილობრივი გათავისუფლება, მაგალითად, ბავშვების აღზრდისგან, ხდებოდა ისევ ქალების ანაზღაურებადი შრომის ხარჯზე. საბავშვო ბაღების აღმზრდელებად ქალები უპირობოდ მოიაზრებოდნენ და მამრობითი სქესის ამ პოზიციაზე განხილვაც კი წარმოუდგენელი იყო. ამდენად, ფემინისტური მიდგომა ოჯახური საქმეების თანაბრად განაწილებისა და ბავშვების ერთობლივი აღზრდის შესახებ საბჭოთა საზოგადოებაში არ განიხილებოდა. ამ მიმართულებით განსხვავდებოდა საბჭოთა ქალის ემანსიპაცია ფემინისტური მიდგომისგან. თუმცა კი საბჭოთა საოჯახო სამართალი საინტერესო შემთხვევებს გვთავაზობს. მაგალითისთვის საკმარისია გავიხსენოთ უფლება, რომლითაც ახალდაბადებული ბავშვისთვის, კანონის მიხედვით, შესაძლებელი იყო როგორც მამის, ისე დედის გვარის მიცემა.

მიუხედავად ქალების გააქტიურებისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქალის მთავარ საზოგადოებრივ ვალდებულებად დედობა რჩებოდა. უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში ხსენებული აზრი კვლავ არ კარგავს აქტუალობას. ამდენად, მართალია, ქალებს ჰქონდათ მუშაობის უფლება, მაგრამ, პირველ რიგში, სახელმწიფო მათგან სამაგალითო დედობას მოითხოვდა. ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზები ჰქონდა და, უპირველესად, განპირობებული იყო რთული დემოგრაფიული

ვითარებით.

სტალინის მმართველობის პერიოდში, ისევე როგორც დანარჩენ საბჭოთა რეს-პუბლიკებში, საქართველოშიც დაიწყო ქალთა ემანსიპაციის პროცესი. შესაძლოა, ვი-ფიქროთ, რომ ამ პროცესის სარჩული სულ სხვა რამ იყო და არა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის დამყარება, მაგრამ ფაქტია, რომ ქალთა გარკვეულმა ნაწილმა შეძლო განათლების მიღება, ფართო ასპარეზზე გამოსვლა, გარკვეული თანამდებობების და-კავება და საკუთარი მომავლისთვის ბრძოლის დაწყება.

ვფიქრობთ, საინტერესოა როგორ დავსვამთ კითხვას, რა უფრო მნიშვნელოვანია, რა მიზნით კეთდებოდა ეს ყველაფერი, რა იყო ფარული იდეა თუ თანმდევი შედეგები, რომლებმაც ქალები გარკვეულწილად წინა პლანზე გადმოიყვანა?

თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ, მიუხედავად თუნდაც აბორტის დაკანო-ნებისა ჯერ კიდევ 1920 წელს, აბორტი არ აღიქმებოდა ქალის უფლებად. ეს იყო დროებითი „შესვენება“, სანამ სახელმწიფო ისეთ განვითარებას არ მიაღწევდა, რომ დედებს თავი უსაფრთხოდ ეგრძნოთ. ასეთ შემთხვევაში, ვარაუდობდნენ, რომ საბჭო-თა ქალი თავად იტყოდა უარს აბორტის გაკეთებაზე. ამდენად, მიდგომა იყო განსხვავე-ბული, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება – საბჭოთა რუსეთი გახდა პირველი ქვეყანა, რო-მელმაც აბორტი კანონიერების ფარგლებში მოაქცია.

ასევე უნდა აღინიშნოს კვლევის პროცესში საქართველოს მასშტაბით გამოვლენი-ლი პირველი აქტიური ქალების სახეები, რომლებიც, სამწუხაროდ, მხოლოდ საარქივო მასალებს შემორჩა. მათი დამსახურება ნამდვილად დიდია, ისინი იყვნენ იმ პირველი ტალღის ნაწილი, რომლებმაც სცადეს მამრობითი სქესის ზეგავლენისგან გათავისუფ-ლება და საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო ასპარეზზე თავიანთი მოკრძალებული კვალი დატოვეს.

ამდენად, ვფიქრობთ, აუცილებელია გაგრძელდეს კვლევა ხსენებულ საკითხზე, ვინაიდან ამ დრომდე რჩება არაერთი შეკითხვა და არაერთი საარქივო მასალა, რომ-ლის შესწავლის აუცილებლობაც დგას.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

დოკუმენტები:

1. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 206.
2. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 269.
3. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 368.
4. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 369.
5. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 370.
6. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 371.
7. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 558.
8. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 595.
9. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 662.
10. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 677.
11. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 856.
12. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 915.
13. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 917.
14. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 929.
15. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 945.
16. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 958.
17. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 984.
18. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 990.
19. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 1095.
20. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 1096.
21. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 1098.
22. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 1108.
23. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 1110.
24. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 1288.
25. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 1556.
26. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 1557.
27. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 1669.
28. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 1697.
29. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 1698.
30. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 1798.
31. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 1829.
32. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1, ს. 1955.

ელექტრონული სტატიები:

33. **Mandl, Lis.** Rosa Luxemburg and the women's question – "Marxism in her Bloodstream". January, 2009. Web-Page: https://www.marxist.com/rosa-luxemburg-and-the-womens-question.htm.

34. **Munoz, Ana and Alan Woods.** Marxism and the Emancipation of Women. March, 2000. Web-Page: https://www.marxist.com/marxism-feminism-emancipation-women080300.htm.

მონოგრაფიები:

35. **ენგელსი, ფრიდრიხ.** ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1932.
36. **Attwood, Lynne**. *Creating The New Soviet Woman.* London: Macmillan Press, 1999.
37. **Bebel, August.** *Woman under Socialism.* (Unpublished). New York, 2009.
38. **Engels, Friedrich.** *The Origin of the Family, Private Property and the State.* London: Penguin Group, 2010.
39. **Goldman, Wendy**. *Women, the State and Revolution.* Cambridge: Cambridge University Press, 1993.
40. **Heitlinger, Alena**. *Women and state socialism*. London: Macmillan Press, 1979.
41. **Hutton, Marcelline**. *Resilient Russian Women in the 1920s and 1930s*. Lincoln: The University of Nebraska-Lincoln Libraries, 2015.
42. **Ilic, Melanic and Lynne Attwood.** *Women in the Stalin Era*. New York: Palgrave, 2001.
43. **Kollontai, Alexandra.** *Love of Worker Bees*. Chicago: Academy Press, 1978.
44. **Lapidus, G. W.** *Women in Soviet Society*. Berkeley: University of California Press, 1978.
45. **Lee, Stephen J.** *Stalin and the Soviet Union*. London: Routledge, 1999.
46. **Lenin, V.I.** *The Emancipation of Women*. Lucknow: Rahul Foundation, 2010.
47. **Shulman, Elena**. *Stalinism on the Frontier of Empire*. New York: Cambridge University Press, 2008
48. **Trotsky, Leon.** *Women and the Family.* New-York: Pathfinder Press, 1970.
49. **Waters, Mary-Alice.** *Rosa Luxemburg Speaks*. New York: Pathfinder Press, 1970.
50. Воробьева, К. К. Ворошиловский стрелок №226459. *Работница*, 1935, №4.
51. Гуревич, Р. Н. О Подпольном аборте. *Работница*, №22.
52. Озерова, Е. И. Разбить врага гранатой. *Работница*, 1939, №4.
53. *Работница*, 1936, №17.
54. *Работница*, 1938, №4.